

# არსენალი

№ 11 (28). ნოემბერი. 2006. „კვირის პალიტრა". სამხ... -ანალ... ჟურნალი. ფასი 1,5 ლარი

13/2



## ვინ ხელმძღვანელობს ГРУ-ს რეზიდენტურას საქართველოში

## „მოსკოვი" შავი ზღვიდანაც გვემუქრება

1425/2
2006

## ომი გენების მეშვეობით

## ვინ არიან სეპარატისტებთან ერთად მებრძოლი „მოხალისეები"

## გადარჩენის სკოლა

## უცხოური ლეგიონის ქართველი მებრძოლის ნაამბობი

ეროვნული ბიბლიოთეკა



ГРУ
საქართველოს ყველაზე საში მტერი
16



ვინ არიან სეპარატისტების მხარდამხარ მეომარი „მოხალისეები“
42



თავის გადარჩენა ველური ბუნების პირობებში
10

უცხოური ლეგიონის ქართველი მებრძოლის მონათხრობი
30





მიმინო მყავდა... მიყვარდა!
38



უხილავი ფრონტის უხილავი „ჯარისკაცები“
19

# სარჩევი

ინტერნეტ-ინტერვიუ
4 „პრობლემებს აღარ ჩამოვთვლი... გამოსავალი კი შემდეგში მესახება...“
კალეიდოსკოპი
6 უცხოური ამბები
თვალსაზრისი
8 უკიდურესი დაძაბულობის ეპიცენტრისკენ...
მკითხველის გვერდი
8 უნივერსალური „კატიუშა“ ამერიკულად
გადარჩენის სკოლა
10 თავის გადარჩენა ველური ბუნების პირობებში
სპეცსამსახურები
14 მსტოვრობის ისტორია საქართველოში (ნაწილი IV)
16 ГРУ - საქართველოს ყველაზე საშიში მტერი
ტექნოლოგიები
19 უხილავი ფრონტის უხილავი „ჯარისკაცები“
პროფესიონალები
22 ვიკინგების შთამომავალნი - **SWEDEN**
იარაღი
25 „მოსკოვი“ საქართველოს შავი ზღვიდანაც ემუქრება
ლეგიონი
30 უცხოური ლეგიონი
კონფლიქტი
36 ფხენიანი ატომურ ბომბებს ქართულ „სუ-25“-ებზე ჩამოჰკიდებს?!
ნადირობის მოყვარულთათვის
38 მიმინო მყავდა... მიყვარდა!
39 „ბედნიერია ის, ვისაც ჰყავს კარგი ცხენი, უკეთესი ძაღლი და საუკეთესო მიმინო“
საქართველოს ისტორია
42 ვინ არიან სეპარატისტების მხარდამხარ მეომარი „მოხალისეები“
ფლოტი
45 შავი და კასპიის ზღვის ქვეყნების სამხედრო-საზღვაო სიახლეები
კროსვორდი
47 არსენალვორდი
ისტორიული ექსკურსი
48 „არსენალის“ თვის კალენდარი
სუპერმობილი
50 **SUZUKI Grand Vitara**
მკითხველის გვერდი
52 უვაზნო საბრძოლო მასალები
კონსულტაცია
53 კვალიფიციური რჩევები
„არსენალის“ იარაღის მაღაზია
54 გერმანული საიერიშო შაშხანა ქართველი სპეცრაზმელების არსენალში

# რედაქტორის სვეტი

ეს წელი საცაა გაილევა, საქართველო-რუსეთს შორის დაპირისპირება კი, პირიქით, ახლა შედის აქტიურ და, შესაბამისად, ძალზე სახიფათო ფაზაში.

იქნება თუ არა ომი? — ეს კითხვა დღეს ბევრს აწუხებს საქართველოში, განსაკუთრებით კი ცხინვალისა და აფხაზეთის მიმდებარე რაიონებში მცხოვრებთ. ეს კითხვა არც იმ მშვიდობიან მოსახლეობას აძლევს მოსვენებას, ვინც დღეს სეპარატისტული რეჟიმის მიერ კონტროლირებად ტერიტორიებზე ცხოვრობს.

როგორც ამბობენ, ყველაზე ცუდი მშვიდობა ყველაზე კარგ ომს სჯობია, მაგრამ რა უნდა ქნა, როდესაც ომს თავს გახვევენ და შენი ქვეყნის ტერიტორიების ნაწილების წართმევა სურთ?

*ირაკლი ალადაშვილი*
*გიორგი ქორქოლიანი*

ყურადღება!
ხშირია შემთხვევა, როდესაც ჩვენი მკითხველი სხვადასხვა მიზეზის გამო ვერ ასწრებს ჟურნალის ყიდვას პრესის ჯიხურებში. ამიტომ გირჩევთ, გამოიწეროთ „არსენალი“ და მიიღოთ შინ, ყოველი თვის დასაწყისში.
ტელ: 42-43-40

რედაქციის დაუკითხავად მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია

ჟურნალ „არსენალის“ ძველი ნომრების შეძენა შეგიძლიათ რედაქციაში

გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება ©
რედაქციის მისამართია: თბილისი, იოსებიძის ქ. №49.
ტელ: 38-37-47
**email: arsenali@kvirispalitra.com**
ჟურნალი გამოდის თვეში ერთხელ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „პრობლემებს აღარ ჩამოვთვლი... გამოსავალი კი შემდეგში მესახება..."

## კითხვებზე სამხედრო ფორუმის წევრები პასუხობენ



ძვირფასო მკითხველო! „არსენალში" რუბრიკის პრემიერაა. გადავწყვიტეთ საზოგადოების ერთი ნაწილის აზრი ცოტა განსხვავებული ხერხით – ინტერნეტ-ფორუმის საშუალებით შეგვეტყო და, რა თქმა უნდა, გამოგვექვეყნებინა. ამისათვის **www.forum.ge**-ზე ჩვენთვის საინტერესო კითხვები „გამოვკიდეთ". პასუხებმაც არ დააყოვნა და ზოგიერთ მათგანს გთავაზობთ...
რუბრიკის სიახლის გარდა, მთავარი ის არის, რომ ზემოხსენებული „საზოგადოების ნაწილი" არავითარ შემთხვევაში არ არის შეზღუდული; ანუ ნებისმიერ თქვენგანს შეუძლია დააფიქსიროს თავისი მოსაზრება.

*რესპონდენტები ფორუმზე მეტსახელებით შედიან, ამიტომ ჩვენც ასე მოვიხსენიებთ. შეძლებისდაგვარად სტილიც დაცულია (რედ).*

**კითხვა I. თქვენი აზრით, რამდენად სერიოზული წინააღმდეგობა შეიძლება გაუწიონ საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა რუსეთის შესაძლო აშკარა აგრესიას?**

Cyborg-Mcloud:

ეს პრობლემა განსახილველია უფრო... შემდეგნაირად:

ა) ომის დაწყების პირველ რამდენიმე საათში – სანამ რუსეთი დიდი ძალების კონცენტრირებას მოახდენს – საკმაოდ ეფექტიანის;

ბ) შემდეგ რამდენიმე დღე, სანამ ხალხი მიხვდება, რომ ეს აშკარა აგრესიაა და დაიწყებს მობილიზაციას, ძალიან ცუდ დღეში ჩავვარდებით; სამწუხაროდ, რუსები ჩაიგდებენ ხელში საბრძოლო ინიციატივასაც, საზღვაო ზოლის დიდ ხაზსაც და ზღვისპირა ქალაქების დაბომბვით დიდძალი დანაკარგიც გვექნება მშვიდობიან მოსახლეობაში;

გ) აი შემდეგ უკვე, როცა ნახევარი საქართველო ფრონტის ხაზი იქნება, ყველა გაიგებს, რომ სხვა გზა არაა, – უნდა ვიომოთ; აი, მერე, ვფიქრობ, საკმაოდ ეფექტიანად შეიძლება მათ წინააღმდეგ ჩვენს მიწაზე ომი... ძაააააააალიან ეფექტიანად... სანამ მართლა ატომურ ბომბს არ გვხევენ, ვერ მოგვიგებენ. მართლა გეუბნებით... შეგვიძლია!!!

მაგრამ ეს ბევრ რამეზეა დამოკიდებული, სანამ გვხევს რუსეთი, მანამდე პოლიტიკურად შეიმზადებს აქ სიტუაციას, მოისყიდის ხალხს, აურ-დაურევს თავებს, – ვინ კარგია, ვინ ცუდი რომ ეშლებოდეთ და მერე, კონსოლიდაცია თუ ვერ მოხერხდა ხალხის, დაღუპულები ვართ.

AK-47:

რეალისტები ვიყოთ. ჩვენ ოფიციალურ ძალებს ისინი რამდენიმე საათში გაანადგურებენ. ერთი საჰაერო რეიდი რომ მოგვიწყონ და სტრატეგიული ობიექტები+ყაზარმები, საბრძოლო მასალის შესანახი ადგილები და კიდევ მძიმე ტექნიკის ბაზირების ადგილები დაგვიბომბონ... ფაფუ ჩვენი არმია. მერე კი დაახლოებით ჩეჩნეთის სცენარი დატრიალდება: თბილისის აღება და ა.შ. და, ალბათ, ბევრი პარტიზანულ ომს დაიწყებს გადარჩენილ პროფესიონალებთან ერთად, მაგრამ ქართული სული ისეთია, ძილი, ჭამა და ქალის სიყვარული უნდა და დიდხანს ეგ ვერ გასტანს! აი, ჩეჩნები... მაგათ ოჯახი და საჭმელი ნაკლებად აინტერესებთ. ყურანზე აქვთ დაფიცებული და თავისას უბერავენ ბოლომდე (მაგათი ბრძოლისუნარიანობა რელიგიითაა გამოწვეული). ხოდა, მე 100-იდან 1 შანსს ვხედავ, რომ საქართველომ თვეზე ან სამ კვირაზე მეტხანს გაუძლოს რუსეთის აგრესიას!

David-S:

შეიარაღებულ ძალებზე ვერაფერს გეტყვით, მაგრამ ძალიან მეეჭვება, ეკონომიკამ გაუძლოს თუნდაც ერთ თვეს...

**კითხვა II. რა პრობლემები აქვს დღეს ქართულ ჯარს? შემოგვთავაზეთ მათი გადაჭრის თქვენეული გზები...**

Cyborg-Mcloud:

ბევრ სხვადასხვა პრობლემაზე, რომელიც ვიცი, რომ მოგვარდება, არ ვილაპარაკებ. დანარჩენის ჩამოთვლა კი არ გამიჭირდება:

ა) ძირმოჭმული ოფიცრობა – ჯერ კიდევ უამრავი არაკეთილსინდისიერი და არაპროფესიონალი ოფიცერია ჯარში (განსაკუთრებით შუალედურ რგოლში და ზევით);

ბ) რა თქმა უნდა, ფინანსების ნაკლებობა;

გ) ძალზე მოძველებული შეიარაღება და გეგმის უქონლობა – საით უნდა ვიმოძრაოთ სამხედრო შეიარაღების მხრივ – ჯერჯერობით, მათხოვრის როლშია ჩვენი ჯარი; ვინც რას მოგვცემს და სადაც რას მივწვდებით, იმას ვიღებთ; მერელა ვნახულობთ, გამართულია თუ არა ტექნიკა, ან გვჭირდებოდა თუ არა საერთოდ;

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) ჯარი ჯერ კიდევ სავალდებულო-სამხედრო სამსახურზეა დამოკიდებული და რეალურად უვარგის კადრებს აგროვებს; მეორე მხრივ, დაუხვეწავია რეზერვის სისტემა... ბეეეევრად მეტი რეზერვისტია, ბევრად უკეთესად მოსამზადებელი და გასაუქმებელია სავალდებულო გაწვევა. რეზერვისტების მეთოდი ნამდვილად შეესაბამება 21 საუკუნის როგორც ცხოვრების ტემპს, ასევე მოთხოვნებს დიდი რაოდენობით პროფესიონალი ჯარის ყოლისა... მით უმეტეს, ჩვენ ლაპარაკი გვაქვს თავდაცვით ჯარზე, ანუ ჯარზე, რომელმაც თავი უნდა დაიცვას. განსხვავება რაშია:

1) ასეთ ჯარს არ სჭირდება ზედმეტი მოტივაცია, ის სამშობლოს იცავს;

2) ის კარგად იცნობს ბრძოლის ტერიტორიას და შეგუებულია კლიმატს;

3) ასეთ ჯარს მუდმივად ამარაგებს ადგილობრივი მოსახლეობა ყველაფრით, რითიც შეუძლია;

4) ასეთი ჯარი ბევრად მრავალრიცხოვნია, ვიდრე რეგულარული შეიძლება იყოლიოს ქვეყანამ იმავე ფინანსების პირობებში; ასეთ ჯარს არ სჭირდება ძალიან დიდი მობილურობა. ის თავს იცავს, ყველა ქალაქს რომ თავისი რეზერვისტები ეყოლება — „ნა სმერწ“ დადგებიან იქ, სადაც დაიბადნენ და გაიზარდნენ, ჩვენ კი აქედან ჩავალთ და მივეხმარებით.

მოკლედ, თავდაცვისთვის, პატარა ქვეყნისთვის, რომელსაც არ ჰყავს დიდი მოსახლეობა და ერთი და იმავე ხალხმა მშვიდობიან დროს ქვეყანაც უნდა აშენოს და ომისას უნდა იომოს, რეზერვისტების სისტემა იდეალურია.

AK-47:

რა პრობლემა და, როგორც ვიცი, MOD-ში (თავდაცვის სამინისტრო) ყველა ძმაკაც-ნათესაობითაა ისევ და ეგ იმენა, ნერვებს მიშლის. ამან დალუპა საქართველო, ნამდვილად ტალანტის მქონე კადრები კარსმიღმა რჩებიან და ერთი გამოსავალი რჩებათ — აი აქ, ამ ფორუმზე „პოსტონ“...

Armor:

ბევრი ოფიცრის მომზადების დაბალი დონე, რეზერვისტთა სუსტი სისტემა, ზოგიერთი სახის შეიარაღების ნაკლებობა (ღამის ხედვის ხელსაწყოები, 12,7 მმ სნაიპერული შაშხანები, ჯავშანჟილეტები და ა.შ.).

გამოსავალი შემდეგშია: ოფიცერთა განათლების დონის ამაღლება, რეზერვისტთა სისტემის რეორგანიზაცია.

David-S:

პრობლემებს აღარ ჩამოვთვლი, ისედაც ბევრი ითქვა. გამოსავალი კი შემდეგში მესახება:

ა). უნდა დაარსდეს უმაღლესი სამხედრო სასწავლებელი, სადაც მომზადდება ოფიცრობა, რომელმაც უნდა შეადგინოს არმიის ხერხემალი;

ბ). ყველამ თავისი ფუნქცია უნდა შეასრულოს, — დაწყებული ჯარისკაცით და დამთავრებული გენშტაბით, ყველამ უნდა იცოდეს, რა ევალება და რატომ აკეთებს იმას, რასაც სთხოვენ;

გ). უნდა მოხდეს საზოგადოების გათვითცნობიერება, რეალურად რისი ძალა შეგვწევს (ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები) და არა ისე, როგორც ახლაა, ყოველ მეორეს ჩვენი არმია უძლეველი რომ ჰგონია და დარწმუნებულია, რომ შეგვიძლია „ნებისმიერი საბრძოლო დავალების შესრულება“;

დ). სასიცოცხლოდ აუცილებელია სკოლებში დაწყებითი სამხედრო მომზადების განვითარება.

**კითხვა III. თქვენი აზრით, რამდენად გამჭვირვალეა საზოგადოებისთვის საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და შეიარაღებული ძალების საქმიანობა?**

Cyborg-Mcloud:

გამჭვირვალე... ოფიციალურად არ არის, მაგრამ ვისაც მართლა აინტერესებს, იმან ყველაფერი იცის, პლუს რუსებმა საერთოდ ყველაფერი იციან... ანუ... გამჭვირვალე უნდა იყოს — ოღონდ ზედმეტი არ უნდა მოგვივიდეს. ამასთან, საჭიროა, ყველამ ვიცოდეთ, რა ხდება და გვეამაყებოდეს, როცა არის წინსვლა...

AK-47:

წესით, არ უნდა იყოს გამჭვირვალე. ამ მხრივ ბევრ თვალნათლივ შეცდომას უშვებენ. ტელევიზიას ისეთ ადგილებში უშვებენ, სადაც არ უნდა შეყოს ცხვირი! მაგალითად, კოდორის ოპერაციის დროს „რუსთავი 2“-ში პირდაპირ ეთერში აჩვენებდნენ, როგორ და რა გზით მოძრაობდნენ კოლონები და ეს შეიძლება ძალზე დიდი მსხვერპლის მიზეზი გამხდარიყო!

Armor:

უნდა აიკრძალოს საბრძოლო მოქმედებების, ტექნიკის გადაადგილებისა და პოზიციების საჯარო ჩვენება. ჟურნალისტების საქმიანობა მკვეთრად უნდა შეიზღუდოს სამხედრო ოპერაციების დროს. სპეციალური წესებია შემოსაღები.

David-S:

რომელ გამჭვირვალობაზეა ლაპარაკი, როცა მხოლოდ ზოგიერთ ჟურნალისტს აქვს უფლება, შეიჭყიტოს ბაზაზე თუ სამინისტროში? რაც უნდა თქვან, რომ აი, თავდაცვის მინისტრად სამოქალაქო პირი გვყავსო და დემოკრატიული ინსტიტუტების მეთვალყურეობის ქვეშ ვითარდება ჯარიო, ეგ ყველაფერი ცარიელი დემაგოგიაა და მეტი არაფერი.

**კითხვა IV. გაკმაყოფილებთ თუ არა ის ინფორმაცია, რომელიც ვრცელდება თავდაცვის სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურების მიერ?**

Cyborg-Mcloud:

არ მაკმაყოფილებს. ის, რაც მე ვიცი, მინდა, სხვებმაც იცოდნენ — იმიტომ, რომ კარგი წინსვლები და ძვრებია. ძალიან წაადგებოდა საქმეს, საზოგადოებამ რომ იცოდეს, რამდენად ძლიერდება მისი არმია. მეორე მხრივ, ეს ინფორმაცია საიდუმლოა; მესამე მხრივ — რუსებმა (ალბათ, ყველაზე პოტენციური მტრის სახე დღეს — რედ.) ეს ყველაფერი მაინც იციან და რაღა აზრი აქვს დამალვას? — ბარემ საზოგადოებასაც ეთქვას დაუფარავად — ხალხმა მაინც გაიხაროს...

AK-47:

რაც ალღუმებზე და ღია წყაროებში და მედიაში ქვეყნდება, საკმარისზე საკმარისია. დარწმუნებული ვარ, ხალხის 90%-ს სულ არ აინტერესებს, რა შევიძინეთ — „შილკა“ თუ „ბტრ“-ი. ეს ჩვენ, ფანატი პატრიოტები და არსენალელი ფორუმელები ვერ ვისვენებთ და გვინდა ყველაფერი გავიგოთ და ა.შ.

Armor:

დიახ, მაკმაყოფილებს!

*მაშ ასე, პირველი ინტერნეტ-ინტერვიუ დასრულდა. ვფიქრობთ, ურიგო არ გამოვიდა. რაც მთავარია, მიუხედავად რამდენიმე ერთნაირი მოსაზრებისა, განსხვავებული აზრებიც დაფიქსირდა. ისე კი ყველა ერთსულოვანია: სასიკეთო ძვრებსა და პროგრესთან ერთად ჯარს ჯერ კიდევ ბევრი „ჭირი“ აქვს. მოდი, კვლავ ძველი პრინციპით ვისარგებლოთ, მოყვარეს პირში ვუძრახოთ და იქნებ ზოგიერთი პრობლემა მაინც გადავწყვიტოთ.*

*მომავალ შეხვედრამდე ჟურნალისა და ფორუმის გვერდებზე.*

საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# F-117-ები სრულ საბრძოლო მზადყოფნაში არიან




„პირველად 25 წლის განმავლობაში, დამრტყმელ-უჩინმაჩინი თვითმფრინავის F-117 NIGHTHAWK-ების პარკი 100-პროცენტიან საბრძოლო მზადყოფნაშია“, — იუწყება DEFENCETALK-ი.

„ეს დიდი მიღწევაა, — აცხადებს აეროდრომული მომსახურების 49-ე ჯგუფის მეთაური, პოლკოვნიკი გარი ბრიზონი, — ფრენისას თვითმფრინავები ზიანდება და ხშირად, განსაკუთრებით სასწავლო პერიოდის ან საბიუჯეტო წლის ბოლოს, გვიჭირს მწყობრიდან გამოსული მანქანების სათადარიგო ნაწილების მოძიება“.

ტაქტიკური დამრტყმელი თვითმფრინავი F-117 კომპანია Lockheed-მა გასული საუკუნის 80-იან წლებში შეიმუშავა. პირველი გაფრენა F-117-მა 1981 წელს შეასრულა. 1982 წლიდან 1990 წლამდე აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალებისთვის წელიწადში 59 ამ ტიპის მანქანა აიგო, რომელთაგან დღეს დაახლოებით 50 ექსპლუატაციაშია. ამ ხნის განმავლობაში თვითმფრინავი არაერთხელ მონაწილეობდა სხვადასხვა საომარ კონფლიქტში, მათ შორის, სპარსეთის ყურის რაიონსა და ბალკანეთში. ამ ტიპის რამდენიმე მანქანა მოწინააღმდეგის ცეცხლმა გაანადგურა.

F-117 პირველი სერიული თვითმფრინავია მსოფლიოში, რომელიც Stelth-ის ტექნოლოგიის გამოყენებით აიგო. მისი ასაფრენი მაქსიმალური წონა 23, 6 ტონას შეადგენს, მაქსიმალური სიჩქარე — 970 კილომეტრს საათში, მოქმედების რადიუსი კი 917 კილომეტრამდეა. რაკეტული და საბომბე შეიარაღება თვითმფრინავის შიდანაკვეთურებშია მოთავსებული; საბრძოლო დატვირთვის წონა 2268 კილოგრამს შეადგენს.

# ისტორიულ ბრძოლის ველზე ნატოს რადარის მშენებლობა დაიწყო

„აუსტერლიცთან ბრძოლის ველზე, ჩეხეთის სამხრეთ-აღმოსავლეთში, დაიწყო NATO-ს რადარული დანადგარის მშენებლობა“, — განაცხადა ჩეხეთის თავდაცვის სამინისტროს პრესსამსახურმა.

ახალი რადარი აუსტერლიცის მემორიალიდან 800 მეტრში, რუსი, ავსტრიელი და ფრანგი ჯარისკაცების, რომლებიც მე-19 საუკუნის ყველაზე სისხლისმღვრელ ბრძოლაში დაეცნენ, საფლავების თავზე აღიმართება. მშენებლობა პრაცენის მთაზე მიმდინარეობს, რომელზეც 1805 წელს, აუსტერლიცთან ბრძოლის დროს, რუსეთ-ავსტრიის გაერთიანებული ჯარების მთავარსარდლის, მიხაილ კუტუზოვის ბანაკი იყო განთავსებული.

NATO-ს რადარის ამ ლეგენდარულ ადგილას აღმართვის გეგმა 2003 წელს ჩაისახა და მაშინვე დაიწყო კონფლიქტი ჩეხეთის თავდაცვის სამინისტროს, ადგილობრივ მოსახლეობასა და სამხედრო-ისტორიულ კლუბებს შორის, რომლებიც კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდნენ რადარის მშენებლობას; მოწინააღმდეგეთა აზრით, რადარის მშენებლობა ამ ადგილას აუსტერლიცთან ბრძოლაში დაცემულთა ხსოვნის შეურაცხყოფა იქნებოდა. გარდა ამისა, 25-მეტრიანი ნაგებობა ძალზე ახლოსაა მსოფლიო მემორიალთან. მიუხედავად საზოგადოებრიობის წინააღმდეგობისა, თავდაცვის სამინისტრომ მაინც მოახერხა საჭირო ნებართვების მიღება და მშენებლობა დაიწყო.

NATO-ს ახალი რადარული დანადგარი ექსპლუატაციაში 2008 წელს შევა.

# NATO ვერტმფრენებს რეაქტიული ჭურვებისგან დაიცავს



NATO ვერტმფრენების ხელის ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარსატყორცნებისგან დამცავ ახალ ტექნოლოგიას ცდის. შვეულმფრენის დამცავი ახალი პასიური სისტემის გამოცდა, რომელიც ბულგარეთში ჩატარდა, წარმატებით დასრულდა, — 9 გაშვებული რეაქტიული ჭურვიდან მხოლოდ ერთი აფეთქდა.

ხელის ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარსატყორცნები დიდ საფრთხეს უქმნის დაბალ სიმაღლეზე მფრენ, ჰაერში დაკიდებულ ან მიწაზე მყოფ შვეულმფრენებს. სიიაფის გამო ის თვით ყველაზე ღარიბ არმიებშიც კი აქვთ ჰაერსაწინააღმდეგო იმპროვიზებული საშუალებების სახით.

# ინდონეზია რუსეთისგან წყალქვეშა ნავებს იყიდის

ინდონეზია რუსეთისგან 12 წყალქვეშა ნავს იყიდის. ეს მას შემდეგ გადაწყდა, რაც ქვეყნის ხელისუფლებამ და სამხედრო-საზღვაო ძალების ხელმძღვანელობამ უარი თქვეს საფრანგეთსა და გერმანიაში წყალქვეშა ნავების შეძენაზე. ინდონეზიის სამხედრო-საზღვაო ძალების ყურადღება რუსულმა წყალქვეშა ნავებმა საიმედოობითა და სიიაფით მიიქცია. გარიგების თანხას, ჯერჯერობით, არ ახმაურებენ.



„ამურის" კლასის სუბმარინა

პირველი სერიის ექვსი ნავიდან ოთხი „პროექტ 636"-ის მიხედვით აიგება (დასავლეთში ცნობილია როგორც მოდერნიზებული კილო-კლასი), ორი კი ახალი პროექტის, „ამურ-950"-ის მიხედვით. ეს არის 950 ტონამდე შემცირებული სტანდარტული წყალწყვის პროექტ 677 წყალქვეშა ნავების საექსპორტო ვერსია.

„ამური-950" მცირე გაბარიტებისა და მძლავრი შეიარაღების სინთეზია. ნავი აღჭურვილია 4 533მმ კალიბრიანი ტორპედული აპარატითა და ხომალდსაწინააღმდეგო რაკეტების ვერტიკალურად გამშვები დანადგარებით. ნავის მაქსიმალური სიჩქარე 20 კვანძია; ცურვის სიშორე წყალქვეშ დიზელის მუშაობის რეჟიმში, – 3000 მილი; დაძირვის სიღრმე – 300 მეტრი; ნავის მომცრო ზომა აიოლებს მის გამოყენებას თავთხელში.

წყალქვეშა ნავების პირველი სერიის აგების შემდეგ ინდონეზიას განზრახული აქვს კიდევ ექვსი ნავის შეკვეთა. თორმეტივე ერთეული მწყობრში 2024 წელს შევა.

# ყირგიზეთი და აშშ შეთანხმდნენ

ყირგიზეთში, ბიშკეკის აეროპორტ მანასში აშშ-ის სამხედრო ბაზის განლაგების თაობაზე აშშ-სა და ყირგიზეთს შორის შეთანხმების რამდენიმე დეტალი გახმაურდა.

აშშ-ის ბაზის დისლოკაციისათვის ერთჯერადი კომპენსაციის სახით ყირგიზეთის ჯანმრთელობის სამინისტრო 5 მლნ დოლარს მიიღებს, ამდენივეს გამოუყოფენ რესპუბლიკას ტერორიზმთან, ხოლო 6 მლნ-ს კი ნარკოტრაფიკთან საბრძოლველად. რამდენიმე მილიონ დოლარს მიიღებენ თავდაცვის სამინისტრო, ეროვნული უშიშროების სამსახური და ყირგიზეთის ეროვნული გვარდია. აშშ ასევე დააფინანსებს სახელმწიფო ავტოინსპექციის, საგადასახადო ინსპექციის, პარლამენტისა და სასამართლო ორგანოების განმტკიცების პროგრამებს. გარდა ამისა, ვაშინგტონი ყირგიზეთს ყოველწლიურად გადაუხდის დაახლოებით 45,6 მლნ დოლარს.

როგორც აშშ სახელმწიფო მდივნის თანაშემწემ რიჩარდ ბაუჩერმა განაცხადა, „ყველაფერი მოგვარებულია. ჩვენ ხელი მოვაწერეთ შეთანხმებას. ყირგიზეთის პრეზიდენტმა, პრემიერმა და საგარეო საქმეთა მინისტრმა ბაზა 11 სექტემბერს დაათვალიერეს და თავიანთი მხარდაჭერა აღგვითქვეს...".

# ინდოეთმა უარი თქვა ძველ ბრიტანულ თვითმფრინავებზე

ინდოეთი აღარ იყიდის ბრიტანეთის სამხედრო-საზღვაო ავიაციის შემადგენლობიდან გამოსულ ძველ რვა ვერტიკალური აფრენის გამანადგურებელ SEA HARRIER FA.2-ს. ძველი „სი ჰერიერები" გასაყიდად რამდენიმე მნიშვნელოვანი ელემენტის გარეშე გამოიტანეს. კერძოდ, მათ აღარ აქვთ რადარი Blue vixen-ი და პაკეტი „ჰაერი-ჰაერი" AIM-120 AMRAAM-ი.



ავიამზიდი „ვიკრამადიტია" ყოფილი „ადმირალი გორშკოვი"

გასაყიდად გამოტანილი „სი ჰერიერების" დათვალიერების შემდეგ, ინდოეთის საზღვაო ავიაციის პილოტებმა და თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლებმა მათ ყიდვაზე უარი განაცხადეს.

ამჟამად ინდოეთის სამხედრო-საზღვაო ძალებს შეიარაღებში ჰყავს ამ ტიპის 22 გამანადგურებელი, რომლებიც უახლოეს წლებში რუსეთის წარმოებული 40-50 საგემბანო გამანადგურებლით МиГ-29К-ით შეიცვლება.

„სი ჰარიერების" მწყობრიდან მალე გამოსვლის გამო, მათი ყიდვისა და რემონტისთვის ხარჯის გაწევა ინდოეთს გაუმართლებლად მიაჩნია. ამ ტიპის ბოლო მანქანები, ავიამზიდ „ვირაატთან" (ყოფილი ბრიტანული ავიამზიდი „ჰერმესი") ერთად, ინდოეთის სამხედრო-საზღვაო საგემბანო ავიაციის შემადგენლობიდან 2008-2009 წლებში გამოვა. ფლოტის შემადგენლობაში „ვირაატს" ავიამზიდი „ვიკრამადიტია" (ყოფილი საბჭოური კონსტრუქციის „ადმირალი გორშკოვი") შეცვლის.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# უკიდურესი დაძაბულობის ეპიცენტრისკენ...

## იქცევა თუ არა პოლიტიკური და ეკონომიკური ომი სამხედრო შეიარაღებულ კონფლიქტად საქართველო-რუსეთს შორის

„არსენალის" წინა ნომრის გამოსვლის შემდეგ კიდევ უფრო დაიძაბა ურთიერთობა საქართველოსა და რუსეთს შორის. საქმე იქამდეც მივიდა, რომ ორივე ქვეყნის ოფიციალურმა პირებმაც დაიწყეს ლაპარაკი ორ ქვეყანას შორის შესაძლო შეიარაღებულ დაპირისპირებაზე.

დაპირისპირება, არა მარტო პოლიტიკური თუ ეკონომიკური, არამედ სამხედროც, მხოლოდ დღეს არ გამხდარა აქტუალური.

საქართველო და რუსეთი ერთმანეთთან ომობდნენ და არა მხოლოდ 1921 წელს. 1992-93 წლებში ქართულ არმიას რეალურად რუსეთის შეიარაღებული ძალების რეგულარული დანაყოფები საშტატო იარაღითა და საბრძოლო ტექნიკით უპირისპირდებოდნენ როგორც ცხინვალის რეგიონში, ისე აფხაზეთში.

აბა სხვანაირად როგორ უნდა აიხსნას, როცა გუდაუთიდან აფრენილი რუსული საბრძოლო თვითმფრინავები და შვეულმფრენები ბომბავდნენ ქართულ პოზიციებს, აფხაზეთის სანაპიროსთან ღუზაჩაშვებული რუსული სამხედრო ხომალდებიდან ზვერავდნენ ქართულ სანაპიროს, ხოლო ეშერასთან თუ ტყვარჩელთან განთავსებული რუსული საზენიტო-სარაკეტო დანადგარებიდან გამოშვებული რაკეტებით ანადგურებდნენ ქართულ საფრენ აპარატებს (მათ შორის სამგზავრო თვითმფრინავებსაც კი).

მაშინ საქართველომ ვერ მოახერხა, რიგიანად აეხსნა მსოფლიო საზოგადოებრიობისთვის, ვინ ებრძოდა სინამდვილეში მას აფხაზეთში.

დღეს კი შეიძლება იგივე განმეორდეს. გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრი რუსეთის ფედერაცია ყველანაირად ეცდება, სააშკარაოზე არ გამოვიდეს, რომ უშუალოდ ის შეებრძოლება სუვერენულ საქართველოს. ამისთვის კრემლი ნაცად ხერხს გამოიყენებს: ცხინვალელ და სოხუმელ სეპარატისტებს მიუსევს თბილისს იმის დასამტკიცებლად, რომ კონფლიქტი მხოლოდ ეთნიკური ხასიათისაა და მოსკოვი არაფერ შუაშია.

სწორედ ამ მიზნით, სანამ შეიარაღებული დაპირისპირება მართლაც დაწყებულა, რუსი გენერალიტეტი დაჩქარებული ტემპით აიარაღებს სეპარატისტულ ძალებს ცხინვალის რეგიონსა და აფხაზეთში. შეიარაღებული კონფლიქტის დაწყების შემთხვევაში კრემლიდან განაცხადებენ, რომ ქართულ არმიას სეპარატისტები თავიანთი ძალებით უპირისპირდებიან და რუსეთი არაფერ შუაშია.

1992 წლისგან განსხვავებით, როდესაც აფხაზებისა და ჩრდილოკავკასიელების შეიარაღება ეტაპობრივად ხდებოდა, ამჯერად კრემლს უფრო დიდი დრო აქვს, ეს პროცესი წინასწარ დაგეგმოს და ხორცი შეასხას კიდეც, რადგან უშუალოდ საბრძოლო მოქმედებების დროს შედარებით ადვილად დაფიქსირდება ის სამხედრო კოლონები, რომლებიც რუსეთის ტერიტორიიდან სოხუმსა თუ ცხინვალში შევლენ. ეს კი საერთაშორისო საზოგადოებრიობას მისცემს უფლებას, რუსეთი დაადანაშაულოს საქართველოს წინააღმდეგ ქმედებებში.

დასანანია, რომ ჯერჯერობით საერთაშორისო ორგანიზაციები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ რუსული იარაღის შედინებას „თეთრ ომებში" — სეპარატისტულ, გაუკონტროლებელ ზონებში.

გასული წლებისგან განსხვავებით, სეპარატისტული ცხინვალი და სოხუმი ცდილობენ რაც შეიძლება შეთანხმებულად იმოქმედონ, რასაც ნამდვილად ეტყობა კრემლის ხელი. ჯერ სოხუმმა ჩაატარა არალეგიტიმური რეფერენდუმი, შემდგომ კი რუსეთის დუმას მიმართა აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარების მოთხოვნით; 12 ნოემბერს კი ცხინვალი აპირებს რეფერენდუმის ჩატარებას, რის შემდეგაც უთუოდ იმავე თხოვნით მიმართავს მოსკოვს...

ეს არის სწორედ ის პროვოკაციული ქმედებები, რაც განკუთვნილია ოფიციალური თბილისის გასაღიზიანებლად. ასეთ შემთხვევაში ნებისმიერი სუვერენული ქვეყნის ხელმძღვანელობა იძულებული გახდება (თუნდაც თავისი მოქალაქეების წინაშე პასუხისმგებლობის გამო), საპასუხო ნაბიჯი გადადგას. მაგრამ როგორ? ორჯერ სეპარატისტების პროვოკაციაზე უკვე წამოვეგეთ, ჯერ ცხინვალში, შემდეგ აფხაზეთში. რა მოხდება დღეს?

ოფიციალურმა თბილისმა ერთი რამ უნდა გაითვალისწინოს, წინა კონფლიქტებისგან განსხვავებით, ახლა ორივე სეპარატისტული რეჟიმი ეცდება, ერთდროულად გაამწვავოს სიტუაცია და თბილისს ორი ფრონტი გაუხსნას.

ერთდროულად საბრძოლო მოქმედებების წარმოება ორ ერთმანეთისგან მნიშვნელოვნად დაცილებულ (საქართველოს მასშტაბში) რეგიონში თბილისისთვის ძნელი იქნება, მით უმეტეს, თუკი შეიარაღებული შეტაკებები გაჭიანურდა. ასეთ დროს მნიშვნელობა ექნება არა იმას, გვყოფნის თუ არა ტანკები, არამედ საიდან ჩავასხათ საწვავი, რა ვაჭამოთ მებრძოლებს, სად ვიშოვოთ ჭურვები და ა.შ.

სწორედ ეკონომიკური ხასიათის პრობლემებს ექნება გადამწყვეტი მნიშვნელობა შესაძლო შეიარაღებულ კონფლიქტებში ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე. ელვისებური შეტევა დროშის აფრიალებითა და ჰიმნის შესრულებით მხოლოდ ფილმებში ხდება, რეალობა უფრო სასტიკია. დაწყება ადვილია, ცოტა არ იყოს, გამარჯვება ჭირს...

*ირაკლი ალადაშვილი*

„რუსებს სხვადასხვა კალიბრის სარაკეტო დანადგარები აქვთ — „გრადები“, „ურაგანები“, „სმერჩები“. არის თუ არა ამერიკის არმიაში მაგვარი იარაღი?

*მერაბ მაისურაძე*



# უნივერსალური „კატიუშა“ ამერიკულად

მეორე მსოფლიო ომის დროს ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემების БМ-13 „კატიუშას“ ეფექტიანად გამოყენების შემდეგ საბჭოთა არმიაში ყოველთვის დიდ ყურადღებას აქცევდნენ ამ კლასის იარაღს. ამიტომაც შეიქმნა ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემები: 122 მმ-იანი „გრადი“ (40 უმართავ რაკეტას 21 კმ-ზე ისვრის), 220 მმ-იანი „ურაგანი“ (16 რაკეტას 35 კმ-ის რადიუსში უშვებს) და 300 მმ-იანი „სმერჩი“ (12 რაკეტას 70 კმ-ზე ისვრის).

ამერიკელები სხვა გზით წავიდნენ, რათა თითოეული კონკრეტული რაკეტისთვის არ შეექმნათ ცალკე სისტემა. 1983 წელს აშშ-ის არმიის შეიარაღებაში მიიღეს ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემა MLRS, რომელიც 240 მმ კალიბრის 12 რაკეტას 40 კმ-ის მანძილზე ისროდა, ოღონდ რუსული „გრადებისა“ და მისი „მეგობრებისგან“ განსხვავებით, MLRS-ის გასაშვებ დანადგარზე (თავად MLRS-ი „ბრედლის“ ტიპის ქვეითთა საბრძოლო მანქანის ბაზაზე შეიქმნა) არ იყო დაღუღებული კონკრეტულად მხოლოდ ერთი კალიბრის მილები. რაკეტების გასაშვები ოთხკუთხა ფორმის დანადგარში თავსდება ჰერმეტულად დახურული კონტეინერები 240 მმ კალიბრის რაკეტებით, ოღონდ თუკი დასახული საბრძოლო ამოცანა იცვლება და მოწინააღმდეგის დაზიანება 40 კმ-ზე უფრო შორ მანძილზეა საჭირო, მაშინ კონტეინერების ნაცვლად გასაშვებ მოწყობილობაში თავსდება ორი ATACMS ტიპის რაკეტა, რომლის სროლის მანძილი ოპერატიულ-ტაქტიკურია — 115-დან 300 კმ-მდეა (გააჩნია მოდიფიკაციას).



MLRS-ის შეიარაღება: ოპერატიულ-ტაქტიკური რაკეტა ATACMS-ი და ექვსუმართავრაკეტიანი ბლოკი

MLRS-დან გაშვებული ATACMS-ის რაკეტა რუსულ ოპერატიულ-ტაქტიკურ სისტემებს Точка-У-სა და უახლეს Искандер-საც კი გაუწევს პაექრობას.

გამოდის, ერთი MLRS-დან შეიძლება მოწინააღმდეგის ზურგის ეშელონური დაბომბვა (მათ შორის თვითდამიზნებადი საბრძოლო ელემენტებით, რომლებიც უმართავი რაკეტების ქობინებშია ჩაწყობილი), რისთვისაც რუსულ არმიას ხუთი სხვადასხვა ტიპისა და კლასის სარაკეტო დანადგარი — „გრადი“, „ურაგანი“, „სმერჩი“, „ტოჩკა“ და „ისკანდერი“ სჭირდება.

რუსული ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემებისგან განსხვავებით, ამერიკული MLRS გამოირჩევა ავტომატიზების ბევრად მაღალი დონით. ეკიპაჟი სამი კაცისგან შედგება, რომლებიც მანქანის ჯავშნიან კაბინაში კომპიუტერთან კომფორტულად სხედან და იქიდან ისვრიან.

ვისაც „გრადიდან“ სროლა უნახავს აფხაზეთში თუ ჩეჩნეთში, დამეთანხმება, რა შრომა სჭირდებათ ჯარისკაცებს 66 კგ-იანი რაკეტების ჩასატვირთად „გრადის“ გასაშვებ დანადგარში. ამერიკულ MLRS-ში კი ეს პროცესი მექანიზებულია — მოდის სპეციალური მანქანა, დგება MLRS გვერდით და რაკეტებიანი კონტეინერები სპეციალური რელსებით შეცურდება გასაშვებ დანადგარში.

აშშ-ის გარდა, MLRS-ები კიდევ 14 ქვეყნის შეიარაღებაშია. ისრაელს 48 ასეთი დანადგარი აქვს, რომლებსაც ებრაელი სამხედროები ინტენსიურად იყენებდნენ იმ პარტიზანული „კატიუშებისა“ თუ „გრადების“ ჩასახშობად, რომლებიდანაც ლიბანის სამხრეთიდან ებრაულ ქალაქებს რაკეტებს უშენდნენ.





MLRS-ის ეკიპაჟი ჯავშნიანი კაბინიდან კომპიუტერის საშუალებით აუღელვებლად ისვრის რაკეტებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თავის გადარჩენა ველური ბუნების კირთებში

ბუნებასთან პირისპირ ადამიანი, ძირითადად, ქვემოჩამოთვლილ მიზეზთა გამო რჩება. ესენია:
სატრანსპორტო კატასტროფა;
კლიმატური ანომალია;
რაიმეს ძებნის, მაგალითად, განძის ძებნის დროს;
ხიფათის მოყვარულთა მოგზაურობა;
გმირობის ჩადენის სურვილი თვითდამკვიდრების მიზნით.
ზემოჩამოთვლილი და ბევრი სხვა, აქ გამოტოვებული შესაძლო სიტუაცია ორ ჯგუფად იყოფა;
1) სიტუაცია, რომლის დროსაც ერთ ადგილას უნდა დარჩე;
2) სიტუაცია, როცა გადაადგილებაა საჭირო.

ბუნებრივია, ადამიანი, რაც უნდა მომზადებული იყოს ფიზიკურად, შიშველი ხელებით მაინც ვერაფერს გააწყობს იმ განსაცდელთან, რასაც ველური (თუნდაც ერთი შეხედვით უსაფრთხო) ბუნება უმზადებს. ამიტომ, თუ კრიტიკული სიტუაციის შექმნის ერთი შანსი მაინც არსებობს, სჯობია, თქვენს ფიზიკურ შესაძლებლობებს ზედმეტი გამოცდა არ მოუწყოთ და აუცილებელი აღჭურვილობის მინიმალური პაკეტი მაინც წაიღოთ თან.



## იარაღი

ველურ ბუნებაში გასვლისას თან იქონიეთ რამდენიმე დანა, რომლებიც სხვადასხვა ადგილას გექნებათ შენახული;

როცა ბუნებასთან პირისპირ დარჩებით, უპირველეს ყოვლისა, შეიარაღდით. გამოთალეთ კომბალი ან კეტი, რომელსაც მსხვილი თავი ექნება;

კომბალი კორძიანი ხისგან გააკეთეთ, რადგან მტკიცე წვეტიანი შვერილები მსხვერპლს უკეთ დააზიანებს; გამოთალეთ ორმეტრიანი შუბი სწორი, მტკიცე ტოტისგან და მიაბით წვერზე ერთ-ერთი დანა;

თუ ასე მოიქცევით, თქვენ სამი სახის თავდასაცავი იარაღი გექნებათ: შუბი, კომბალი და დანა. რა თქმა უნდა, შეიძლება ერთი სახეობითაც იოლას გახვიდეთ. ნებისმიერ შემთხვევაში, იმედია, თავს და აზროვნების უნარს არ დაკარგავთ და სიტუაციიდან გამომდინარე გადაწყვეტთ, რა უფრო გამოგადგებათ.



## საკვების მარაგი

როცა საკვებს იმარაგებთ, გაითვალისწინეთ:

თუ წყლის ნაკლებობა არ მოგელით, მოიმარაგეთ მხოლოდ მშრალი და კალორიული საკვები: შაქარი, ლორი, ორცხობილა, ხორცისა და თევზის კონსერვები, ჩირი და კერკი. უარი თქვით ნახევარფაბრიკატებზე, რაც მზარეულის ფუნქციას აგაცილებთ თავიდან.

ნორმალური კვებისთვის ერთ დღე-ღამეში საკმარისია საშუალოდ 0,5 კილოგრამი მშრალი პროდუქტი და 2-8 ლიტრი წყალი. გაუთვალისწინებელი სიტუაციებისთვის სჯობია საკვნეტი შაქრის მომარაგება.

## მცენარეული საკვები

კრიტიკულ სიტუაციაში საკვებად მრავალი მცენარის გამოყენება შეიძლება. მაგალ-

ითად, მაყვალი, ვარდკაჭაჭა, მჟაუნა, კვლიავი, წყალნაწყენა, თეთრი ჭინჭრის დედა.

საჭმელად გამოიყენება მრავალძარღვას, შავი მოცხრის, ასკილის, წვრილფოთლოვანი ცაცხვის, დიდი ოროვანდის, ბაბუაწვერას, მინდვრის სამყურას, მარიამსხალას, ვირისტერფას, დიყის, გაზაფხულის ფურისულას და ქუთქუთას ლორთქო ფოთლები.

უმდ ჭამა შეიძლება: თხაწართხალას, ტბის ლელქაშის, კოთხუჯის, თავსისხლას, ექვსფურცლოვანი ქაფურას, დიდი ოროვანდის, მხოხავი ჭანგასა და ორფერის ფესვებისა.

დაფქული სახით საკვებად გამოიყენება: ბაბუაწვერას, ტბის ლელქაშის, მატიტელას, ჭინჭრის, ჭაობის დიდბაიას, ზღვის ლელქაშის, ყვითელი დუმფარას, ბატისმარწყვას, ჭანგას, თეთრი დუმფარას, ფართოფოთლოვანი ლაქაშის, ქოლგისებრი ჩალაყვავილასა და თავსისხლას ძირები.

საკვებად გამოსაყენებელი ფესვებისგან ფქვილის დამზადება: დაჭერით წვრილად, გამოაშრეთ, დაფქვით, მოზილეთ ცომი და გამოაცხვეთ. ფესვების ფქვილში მარცვლეულის ფქვილის გარევაც შეიძლება. შეიძლება ცომის დამჟავებაც. თუკი მასში ჩვეულებრივ პურს ან დაფხვნილ ორცხობილას გაურევთ და თბილ ადგილას მოათავსებთ, რამდენიმე ხნის შემდეგ ცომი აფუვდება.

ტბის ლელქაშის დაფქული ძირებისგან კარგი ფაფა იხარშება.

ზემოჩამოთვლილი მცენარეებით ჩვეულებრივ პირობებში კვებას არ გირჩევთ. შეიძლება ამას ისეთი შედეგი მოჰყვეს, რომ დისკომფორტი შეგექმნათ. სხვა ამბავია, თუ საკვებად მეტი არაფერი მოგეპოვებათ. მაშინ მსუბუქი დისკომფორტი ასატანია.

## საკვებად ვარგისი ფოთლების შენახვის ხერხი

1. გამოაშრეთ;

2. დაამჟავეთ როგორც კომბოსტო (მაგალითად, ბაბუაწვერას ლორთქო ფოთლები);

3. გააკეთეთ მჟავე, მარილიანი პიურე (დაუმატეთ ძმარი) და შეინახეთ გრილ ადგილას; ყავის მომზადება შეგიძლიათ ბაბუაწვერასა და ვარდკაჭაჭას გამხმარი ძირებისგან ან მოხალული გამხმარი რკოს ნაყოფისგან.

მჟაუნის ბევრი ჭამა საზიანოა, რადგან მის სიმჟავეს სისხლში კალციუმი არახსნად მდგომარეობაში გადაჰყავს.

ბალახეულისა და მცენარეულისგან დამზადებული ჩაი ვიტამინებისა და მრავალი სხვა სასარგებლო ნივთიერების წყაროა. ჩაისთვის გამოსადეგია:

1) ყვავილები და ფოთლები:

კრაზანა, მარწყვი, ჟოლო, მარუჭი, ხვეულფოთლიანი ქაფურა, კვლიავი, თეთრი ჭინჭარი.

2) ფოთლები:

ჭინჭარი, მრავალძარღვა, მოცხარი, ვირისტერფა, წყალნაწყენა, ორფერი ფურისულა.

3) ნაყოფი:

წითელი მოცვი, ცირცელი, დიდგულა, შინდი, ფშატი, ძახველი, ზღმარტლი, კურკანტელი, კუნელი.

4) ყვავილები, ნაყოფი, ფოთლები.

ასკილი, კუნელი.

*საჭმელად ვარგის მცენარეებს ჰყავს ნათესავები, რომელთა საკვებად გამოყენება არ შეიძლება. თუ ბაბუაწვერა და მრავალძარღვა ყველასთვის ნაცნობი მცენარეებია, მოდი და, განასხვავე ვირისტერფა ფურისულასგან. ალბათ, სქელტანიანი ცნობარი დაგჭირდებათ. ყველაზე საუკეთესო გამოსავალი მშვიდ გარემოში საკვებად ვარგისი მცენარეების ჰერბარიუმის შედგენაა.*

*ღმერთმა ნუ ქნას, ჰერბარიუმის შეჭმამ მოგიწიოთ. ჩვენ დროში ხომ ყველაფერია მოსალოდნელი.*

## ცხოველური საკვების მოპოვება

თუ ხოხობი, იხვი ან კურდღელი მოინადირეთ, იმედია, ჩვენი ინსტრუქცია არ დაგჭირდებათ, ისედაც მოუხერხებთ რამეს. ჩვენ იმ ვარიანტზე შევჩერდებით, საქართველოს პირობებში უცხოდ რომ გვეჩვენება:

1. ბაყაყები, გომბეშოები (მათი ლორწო შეიძლება შხამიანი აღმოჩნდეს);

2. გველები;

3. ლოკოკინები, ლოქორიები (მოლუსკები, ხამანწკები).

## ნადირობა

ყველაზე გავრცელებულია იარაღის გარეშე, მახეებით ნადირობა, მაგრამ მახის ან ხაფანგის დასაგებად მათი აგებულების ცოდნაა საჭირო; გარდა ამისა, მონადირემ სიფრთხილე უნდა გამოიჩინოს, რომ სხვის დაგებულ ხაფანგში თავად არ გაება.

გახსოვდეთ, თუ ნადირის ბილიკებით სიარული მოგიხდათ, არსებობს რისკი, სხვის დაგებულ მახეებს გადაეყაროთ. ასეთ დროს ხიფათი ნებისმიერი მხრიდანაა მოსალოდნელი, მათ შორის ზემოდანაც და ქვემოდანაც.

ცნობილია მახეების შემდეგი ტიპები:

შენიღბული ორმო, რომლის ფსკერზეც წვერწამახული მორებია ჩასობილი; ბადე, რომელიც უცებ იწევა ზემოთ ან ზემოდან ვარდება;

მარყუჟი;

სიმძიმე, რომელიც სიმაღლიდან ვარდება;

რკინის ხაფანგი;

რკინისბადიანი ხაფანგი, რომლის კარიც თვითონ იკეტება;

მოზიდული მშვილდი, რომელიც ისარს ისვრის.

მახეების გასაკეთებლად საჭიროა ნიჩაბი, ცული, დანა და დიდი თოკი. ზოგიერთ შემთხვევაში ხმელი ბალახისგან დაგრეხილი თოკის გამოყენებაც შეიძლება. ხაფანგების ასამოქმედებელ ენერგიად შეიძლება გამოვიყენოთ:

დაკიდებული სიმძიმე, დედამიწამდე დადრეკილი ტოტი ან თვით ხე; დადრეკილი ტოტი (მშვილდი) დახვეული ჩალიჩი (ჟგუტი)

მახეების მსხვერპლზე ზემოქმედების შესაძლო შემთხვევები: მახვილით განგმირვა, ტვირთის დაცემისგან გამოწვეული ძვლების მოტეხილობა, რკინის ხაფანგში მოხვედრისას ძვლების მოტეხილობა; მოხრჩობა (მარყუჟით), მოძრაობის შეზღუდვა.

## თევზაობა

თევზაობისთვის განკუთვნილი ინვენტარი მაინცდამაინც არ დაგამძიმებთ. ლაშქრობაში წასვლისას თან იქონიეთ სათევზაო დიდი და პატარა ნემსკავები, მსხვილი და წვრილი ძუა



ეს წვრილმანი ნივთები მაინცდამაინც არ დაგამძიმებთ, თუმცა შესაძლოა ძალიან დიდი სამსახური გაგიწიონ...

და ტყვის საძირავები. ტივტივას გაკეთება კი ყოველთვის შეიძლება სხვადასხვა მასალით.

თევზის დაჭერის მსურველს უნდა ახსოვდეს:

თევზი ცუდად ეტანება სატყუარას ცხელ ამინდში, სათევზაოდ კარგი დროა სისხამი დილა; ღლავი ღრმა ადგილებში ბინადრობს, სადაც დინება მდორეა, ფსკერი კი ხავსიანი. თევზაობისას ხმამაღლა ნუ ილაპარაკებ: თევზს ხმაურის ეშინია. თევზს შეუძლია მეთევზის დანახვა, რის შემდეგაც იმ ადგილს ერიდება. თევზი მგრძნობიარეა წყალში ჩაცვენილი ნივთების ხმაურზე.

## შიმშილი

თუ ჩამოთვლილი საკვებიდან ვერაფერი მოიპოვეთ, ნუ დაღონდებით, — შიმშილი საშიში არ არის. თუ საშუალოდ განვითარებული ადამიანი ერთ ადგილას იქნება და არ გადაადგილდება, უჭმელად თავისუფლად შეუძლია 20 დღე-ღამე გაძლოს; ხოლო თუ ვაკეზე გადაადგილდება, ექვსი დღე გარანტირებული აქვს (სხვა საკითხია მთაში გადაადგილება). ზოგიერთი გამოცდილი მოგზაური იმის გამო, რომ არ სურს ზედმეტი ტვირთის თრევა და საჭმლის კეთება, ხშირად „მშიერ მარშს“ აწყობს.

მშიერთა ჰიგიენა შემდეგია: სრული შიმშილობა უფრო ადვილი ასატანია, ვიდრე ნაწილობრივი. შიმშილის გრძნობა მხოლოდ სამ დღეს შეგაწუხებთ. მისი ჩახშობა დიდი რაოდენობის თბილი წყლით შეიძლება. შემდეგ ორგანიზმი მდგომარეობას ეჩვევა. ოცი დღის უჭმელობის შემდეგ კვლავ ჩნდება შიმშილის გრძნობა. ეს უკვე დისტროფიის დაწყების ნიშანია. შიმშილობის შემდეგ საჭმელს ნუ დააცხრებით. საკვების პირველი ულუფები მიზერული უნდა იყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მოკვდებით(!).

6 დღის შიმშილობის დროს შეგიძლიათ ვაკეზე 200 კილომეტრი გაიაროთ.

შიმშილობას შეიძლება წინასწარ შეეჩვიოთ. დანიშნეთ განტვირთვის დღე, — კვირაში ერთხელ ნურაფერს მიირთმევთ.

## აღჭურვილობა

ზურგჩანთის მისაღები წონა, რომელსაც ადამიანი ენერგიის დახარჯვის გარეშე მთელი დღის განმავლობაში ატარებს, ექვსი კილოგრამია. აღჭურვილობის მინიმუმად დანა და ასანთი ითვლება, ზოგჯერ ამ კომპლექტს მათარა და კომპასი ემატება. ასანთი გამდნარი პარაფინით უნდა იყოს გაჟღენთილი და წყალგაუმტარ ფლაკონში ინახებოდეს.

მათარა ლითონის სჯობია, რათა შესაძლებელი იყოს მასში წყლის ადუღება.

თან იქონიეთ ზონარი, რომელიც მშვილდის ლარად, ხოლო ლურსმნები ისრების ბუნიკად გამოგადგებათ.

მომცრო ნიჩაბი (მესანგრეთა ნიჩაბზე პატარა) სასიცოცხლო მნიშვნელობის საგანია. იგი მიწურისა და ჭის ამოსათხრელად გამოგადგებათ. გარდა ამისა, თუკი ნიჩაბს პირს წინასწარ აულესავთ, ნაჯახადაც გამოგადგებათ.

მომცრო შპრიცი (დაახლოებით 50 მილიგრამის მოცულობისა) — საავარიო სიტუაციებში გამოსადეგი საგანია:

1. შპრიცით შეიძლება ნამის შეგროვება;
2. სწორი ნაწლავის გამორეცხვა იძულებითი შიმშილობის დროს. თუ სწორ ნაწლავს არ გამოირეცხავთ, ლპობადი ნარჩენებით მოიწამლებით;
3. წყლის მიღება სწორი ნაწლავიდან. ორგანიზმი სითხის ეკონომიას აკეთებს, როცა ფეკალური მასებიდან წყალს ისრუტავს. ამ პროცესის გამოყენება შეიძლება ბინძური წყლის მცირე ულუფებით გამოყენების შემთხვევაში;
4. ყაბზობის ლიკვიდაცია. ადამიანს კუჭი შეიძლება ფსიქიკური გადატვირთვების დროს შეეკრას.

## ტექნოლოგიები

ბაწარი მხოლოდ ხმელი ბალახისგან იგრიხება. თუ მის დასაგრეხად მწვანე ბალახს გამოიყენებთ, ასეთი თოკი გაშრობისთანავე გარმონივით დაიშლება. თუ კოცონს ცალ მხარეს ყორეს ამოუშენებთ, გაცილებით ნაკლები შეშა დაგჭირდებათ.

მიწური ადამიანს სიცხისა და სიცივისგან იცავს. მიწური წყალგაუმტარი რომ გახდეს, დააფარეთ მას ცელოფანი და ზემოდან მიწა დააყარეთ.

თხელი პოლიეთილენის ნაჭერი, 1-2 მეტრის მოცულობისა, ერთობ მოხერხებულად იკეცება, მისი გამოყენება კი მრავალნაირად შეიძლება: წვიმისგან თავის დასაცავად, მიწურის სახურავად, ქვეშ დასაფენად, მდინარეზე გადასასვლელი ტივტივის გასაკეთებლად. თუ კარავში მშრალი სპირტი გინთიათ, ნუ ჩააქრობთ მას, რადგან სივრცე არასასიამოვნო სუნის კვამლით გაივსება. სჯობია, ბოლომდე დაწვა აცალოთ ან კათხა დააფაროთ.

წყლის ასადუღებლად მშრალი სპირტის გამოყენების ეფექტიანობა ერთიორად გაიზრდება, თუ კონსერვის ქილისგან მინილუმელს გააკეთებთ.

## ადგილის შერჩევა

ამოირჩიეთ ქარისგან დაფარული ადგილი. ტყეში ბუჩქები და ხეები კარგად გვიცავენ ქარისგან. ღია ადგილებში კი საჭიროა ხელოვნურად მოვაწყოთ საფარი, ამოვაშენოთ ქვებისგან კედელი, ამოვთხაროთ მიწური, ხის ტოტებისგან და ბუჩქებისგან მოვაწყოთ საფარი.

ზამთარში დათოვლილი ხის ძირას კოცონის დანთება სახიფათოა.

## ტანსაცმელი

მთაში გადარჩენის მთავარი პრობლემა სითბოს შენარჩუნებაა. სიცივე არასოდეს იძლევა დროს ცდებისა და ექსპერიმენტებისთვის.

სიცივეში სხეულის სითბო გარემოს გადაეცემა. ამიტომ ამ დროს ტანსაცმელი ერთ მიზანს ემსახურება: შეუნარჩუნოს სხეულს ტემპერატურა, არ მისცეს მას გარეთ გამოსვლის უფლება. როცა ტანსაცმელს იცვამთ და იხდით, თქვენი სხეულის ტემპერატურის რეგულირებას ახდენთ. შიგნითა ტანსაცმელი სითბოს გარეთ გამოსვლას უშლის ხელს, ქარგაუმტარი ზემოთა ტანსაცმელი კი ცივი ჰაერის სხეულთან მიახლოებასა და სითბოს განქარებას აბრკოლებს.

რამდენიმე ყურადსაღები რჩევა: ვიწრო ტანსაცმელი სხეულსა და ქსოვილს შორის ჰაერის ფენას ამცირებს და სისხლის თავისუფალ ცირკულაციას არღვევს.

სახიფათოა გაოფლიანება; იგი ტანსაცმლის იზოლირებად თვისებებს ამცირებს, რადგან ჰაერს ტენით ცვლის, აორთქლებული ტენი კი სხეულს აცივებს. ეცადეთ, არ გადახურდეთ; დროულად გაიხადეთ ზედმეტი ტანსაცმელი, გაიხსენით საკინძე, მოიფხონეთ საყელო.

ხელები და ფეხები სხეულის სხვა ნაწილებთან შედარებით გაცილებით სწრაფად



ღრმა თოვლში გამოთხრილი თავშესაფარი კარგად შეინახავს სითბოს და ქარისგანაც საუკეთესოდ დაგიცავთ

ითოშება და ამიტომ საგანგებო ყურადღება მიაქციეთ. თუ საშუალება გაქვთ, ხელები ყოველთვის თბილად შეინარჩუნეთ. ხშირი ოფლიანობის გამო ფეხების თბილად შენარჩუნება შედარებით ძნელია. თუმცა შეგიძლიათ ისეთი მაღალყელიანი ფეხსაცმელი იქონიოთ, რომელშიც ორი წყვილი წინდის ჩაცმა იქნება შესაძლებელი. ასეთ (სრულ) ფეხსაცმელში სიმშრალეს შეინარჩუნებთ და ფეხებიც აღარ გაგეთოშებათ. თუ თბილი ორმაგი წინდა გეცმევათ ან ერთ წინდაზე მეორეს ჩამოიცვამთ, მათ შორის კი მშრალ თივას, მატყლს, ხმელ ფოთლებს ან ცელოფანს ჩაიფენთ, ფეხები აღარ გაგეყინებათ.



**არ არის აუცილებელი დანა რომელიმე ცნობილი ფირმის წარმოებული იყოს. მთავარია მოსახერხებელი ვადა და მჭრელი პირი...**

## ჯანმრთელობა

ავადმყოფობას ავრცელებენ მწერები, მცენარეები, ცხოველები. მათგან გამოწვეული დაავადების ალბათობა იკლებს, რაც უფრო ვუახლოვდებით თოვლს, სიცივეს და იზრდება ფიზიკური წინააღმდეგობები. მაგალითად, მთაში, სადაც ერთ-ერთი საშიშროება სხეულის მოყინვაა, თეთრი სიბრმავე, მზის დამწვრობა, ნახშირორჟანგით მოწამვლა მეორეხარისხოვან ხიფათად ითვლება.

სხეულის მოყინვის საშიშროება მაშინვე დგება, როგორც კი ადამიანი წყლის გაყინვის ტემპერატურის ზონაში მოხვდება. მოყინვას თან არ ახლავს განსაკუთრებული ტკივილი, ამიტომ ადამიანს სხეულის რომელიმე ნაწილი, შესაძლოა, შეუმჩნევლად მოეყინოს. მოყინვის ნიშნებია კანის ელასტიკურობის, მგრძნობელობის დაკარგვა, მორუხო ან მოთეთრო ლაქები.

მოყინული ადგილები გაითბეთ სხეულის ჯანმრთელი ნაწილებით; ნუ გადაიწმენდთ და ნუ დაიზელთ მათ; ნუ დაიდებთ თოვლს ან ყინულს. მოყინვას, ისევე როგორც მზით დამწვრობას, თან ახლავს კანის აქერცვლა და სითხეჩამდგარი ბუშტულები. ყინვის დროს ხშირად შეიმოწმეთ სხეულის დაუფარავი ნაწილები. თუ გყავთ თანამგზავრი, დააკვირდით ერთიმეორეს, ხომ არ გაქვთ მოყინვის ნიშანი. მოყინვისადმი უყურადღებობა განგრენით დაავადების რისკს ზრდის. არასაკმარისი დასვენება და ცუდი კვება მნიშვნელოვნად ზრდის სასიკვდილო მოყინვის საშიშროებას. პროგრესირებადი სხეულის საერთო მოყინვის ნიშნებია კუნთების სისუსტე, დაღლა, სხეულის მოუქნელობა და ძილისკენ მიდრეკილება. ადამიანს მხედველობა ემღვრევა, წაიფორხილებს, დაეცემა და მისი გაყინვაც იწყება. ამ დროს უნდა წამოაყენოთ, გამოიყვანოთ შოკური მდგომარეობიდან, დაალევინოთ ცხელი სასმელი, გაუთბოთ მოყინული ადგილები (ნელთბილი წყლით). როცა მოყინულ ადგილებს შეეხებით, განსაკუთრებული ყურადღება გამოიჩინეთ. მათ, ვისაც ტერფები აქვთ მოყინული, როგორც მწოლიარე ავადმყოფს მოეპყარით.

თოვლის სიბრმავეს მასზე არეკლილი მზის სხივების სიმკვეთრე იწვევს. სიბრმავე ადამიანს შეიძლება დაემართოს ნისლიან და ღრუბლიან დღეებშიც.

ამ დაავადების თავიდან აცილება შავმინიანი სათვალით შეიძლება, საუკეთესო წამალი კი სრული სიბნელეა.

ნახშირორჟანგით მოწამვლის ალბათობა ერთობ მაღალია მთაში დიდი ყინვების დროს, როცა სითბოს აღსადგენად კარავში სპირტქურებს, ნავთქურებსა და გაზის ქურებს ანთებენ. როცა მთაში მიდიხართ, უფრო ტანსაცმლის იმედი გქონდეთ, ვიდრე გამათბობელი საშუალებებისა. დროებით თავშესაფრებში ცეცხლი მხოლოდ საჭმლის მოსამზადებლად გამოიყენეთ.

ნებისმიერი ტიპის საწვავს ნახევარი საათის წვის შემდეგ შეუძლია ისეთი ოდენობის მომწამვლელი უსუნო გაზი გამოყოს, რომ მომაკვდინებელი გამოდგეს.

თუ თავშესაფარში ხართ, სადაც ცეცხლი ანთია და გრძნობთ, რომ ძილი გერევათ, აუცილებლად გამოდით გარეთ, იმოძრავეთ აუჩქარებლად და ისუნთქეთ თანაბრად, გაანიავეთ სადგომი.

თუ სადგომში, სადაც ცეცხლი ანთია, რამდენიმე კაცი იმყოფება, ძილის დროს ერთი მათგანი უნდა ფხიზლობდეს და ყურადღებას აქცევდეს ჰაერის სისუფთავეს. თუ საველე პირობებში ღია ჭრილობაზე მოჭერილი თასმა ან ქამარი ვერ აჩერებს სისხლდენას, ჭრილობაზე დაადეთ ლვედი, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება მოყინული ფეხის ან ხელის დაკარგვა გამოიწვიოს, არ უნდა მოაშოროთ. კიდურების დაკარგვა სჯობია სიკვდილს. დაჭრილის სხეული და მოყინული ადგილები სითბოში ამყოფეთ, ოღონდ მეტისმეტი არ მოგივიდეთ და არ გადაახუროთ.

მთაში, ისევე როგორც სხვა ადგილებში, აუცილებელია სხეულის მოვლა. ეცადეთ, სისუფთავე დაიცვათ. თუ დაბანის საშუალება არ გაქვთ, ეცადეთ, დაიბანოთ ხელი, პირი, ფეხი, იღლიები. თუ წყლის ნაკლებობას განიცდით, იხმარეთ სველი ტილო. ყოველ საღამოს, ძილის წინ, გაიხადეთ ფეხსაცმელები, გაისუფთავეთ ფეხები და დაიზილეთ. გააკეთეთ მოწყობილობა, რომელიც ფეხსაცმელების კოცონზე გაშრობაში მოგეხმარებათ. არ დაიძინოთ სველი წინდებით, გაიხადეთ და გასაშრობად სხეულის თბილ ადგილას დაიდეთ. დაძინების წინ ფეხსაცმელები სწრაფად გასაშრობად ხმელი ბალახით გამოტენეთ.

## თავის გადარჩენა ტყეში

არაერთი შემთხვევა ყოფილა, როცა გამოუცდელი ადამიანები ტყეში დაკარგულან.

როგორ უნდა მოიქცეს ტყეში გზადაბნეული ადამიანი?

გზის დაკარგვისთანავე მან სიარული უნდა შეწყვიტოს და კომპასის ან სხვა ბუნებრივი ნიშნების მიხედვით გაარკვიოს ორიენტაცია. თუ მხარეების გაგნება ვერ მოახერხა, სჯობია, მშრალ ადგილას დროებითი თავშესაფრის მოწყობაზე იზრუნოს.

თავშესაფრად გამოდგება ფანჩატური, ქოხი, მიწური.

წელიწადის თბილ დროს უმჯობესია გადაფარებული ადგილის მოწყობა. ორი 1,5-მეტრიანი მაჯის სიმსხო სარი, რომლებსაც ორკაპი ბოლოები აქვს, ჩაასვეთ ერთმანეთისგან 2-2,5 მეტრის დაშორებით. ორკაპებში ჩადეთ შედარებით მსხვილი ლატანი. მასზე 45-60 გრადუსი კუთხით, ლვედით ან მცენარის ტყავით ამაგრებენ ხის ოთხ-ხუთ ღეროს, რომლებზედაც კრამიტისებურად, ქვემოდან ზემოთ მაგრდება ხის ფოთლოვანი ტოტები. მშრალი ხავსისგან აგებენ იატაკს. შემდეგ სადგომს ვიწრო თხრილს შემოავლებენ, რათა წვიმის დროს მასში გუბე არ დადგეს. სანამ მშენებლობას შეუდგებოდეთ, საჭიროა მასალის მომარაგება.

როცა უღრან ტყეში ხართ, დაკარგული გზის გაგნება გაგიჭირდებათ, რადგან ირგვლივ ხეები, ბუჩქები, ყველაფერი, ერთიმეორეს ჰგავს. ასეთ შემთხვევაში შეიძლება წრეზე იაროთ და ვერც შეამჩნიოთ, რომ ერთსა და იმავე ადგილას რამდენჯერმე გაიარეთ.

თუ ბუნებრივი ნიშნების ამოცნობა შეგიძლიათ, საქმე გაგიადვილდებათ. მაგალითად, ბებერ ხეებზე ხავსი ჩრდილოეთის მხრიდანაა ამოსული. წიწვოვან ხეებს ფისის წვეთები სამხრეთის მხარეზე უფრო მეტი აქვს, ვიდრე ჩრდილოეთისაზე;

თუ გამიზნული მიმართულებით მიდიხართ, ყოველ 100-150 მეტრის გავლის შემდეგ აირჩიეთ კარგად გამორჩეული ორიენტირი.

**თამაზ ჟორჟოლიანი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მსტოვრობის ისტორია საქართველოში (გაგრძელება)

**დასაწყისი იხ. „არსენალი“ №№ 8-10**

## მსტოვრობა დემეტრე I-ისა და გიორგი III-ს მეფობის ჟამს

დავით აღმაშენებელმა ქვეყნის მართვის ხელოვნება და უდიდესი მიღწევები ბრძოლა-შენებაში იმ დონემდე აამაღლა, რომ ყოველი შემდგომი ქართველი მეფის მოღვაწეობას ამ უმაღლეს მაჩვენებელს ვუდარებთ. დავითის გარდაცვალების შემდეგ თითქმის ერთი საუკუნე მისი ოთხი შთამომავალი-მემკვიდრე (დემეტრე I, დავით V, გიორგი III, თამარი) მეფობდა და ცდილობდა მისი საქმის გაგრძელებას. აქედან დემეტრე პირველის შვილი დავითი V სულ ექვსი თვე მეფობდა და, ბუნებრივია, დიდი ვერაფერი მოასწრო, ხოლო მსტოვრობის განვითარება თამარის მეფობის ხანაში კი ცალკე შესწავლას საჭიროებს.

ამიტომ მსტოვრობის ისტორიის ეს კონკრეტული პერიოდი მხოლოდ დემეტრე I-ის (1125-1156 წ.წ.) და მისი ვაჟის, გიორგი III-ს (1156-1184წ.წ.) მეფობის წლებს მოიცავს.

## მსტოვრობის საქმის უკუსვლა დემეტრე I-ის მეფობისას

დემეტრეს უნიკალური შანსი ჰქონდა, ყმაწვილკაცობა მამის, დიდი დავით მეფის სიახლოვეს გაეტარებინა და თავად ყოფილიყო ბევრი ისტორიული მოვლენის უშუალო მონაწილე. ის მამის სიცოცხლეშივე, უფლისწულობის დროს, მონაწილეობდა ბრძოლებში. მართალია, დავით აღმაშენებლის მემატიანე მხოლოდ ერთხელ, 1117 წელს, შირვანის დალაშქრისას იხსენიებს დემეტრე უფლისწულს, რომელმაც ამ ბრძოლაში გულადი მეომრისა და კარგი მხედართმთავრის სახელი მოიხვეჭა, მაგრამ სავარაუდოა, რომ ამ ბრძოლის შემდეგაც დემეტრეს მამის მხარდამხარ ხშირად უქნევია ხმალი.

დემეტრე I 1125 წელს გამეფდა და ოცდაათი წელი იმეფა. მიუხედავად ამისა, მისი მოღვაწეობის შესახებ ქართული დოკუმენტური მასალა არ შემონახულა. ეს კი ძალზე ართულებს მისი მეფობისას მსტოვრობის საქმის შეფასებას. ივანე ჯავახიშვილი სამართლიანად აღნიშნავდა: „მისი ცხოვრება და თავგადასავალი საიდუმლოებით არის მოცული, ხოლო მოღვაწეობის შესახებ ძალიან ცოტა რამ ვიცით“ (ივ. ჯავახიშვილი, „ქართველი ერის ისტორია“, ტ. 2, გვ. 221.).

უცხოენოვანი წყაროებიდან კი ჩანს, რომ გამეფების პირველივე დღიდან დემეტრე დაუღალავად ცდილობდა მამის მონაპოვრის დაცვას. თუმც საგარეო და საშინაო პოლიტიკური მოვლენების განვითარება ცხადყოფს, რომ დავითის დატოვებული საზღვარფართო, სხვადასხვა ეროვნებისა და სარწმუნოების მოსახლეობისგან შემდგარი სახელმწიფოს მართვას მხოლოდ დემეტრეს თავდადება არ ჰყოფნიდა. ამ პერიოდის წყაროების ანალიზი (რაც დაწვრილებითაა მოცემული ქართულ ისტორიოგრაფიაში) ნათელს ჰფენს ცენტრალური ხელისუფლების ერთ-ერთი უმთავრესი ბერკეტის, — მსტოვრობის სისტემის საფუძვლიან მოშლას. დავით მეფის დროს გაძლიერებული მსტოვართა გუნდი დემეტრე I-ის მეფობისას განვითარებული დრამატული მოვლენებისას საერთოდ აღარ ჩანს. თვით ეს, ქვეყნისთვის და პირადად მეფისთვის, დრამატული მოვლენების სიმრავლე და სისტემატური ხასიათი, სწორედ ერთგული მსტოვართა გუნდის სისუსტეზე მეტყველებს.

საგარეო პრობლემების მოგვარებას ქვეყანაში გამწვავებული მდგომარეობა უშლიდა ხელს, ხოლო საქართველოს და პირადად დემეტრე მეფის ხელისუფლების დასუსტებას კი თავად მისი ოჯახური აშლილობა აძლევდა დასაბამს. დავით აღმაშენებლის დროს დაწინაურებული დიდგვაროვანი ფეოდალებიც შესაფერის დროს უცდიდნენ, რათა პოლიტიკური თამაშები წამოეწყოთ. დავითის დროინდელი ერთიანი მსტოვრობის სისტემის მოშლის შედეგი იყო ამ დროის უმთავრესი საგარეო პრობლემა — სომხური ქალაქ ანისის გაკონტროლებისთვის წარმოებული ბრძოლები, რაც მრავალ ათეულ წელს გრძელდებოდა. ანისი მნიშვნელოვანი ეკონომიკური და სამხედრო-სტრატეგიული პუნქტი იყო სამხრეთ კავკასიაში და მისი მფლობელი სომხეთის მთელ ჩრდილოეთ ნაწილს აკონტროლებდა. თავის დროზე, როცა დავით IV-მ ანისი აიღო, სომეხი ისტორიკოსის ვარდანის ცნობით, მან ქალაქისა და მისი ოლქის გამგებლად ქართველი დიდებულები აბულეთი და მისი ვაჟი ივანე გაამწესა. მაჰმადიანი ამირები არ თმობდნენ ასე იოლად ანისს. ისინი ყველა მეთოდს (მოსყიდვა, ბრძოლები და სხვ.) იყენებდნენ ქალაქის დასაბრუნებლად. 1126 წელს ანისის მმართველმა ქალაქი და მისი შემოგარენი ამირა ფადლონ IV-ს დაუთმო. რა მოხდა, რატომ დათმეს დავითის მიერ ბრძოლითა და სისხლით დაბრუნებული ქალაქი მამა-შვილმა აბულეთისძეებმა, ჰქონდათ თუ არა დემეტრე მეფის თანხმობა და ბრძანება, ისტორიული წყაროებიდან არ ჩანს. ერთი კი ნათელია — შემდგომ განვითარებული მოვლენები ადასტურებს, რომ დემეტრე I-სა და აბულეთისძეებს შორის ამის შემდეგ დიდი მტრობა ჩამოვარდა.

მეფის მსტოვრებს არანაირი წინმსწრები ინფორმაცია არ ჰქონდათ, რაც ერთი მხრივ მათ სისუსტეზე, ხოლო მეორე მხრივ, აბულეთისძისა და მისი ვაჟის, ივანეს სამხედრო-სადაზვერვო პოზიციების გაძლიერებაზე მიუთითებს. შემდგომ წლებში მამა-შვილი აქტიურად მონაწილეობდა დემეტრეს წინააღმდეგ შეთქმულებებში.

ეს იმის შედეგი იყო, რომ დემეტრე I-ის მეფობის პერიოდში მსტოვართა ერთიანი სისტემის მოშლის გამო, შესუსტდა ღია და ფარული კონტროლი დავით აღმაშენებლის მიერ საქართველოსთვის შემოერთებული ტერიტორიების მმართველ-დიდებულებზე. ფეოდალურმა არისტოკრატიამ ამით ისარგებლა და დავით IV-ს დროს დაკარგული უფლებების დაბრუნებას ცდილობდა.

1130 წელს დემეტრე I-ის ნახევარძმამ ვახტანგმა და ივანე აბულეთისძემ მეფის წინააღმდეგ შეთქმულება მოაწყვეს, რომლის ერთ-ერთი ორგანიზატორი, უეჭველია, თავად აბულეთისძე იყო. ჩანს, შეთქმულების შესახებ მეფის მსტოვრებს არანაირი ინფორმაცია არ ჰქონდათ, რადგანაც შეთქმულების მონაწილენი... თავად აბულეთისძემ გასცა და მეფეს ჩააბარა. დემეტრემ ნახევარძმას თვალები დასწვა და ისე გაათავისუფლა, ივანე აბულეთისძეს კი რატომღაც აპატია.

ჩანს, აბულეთისძისა და მისი ვაჟის პოზიცია კვლავ ძლიერი იყო. ვარდანის ცნობით, ერთი წლის შემდეგ ივანემ ქალაქი გარნისი დალაშქრა, რამაც მის გაძლიერებას კიდევ უფრო შეუწყო ხელი.

ისტორიული წყაროების თანახმად, 1132 წელს დემეტრემ ივანე აბულეთისძე მოაკვლევინა, ხოლო თირქაშ ივანეს ძემ გაქცევით უშველა თავს, საქართველოს მტერ შაჰ არმენს შეეკედლა და იქიდან ებრძოდა დემეტრეს.

საქართველოს საშინაო პოლიტიკურ სტაბილურობას განსაკუთრებით დემეტრეს უფროსი ვაჟის, უფლისწულ დავითის ამბიციები უთხრიდა ძირს. ის მეფე-მამის ტახტიდან ჩამოგდებასა და თავად გამეფებას ცდილობდა. ურჩ უფლისწულს ქართველი და სომეხი დიდგვაროვანი ფეოდალები აქეზებდნენ. ქართველ ფეოდალებს დავითის სახით მართვადი და მათ წინაშე მოვალე მეფე სჭირდებოდათ. სომეხი დიდგვაროვნებიც პირადი, ანგარებიანი მიზნით ებრძოდნენ დემეტრეს. მათ არ სურდათ, რომ საქართველოს მეფეს სომხური ქალაქები (უპირველესად კი ანისი) მაჰმადიანი ვასალი მმართველებისთვის გადაეცა. სომეხ ფეოდალებს ამ ქალაქების მართვა თვითონ უნდოდათ. თუმცა, როცა თურქსელჩუკები შემოესეოდნენ, ტერიტორიების დაცვის თავი არ ჰქონდათ და მაშინვე საქართველოს მეფეებს სთხოვდნენ დახმარებას. ეს ბევრჯერ მომხდარა. ჩანს, უფლისწული დავითი სომეხ ფეოდალებს გარანტიებს აძლევდა. თავის მხრივ, სომეხი ისტორიკოსებიც (ვარდანი, მხითარ გოში და სტეფანოზ ორბელიანი) არ მალავდნენ სიმპათიებს დავითის მიმართ.

1150 წელს უფლისწულმა დავითმა ქართველ და სომეხ ფეოდალებთან ერთად სამხედრო ამბოხი მოაწყო და ტახტზე ძალით ასვლა მოინდომა. დემეტრე I-მა შეძლო აჯანყების ჩახშობა და მოღალატე დიდებულები ზოგი სიკვდილით დასაჯა, ზოგი ქვეყნიდან გააძევა და ზოგი „განპატიჟა“ (დააქვეითა). დავით უფლისწულს ეს „ცელქობა“ რატომღაც შერჩა. ისტორიული წყაროების ანალიზით ირკვევა, რომ დემეტრე მეფის მსტოვრები შეთქმულების ამბავს მხოლოდ მის ბოლო სტადიაზე იგებდნენ და მაშინ ახდენდნენ რეაგირებას. ხუთი წლის შემდეგ, 1155 წელს, დავითმა მორიგი აჯანყების შედეგად მაინც ჩაიგდო ხელში სამეფო ტახტი. მამა – მეფე დემეტრე I ბერად შედგა. საეჭვოა, ეს გადაწყვეტილება მას ნებაყოფლობით მიეღო. დავით V-მ სულ ექვსი თვე იმეფა და გარდაიცვალა. ამ მოკლე პერიოდშიც კი მან ბევრი, ქვეყნისთვის საზიანო გადაწყვეტილება მიიღო. ერთ-ერთი ასეთი თირქაშ ივანეს ძე აბულეთის დილეგიდან გათავისუფლება და ამირსპასალარად დანიშვნა აღმოჩნდა. მართლაც რომ ბედის დაცინვა იყო, – დავითი 25 წელიწადს იბრძოდა ტახტისთვის და მხოლოდ რამდენიმე თვე მოუწია მეფობამ. დავით V თავისით გარდაიცვალა თუ შეთქმულების მსხვერპლი გახდა და სხვები „მიეხმარნენ“? ისტორიკოსებში ეს ფაქტი ყოველთვის იწვევდა ეჭვს. მხოლოდ ვარდანი ასახელებს დავითის მკვლელებს, – სუმბატ და ივანე ორბელებს, რომლებმაც, სომეხი ისტორიკოსის თქმით, ეს მკვლელობა გიორგი უფლისწულთან შეთანხმებით ჩაიდინეს (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 3. გვ. 287).

ამის შემდეგ დემეტრემ ბერის სამოსი კვლავ სამეფო კაბითა და სკიპტრით შეცვალა. თუმც დიდი დღე აღარც მას დარჩენოდა. ერთი ის მოასწრო, რომ მეორე, უმცროსი ვაჟი გიორგი ტახტზე აიყვანა და 1156 წელს გარდაიცვალა.

მუდმივი შინაური ბრძოლებით გარეშე მტერი სარგებლობდა და არ ასვენებდა ჩვენს ქვეყანას. ივანე ჯავახიშვილი სამართლიანად აღნიშნავდა: „გამწვავებული შინაგანი მდგომარეობის გამო, დემეტრე I-ის დროს არამცთუ საქართველოს პოლიტიკური ზრდა შეფერხდა, არამედ წინანდელი მონაპოვრის შენარჩუნებაც კი შეუძლებელი გახდა“ (ივ. ჯავახიშვილი, იქვე, გვ. 364). დემეტრეს მეფობის პერიოდში აშკარაა მსტოვრობის ერთიანი სისტემის დასუსტება, რაც პირდაპირ აისახა საქართველოს საშინაო და საგარეო მდგომარეობაზე. შიდა და საგარეო პოლიტიკური დაზვერვა, სამხედრო მზვერავები თუ ლაშქარში მოქმედი მოენეები და აეშაგებ-მზირები ისე გამართულად და აწყობილად ვერ მოქმედებდნენ, როგორც დავით აღმაშენებლის მეფობის დროს.

ბესიკ ალადაშვილი


წიგნის ავტორის შესახებ:

ბესიკ ალადაშვილი დაიბადა 1959 წელს, მიღებული აქვს უმაღლესი ეკონომიკური და იურიდიული განათლება. ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი. პროფესორი. თითქმის ორი ათეული წელია, ლექციებს კითხულობს უმაღლეს სასწავლებლებში.

მუშაობდა: სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში მეცნიერ-თანამშრომლად, სექტორის გამგედ; საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოში (კურირებდა საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების საკითხებს); შინაგან საქმეთა სამინისტროში დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილედ; სახელმწიფო უშიშროების სამინისტროში – დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილედ. იყო „ქართული არმიის განვითარების ფონდის“ გამგეობის წევრი. სამხედრო წოდება უშიშროების პოლკოვნიკი. დაასრულა აშშ-ის „გფბ“-ს „ორგანიზებულ და საფინანსო დანაშაულთან ბრძოლის“ სემინარ-კურსები.




ეკონომიკის და გეოპოლიტიკის თემებზე გამოქვეყნებული აქვს მრავალი სამეცნიერო და საგაზეთო სტატია.

სპეცსამსახურების ისტორიასა და დღევანდელ პრობლემურ საკითხებზე გამოქვეყნებული აქვს ორმოცდაათზე მეტი სტატია.

იკითხეთ წიგნის მაღაზიებში!

ან დარეკეთ 42-43-40 და მიიღეთ წიგნი სახლში, ფასნამატის გარეშე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ГРУ საქართველოს ყველაზე საშიში მტერი

**რუსეთის ხელისუფლების ისტერიკის, რაც გრუ-ს (მთავარი სადაზვერვო სამმართველო) მზვერავების გამოაშკარავებას მოჰყვა, ჩაცხრობის შემდეგ დაგვრჩება ერთი ისტორიული ფაქტი — მსოფლიოს ერთ-ერთმა უძლიერესმა სპეცსამსახურმა საქართველოში კრახი განიცადა და საერთაშორისო მასშტაბით პრესტიჟი შეელახა. სინამდვილეში, სწორედ ეს იყო ის მიზეზი, რამაც რუსეთი გააცოფა. კა-გე-ბეს მარცხს მიჩვეულებმა „დაუმარცხებელი" და „შეუდარებელი" გრუ-ს ერთი წაბორძიკება (თანაც საქართველოში, სადაც ყოველთვის თავისუფლად მოქმედებდნენ) ძალზე მტკივნეულად აღიქვეს.**

**მართლაც ასე ყოვლისშემძლე და დაუმარცხებელია გრუ?**



## სამხედრო დაზვერვის ძირითადი ამოცანები

სამხედრო დაზვერვის მნიშვნელობა დღევანდელ მსოფლიოში საკამათო არ არის, ოღონდ მის ეფექტიანობას ფინანსური და საკადრო რესურსები განსაზღვრავს.

სამხედრო დაზვერვის ძირითადი ფუნქციებია: 1. სამხედრო, სამხედრო-პოლიტიკური და სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის მოპოვება; 2. ინფორმაციის პირველადი დამუშავება და ანალიზი;

3. კონკრეტული რეკომენდაციების მომზადება ქვეყნის პოლიტიკური და სამხედრო ხელმძღვანელობისათვის. ძირითადად, ინფორმაციის მოპოვება ხდება: აგენტურული, ტექნიკური შეღწევისა და „ღია" (სამხედრო ატაშეების მიერ) მეთოდებით. სამხედრო დაზვერვა მაშინაა ეფექტიანი, როცა ემყარება უკვე არსებულ და გამართულად მოქმედ შეიარაღებული ძალების ცალკეულ სახეობათა (სახმელეთო ჯარების, ავიაციის, საზღვაო ფლოტის და ა.შ.) დაზვერვის დანაყოფებს. ერთიანმა სამხედრო დაზვერვამ სწორედ მათი ოპერატიული საქმიანობის კოორდინაცია (ინფორმაციის შეჯერება, ერთიანი სურათის შექმნა და სხვ.) უნდა მოახდინოს.

დღეისათვის მსოფლიოში სამი უძლიერესი სამხედრო დაზვერვა მოქმედებს: გრუ (რუსეთი), დია (აშშ) და ამანი (ისრაელი).

აშშ-ის სამხედრო დაზვერვა (დია) 1961 წლის 1-ელ ოქტომბერს შეიქმნა. სტრუქტურულად თავდაცვის სამინისტროს შემადგენლობაშია, მაგრამ მისი დირექტორი აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დირექტორს (სი-აი-ეის დირექტორს) ექვემდებარება. ამ უწყებას აშშ-ის შეიარაღებული ძალების ცალკეულ სახეობათა ჯარების სადაზვერვო დანაყოფების კოორდინაცია ევალება. მისი თანამშრომლები მონაწილეობდნენ ვიეტნამის, ავღანეთის, ერაყის საომარ კამპანიებში. ამანი — ისრაელის სამხედრო დაზვერვის სამმართველო 1948 წელს შეიქმნა და პირველივე დღიდან არაბულ ქვეყნებში მიმდინარე საომარ დაპირისპირებაში ჩაერთო. შემდგომშიც ეს უწყება ყოველთვის საომარი კონფლიქტების თუ ფარული სპეცოპერაციების წინა ხაზზე იყო.

რუსეთის თავდაცვის სამინისტროს გენერალური შტაბის მთავარი სადაზვერვო სამმართველო (გრუ) საბჭოთა სამხედრო დაზვერვის მემკვიდრეა. მისი ისტორია 1918 წლის 21 ოქტომბერს იწყება. მისი ფუნქციები განვლილ პერიოდში დიდად არ შეცვლილა. ესაა: სამხედრო-სტრატეგიული და ოპერატიული დაზვერვა; სამხედრო-ტექნიკური და სამხედრო-პოლიტიკური ინფორმაციის მოპოვება; კოსმოსური და ელექტრონული დაზვერვა, სადაზვერვო-დივერსიული ოპერაციების ჩატარება მოწინააღმდეგის ზურგში და სხვ.

თუ 1991 წლის შემდეგ რუსეთის სპეცსამსახურებმა განსაზღვრული, უპირატესად კოსმეტიკური „დემოკრატიული" ცვლილებები განიცადეს, გრუ-ს, საბჭოთა და შემდეგ რუსეთის სამხედრო უწყებების კონსერვატიზმისა და რეაქციულობის გამო, რეფორმა არ შეხებია.

რუსეთის სამხედრო დაზვერვის „კლასიკური" ოპერატიული საქმიანობა სამ ძირითად, ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულ მიმართულებას მოიცავს. ესაა:

1. ინფორმაციის მოპოვება;
2. მისი ანალიზი და შესაბამისი მოქმედებების დაგეგმვა;
3. რეალიზაცია.

თითოეული ეტაპი უმნიშვნელოვანესია დასახული ამოცანის შესასრულებლად. აგენტურული მუშაობითა და ტექნიკური საშუალებებით მოპოვებულ საიდუმლო ინფორმაციას მაღალი დონის ანალიზი სჭირდება, რის საფუძველზეც მუშავდება ოპერატიულ მოქმედებათა გეგმა.

ბოლო, მესამე ეტაპზე კი ქაღალდზე დასახული ღონისძიებები პრაქტიკულად უნდა განხორციელდეს.

სპეცსამსახურების ორგანიზაციული სტრუქტურა ზემოაღნიშნული სამი ძირითადი მიმართულების შესაბამისადაა აგებული.

საინტერესოა, რომ გრუ, კა-გე-ბე-ფსბ-სვრ-თან შედარებით უფრო საიმედო და შედეგიან უწყებად ითვლებოდა და ამჟამადაც ასეა. მის რიგებში ყოველთვის ნაკლები მოღალატე იყო და თანაც მისი სადაზვერვო „პროდუქცია" უფრო მაღალი ხარისხითაც გამოირჩეოდა.

თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ მშვიდობიან პერიოდშიც კი გრუ-ს სპეცდანიშნულების რაზმში 50-60 ათასი მებრძოლი იყო, თვით ეს ციფრიც საკმარისია იმისთვის, რომ კიდევ ერთხელ დავრწმუნდეთ საბჭოთა კავშირის იმპერიალისტურ მიზნებში.

გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან მსოფლიოში არც ერთ რამდენადმე სერიოზულ ომს და სამხედრო კონფლიქტს არ ჩაუვლია საბჭოთა სამხედრო დაზვერვის მონაწილეობის გარეშე. ვიეტნამი, ანგოლა, ეთიოპია, მოზამბიკი, ნიკარაგუა — ეს არის მცირე ჩამონათვალი იმ ქვეყნებისა, სადაც საბჭოთა იმპერია სამხედრო ძალითა და სადაზვერვო-დივერსიული მეთოდებით თავისი პოლიტიკის გატარებას ცდილობდა, მაგრამ ავღანეთის შინაპოლიტიკურ საქმეებში ჩარევა და მრავალწლიანი სამოქალაქო ომის პროვოცირება მისთვის საბედისწერო გახდა.

**საბჭოთა სამხედრო დაზვერვის მარცხი ავღანეთის ომში**

გრუ-ს შესაძლებლობების ნამდვილი გამოცდა ავღანეთის ომში მოხდა. 1979 წლის მისის დასაწყისში გრუ-ს უფროსის არმიის გენერალ ივაშუტინის დავალებით პოლკოვნიკმა კოლესნიკმა დაიწყო სპეციალური დანიშნულების რაზმების ფორმირება, რომლებიც იმ დროისათვის ყველაზე თანამედროვე საბჭოთა იარაღით იყვნენ აღჭურვილნი. იმ პერიოდში ავღანეთში რთული შინაპოლიტიკური ვითარება იყო. პრეზიდენტი ამინი, რომელიც ქვეყნის სათავეში პრეზიდენტ თარაკის მკვლელობის შემდეგ მოვიდა, ძალაუფლების გამყარებას საბჭოთა არმიის დახმარებით გეგმავდა. მისი არაერთი თხოვნა ჯარის შეყვანის თაობაზე საბჭოთა პოლიტბიურომ 1979 წლის ბოლოს დააკმაყოფილა. ამინზე საბჭოთა ხელმძღვანელობაში აზრთა სხვადასხვაობა იყო. თავდაცვის სამინისტრო და სამხედროები ამინს უჭერდნენ მხარს, ხოლო კა-გე-ბეს შეფი იური ანდროპოვი ამინის ლიკვიდაციასა და მის ადგილზე ბაბრაქ ქარმალის (რომელიც იმ დროისათვის საბჭოთა საგარეო დაზვერვის მეთვალყურეობის ქვეშ იყო და ჩეხოსლოვაკიიდან ადევნებდა მოვლენებს თვალს) მოყვანას მოითხოვდა. ანდროპოვმა შეძლო ბრეჟნევის დარწმუნება და პოლიტბიურომ ავღანეთში საბჭოთა ჯარების შეყვანის აუცილებელ წინა პირობად პრეზიდენტ ამინის ლიკვიდაციისა და სახელმწიფო გადატრიალების გადაწყვეტილება მიიღო. გეგმა იმდენად გასაიდუმლოებული იყო, რომ ამის შესახებ საბჭოთა ელჩმა ავღანეთში და გრუ-ს რეზიდენტმა მხოლოდ მეორე დღეს — 28 დეკემბერს, უკვე მომხდარი ფაქტის შემდეგ შეიტყვეს.

საბჭოთა ჯარების შეყვანა ავღანეთში ის საბედისწერო ნაბიჯი აღმოჩნდა, რომელმაც დააჩქარა საბჭოთა იმპერიის დანგრევა.

**რუსეთის სამხედრო დაზვერვის სისხლიანი კვალი**

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ სამხედრო დაზვერვის მოქმედების არეალმა ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორია მოიცვა. მთავარი ამოცანა დამოუკიდებლობის მსურველი რესპუბლიკების „მორჯულება" გახდა. ცნობილი ფაქტია, რომ იმ პერიოდის ყველა ტრაგიკული მოვლენა — თბილისში, ბაქოში, ვილნიუსსა და რიგაში გრუ-ს უშუალო მონაწილეობით მოხდა. ისინი უწყობდნენ ხელს აგრეთვე ყარაბაღის ომის ესკალაციას, აზერბაიჯან-სომხეთს შორის მდგომარეობის კიდევ უფრო დაძაბვას.

დადასტურებული ფაქტია, რომ გრუ ყოფილ საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში იმ პერიოდში მომხდარი ყველა სახელმწიფო გადატრიალების ერთ-ერთი ინიციატორი და აქტიური მონაწილე იყო. აზერბაიჯანში ელჩიბეის ეროვნული ხელისუფლების ალიევით, ხოლო საქართველოში გამსახურდიას — შევარდნაძით ჩანაცვლებას რუსეთის სპეცსამსახურების, უპირველესად კი გრუ-ს გარეშე არ ჩაუვლია. გრუ-ს სპეცდანიშნულების რაზმები მონაწილეობდნენ საბჭოთა კავშირის და შემდგომ რუსეთის მიერ წამოწყებულ ყველა ოფიციალურ შეიარაღებულ კონფლიქტსა და ფარულ სპეცოპერაციაში. ეს სპეცსამსახური და მისი სადაზვერვო-დივერსიული დანაყოფები განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩეოდნენ საქართველოს წინააღმდეგ დაგეგმილ და ჩატარებულ როგორც „ლია" ოპერაციებში, ასევე მრავალ, ჯერ კიდევ გაუხმაურებელ სპეცოპერაციაში. კონფლიქტები სამაჩაბლოსა და აფხაზეთში, პრეზიდენტ გამსახურდიას დამხობა, სამოქალაქო ომი მათ მიერ იყო პროვოცირებული. საბრძოლო და სადაზვერვო-დივერსიულ ოპერაციებსაც ისინი გეგმავდნენ და ატარებდნენ. საქართველოს სპეცსამსახურების ხელმძღვანელების მტკიცებით, გრუ-ს დივერსიული სპეცრაზმების ხელი ურევია 2005 წლის თებერვალში გორში მომხდარ ტერაქტში, როდესაც სამი კაცი დაიღუპა.

**ვინ იყო გრუ-ს რეზიდენტი საქართველოში ფსევდონიმით „მეთექვსმეტე"**

საქართველოში შევარდნაძის ჩამოსვლის შემდეგ გრუ-მ მუშაობა უფრო გააფართოვა. ერთ-ერთი ვერსიით, სწორედ მათი მოწყობილია ფრედ ვუდროფის მკვლელობა. რუსეთის სპეცსამსახურებს ვუდროფის მისიაზე საქართველოში სრული ინფორმაცია ჰქონდათ. მათ თავიდანვე არ მოსდიოდათ თვალში ამერიკის დაზვერვის შემოსვლა ჩვენს ქვეყანაში. კა-გე-ბე-სვრ-ის აგენტ ეიმსის წყალობით იცოდნენ, რომ თბილისში აშშ-ის საელჩოს პოლიტიკური განყოფილების ახალი თანამშრომელი ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს თანამშრომელი იყო, რომლის ამოცანას საქართველოს სპეცსამსახურებისთვის დახმარება წარმოადგენდა.

იგორ გიორგაძე ვუდროფის მკვლელობაში პირველად, ოფიციალურად, უშიშროების ყოფილმა მინისტრმა შოთა კვირაიამ საქართველოს მთავრობის გაფართოებულ სხდომაზე 1996 წლის 19 ივლისს დაადანაშაულა. ამ სტატიის ავტორს საშუალება ჰქონდა, ამ სხდომას დასწრებოდა და კარგად ახსოვს კვირაიას სენსაციური და დღეს მივიწყებული გამოსვლა.

მანამდე კი, შევარდნაძის პერიოდში, არც ერთ საქართველოს ძალოვან მინისტრს პირდაპირ არ დაუდანაშაულებია რუსეთის სპეცსამსახურები და „რეაქციული ძალები". კვირაიას განცხადებით, ვუდროფის მკვლელობისა და შევარდნაძეზე პირველი ტერაქტის ორგანიზატორი „უცხო სპეცსამსახურების აგენტი" იგორ გიორგაძე იყო. უშიშროების მაშინდელმა მინისტრმა ეს სპეცსამსახური საჯაროდ არ გაშიფრა და თუმცა ქვეყანა კი დაასახელა და მისი პრეზიდენტი „გააფრთხილა" კიდეც: „ალბათ, დადგა ჟამი, რუსეთის სპეცსამსახურები გაერკვნენ, ვინ უმალავს საქართველოს სამართალდამცავ ორგანოებს იგორ გიორგაძეს, რა ძალები აფინანსებენ მას, ვინ დგას მის უკან. არ არის გამორიცხული, რომ ამ ბნელმა რეაქციულმა ძალებმა თვით რუსეთის პრეზიდენტზე მიიტანონ იერიში". კვირაიას გამოსვლას შუბლშეჭმუხნილი „დიდი ბაბუ" ყურადღებით უსმენდა და შიგადაშიგ მოწონების ნიშნად თავს უკანტურებდა. მინისტრის მოხსენების დიდი ნაწილი საქართველოში მის მიერ გამოვლენილ გრუ-ს აგენტებს მიეძღვნა. კაცმა არ იცის, ვინ იყო მართლა აგენტი და ვინ კვირაიას პირადი მტერი. კარგა ხანი გაურკვეველი რჩებოდა, რუსეთის რომელი სპეცსამსახურის აგენტი იყო მაშინ უკვე „მოუხელთებელი იგორი". კვირაიამ ყველაზე დიდი სიურპრიზი, კარგი დრამატურგივით, მოხსენების ბოლოსთვის შემოინახა: „დიდ იმედს ვამყარებთ აგრეთვე ჩვენს რუს კოლეგებზე, ჩვენს მეგობრულ დამოკიდებულებაზე რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურისა და საგარეო დაზვერვის სამსახურის ხელმძღვანელებთან, ბატონებთან ანატოლი კოვალიოვთან და ვიაჩესლავ ტრუბნიკოვთან, რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრთან, ბატონ ანატოლი კულიკოვთან".

თუ ყველა კვირაიას მეგობარი იყო, მაშინ მტერი ვინღა იყო და ვის ემსახურებოდა გიორგაძე? რუსეთის „პაჟარნიკების" აგენტი ხომ არ იყო? გასაოცარი იყო კვირაიას ტაქტიკა — რუსეთის ყველა სპეცსამსახური ჩამოთვალა ერთის გარდა და, ჩვენი კოლმეურნეობის თავმჯდომარისა არ იყოს, რუსეთის სამხედრო დაზვერვა (გრუ) არ დაასახელა. ვერ მიხვდებოდნენ თუ?

უფრო გაუგებარი იყო მთავრობის სხდომაზე გიორგაძის რუსი „პატრონების" დამალვა, მაშინ როცა, ცოტა ხნით ადრე, ჯერ კვირაიას უწყებრივმა გაზეთმა „სრულიად არასაიდუმლოდ", ხოლო შემდეგ ქართული პრესის „ფლაგმანმა" — „საქართველოს რესპუბლიკამ" გამოაქვეყნეს სტატია: „ორმაგი აგენტის დასასრული", სადაც იგორ გიორგაძე დასახელებული იყო „რუსეთის სამხედრო დაზვერვის რეზიდენტად ამიერკავკასიაში (ოპ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერატიული ფსევდონიმი „მეთექვსმეტე“)“. მაშინდელ უშიშროების სამინისტროში ეს არ იკმარეს და გიორგაძე იმავდროულად, 1992 წლიდან, დასავლეთ გერმანიის დაზვერვის აგენტად (ოპერატიული ფსევდონიმი „კომანდორი“) „გაშიფრეს“. მართლაც ტრაგიკომიკური სიტუაცია შეიქმნა – საქართველოს უშიშროების შეფი ერთდროულად ორი მოწინააღმდეგე სპეცსამსახურის აგენტი ყოფილა. უფრო გაუგებარი და გასაოცარი მოვლენები რამდენიმე დღის შემდეგ განვითარდა, როცა საინფორმაციო სააგენტო „კავკაზპრესმა“ კვირაის გამოსვლასა და ამ სტატიაზე დაყრდნობით ლოგიკური დასკვნა გააკეთა: ვუდროფის მკვლელობის ორგანიზატორი რუსეთის სპეცსამსახურების აგენტი გიორგაძეა, რომელიც მოსკოვში იმალება. რუსეთის წივილ-კივილი მოსალოდნელი იყო, მაგრამ გასაკვირი იყო კვირაის პოზიცია, რომელმაც ერთ კვირაში(!) დიამეტრულად შეცვალა „პირველი ჩვენება“ და საუწყებო გაზეთის ფურცლებზე თავზე ნაცარი წაიყარა და სულ ბოდიშები უხადა და ძმობა ეფიცა რუსეთის სპეცსამსახურებს. საინტერესოა, რატომ?

სავარაუდოა, რომ საქართველოს უშიშროების მაშინდელი მინისტრი სწორედ იმ რუსმა მეგობრებმა „შეახურეს“. ეს მოსალოდნელიც იყო – რუსეთის იმპერიული ამბიციების დასაკმაყოფილებლად მისი ყველა სპეცსამსახური ყოველთვის ერთად და საერთო გეგმით მოქმედებდა და მოქმედებს. ასე რომ, გრუ-ს ვის დააჩაგვრინებდნენ? მათ შორის არც რუსეთის ფე-ეს-ბეს, საგარეო დაზვერვისა და შსს-ს ერთგულ მეგობარს.

### ვინ ხართ თქვენ, ამხანაგო ვალენტინ?

მცირე დოსიე: ვალენტინ კორაბელნიკოვი დაიბადა 1946 წელს; დაამთავრა სსრკ თავდაცვის სამინისტროს სამხედრო-დიპლომატიური აკადემია; 20 წელზე მეტხანს მუშაობდა გრუ-ში სხვადასხვა თანამდებობაზე, მათ შორის ოპერატიულ სამმართველოში; 1992-1997 წლებში იყო გრუ-ს უფროსის პირველი მოადგილე. აქტიურად მონაწილეობდა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების (უპირველესად, ბალტიისპირეთის ქვეყნებისა და საქართველოს) წინააღმდეგ ოპერატიულ-აგენტურულ საქმიანობაში. 1997 წლის მაისში დაამტკიცეს გრუ-ს უფროსად. ის ამ უწყების რიგით 27-ე ხელმძღვანელია. მონაწილეობდა კოსოვოს კონფლიქტსა და ჩეჩნეთის ომში. წინამორბედის, ფიოდორ ლადიგინისგან განსხვავებით, რომელიც კარგ ანალიტიკოსად ითვლებოდა, კორაბელნიკოვს ახასიათებენ როგორც ძლიერ ოპერატიულ თანამშრომელს.

### გრუ-ს უფროსი გენერალი ვალენტინ კორაბელნიკოვი

გრუ-ს შეფი, არმიის გენერალი ვალენტინ კორაბელნიკოვი ჟურნალისტებს უკანასკნელად ამ სამი წლის წინ – 2003 წლის ივლისში დაენახვა, მანამდე კი, 1997 წელს, შეხვდა მასმედიის წარმომადგენლებს. აი, სულ ეს არის ამ სპეცსამსახურის შეფის „გამჭვირვალობა“. გასათვალისწინებელია, რომ კორაბელნიკოვი რუსეთის სპეცსამსახურის ერთადერთი ხელმძღვანელია, რომელიც პუტინის გაპრეზიდენტების შემდეგ არ შეუცვლია. ეს, გარეგნულად წმინდა წყლის რუსი „მუჟიკი“ (იხ. ფოტო), საკმაოდ ფრთხილი და „დახურული“ პიროვნებაა. ცდილობს, არ დაარღვიოს სუბორდინაცია და დაწესებული ნორმები. რადგან გენშტაბის უფროსსა და თავდაცვის მინისტრს ექვემდებარება, არ ცდილობს მათ გარეშე, თავისი ინიციატივით, პრეზიდენტზე გასვლას. ამიტომ სხვა სპეცსამსახურების ხელმძღვანელებისგან განსხვავებით, რუსეთის პრეზიდენტთან კვირაში ერთხელ აუდიენცია დანიშნული არ აქვს.

ისე კი, საქართველოში რატომღაც ყველას, უპირველესად კი სპეცსამსახურების ხელმძღვანელებს, დაავიწყდათ, ამ სამიოდე წლის წინ როგორ დაავალა პუტინმა კორაბელნიკოვს: „განსაკუთრებით გააქტიურეთ მუშაობა საქართველოში“. ისიც ცდილობს პრეზიდენტის დავალების შესრულებას. თუმცა საკმაოდ რთულ პირობებში უხდება მუშაობა, რადგანაც „დიდმა სამხედრო სტრატეგმა“ სერგეი ივანოვმა თავდაცვის მინისტრად დანიშვნისთანავე დიდი „საკადრო კარუსელი“ დაატრიალა. გრუ-ს 12 ძირითადი დანაყოფიდან ექვსში უფროსებად რუსეთის საგარეო დაზვერვის ყოფილი თანამშრომლები და თავისი „დოსტები“ დანიშნა. სამხედრო დაზვერვის ძველი თანამშრომლები ყველაზე მეტად იმან აღაშფოთა, რომ რადიოელექტრონული დაზვერვის უფროსად საგარეო დაზვერვის გენერალი დანიშნა, რომელსაც თურმე ამ სფეროში მუშაობის გამოცდილება არ ჰქონია.

### გრუ პლაცდარმს იმზადებს

გრუ-ს მოქმედების არეალის კანონით გაფართოება დიდი ხანია, სურდა. 2006 წლის 28 ივნისს პუტინმა რუსეთის სპეცსამსახურების ხელმძღვანელებს დავალება მისცა, – მოეძებნათ და გაენადგურებინათ ერაყში რუსი დიპლომატების გამტაცებლები და მკვლელები. ამას კი შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები სჭირდებოდა. მართლაც, არ გასულა ერთი კვირა და რუსეთის სახელმწიფო სათათბირომ და ფედერაციის საბჭომ, სპრინტერულ ტემპში, მთელი რიგი ცვლილებები და დამატებები შეიტანეს კანონში ტერორიზმის წინააღმდეგ მოქმედებათა შესახებ. 7 ივლისის შემდეგ რუსეთის პრეზიდენტს შეუძლია საკანონმდებლო ორგანოებთან შეუთანხმებლად და განუსაზღვრელი ვადით გამოიყენოს საჯარისო შენაერთები და სპეციალური დანიშნულების დანაყოფები საზღვარგარეთ ანტიტერორისტული ოპერაციების ჩასატარებლად. ამის შემდეგ ხელ-ფეხი გაეხსნათ რუსეთის სპეცსამსახურების, უპირველესად კი გრუ-ს სპეცრაზმებს, რომლებიც მართალია, მანამდეც ახდენდნენ რუსეთის ხელისუფლებისათვის არასასურველი პირების ლიკვიდაციას (თუნდაც ყატარში იანდარბიევის აფეთქება გავიხსენოთ), მაგრამ ახლა უკვე ოფიციალურად შეეძლებათ პუტინისა და სერგეი ივანოვის მიერ ტერორისტებად შერაცხული პირების აფეთქება და ტერორისტების ბაზების დაბომბვა დედამიწის ნებისმიერ წერტილში. ეს სკანდალური გადაწყვეტილება საერთაშორისო სამართლის ნორმების უხეში დარღვევაა. რუსეთის ხელისუფლებამ თავს უფლება მისცა, იმოქმედოს ცნობილი პრინციპით: „როცა არ შეიძლება, მაგრამ ძალიან გინდა, ყველაფერი დასაშვებია“. ამ საკანონმდებლო ცვლილებების მიღმა რუსეთის ხელისუფლების შორს მიმავალი, ძალზე აგრესიული მიზნები იკვეთება. რუსი დიპლომატების მკვლელობის ფაქტი რუსეთს სურს გამოიყენოს სხვა სუვერენული ქვეყნების ტერიტორიაზე სპეცოპერაციების ჩასატარებლად და ძირეული დემოკრატიული პრინციპების უკვე „ოფიციალურად და კანონიერად“ გასათელავად. არანაკლები საფრთხე ელის პუტინის პოლიტიკურ ოპონენტებსაც. რუსეთის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შეიტანეს „დაუსწრებელი გასამართლების“ ახალი ნორმა და აღადგინეს „ქონების კონფისკაციის“ ძველი მოთხოვნა. თუ ტერორიზმში ან მის დაფინანსებაში ეჭვმიტანილი პირი იმალება, მაშინ მას დაუსწრებლად გაასამართლებენ და განაჩენსაც გამოუტანენ. ასე რომ, ბერეზოვსკი, ზაკაევი, გუსინსკი და კიდევ ბევრი სხვა, რუსეთს გარეთ ემიგრირებული პირი, რომელთაც პუტინი წლების განმავლობაში ტერორიზმის ხელშეწყობასა და სხვა მძიმე დანაშაულში სდებს ბრალს, შეიძლება „კანონიერად“ იყვნენ ლიკვიდირებულნი, ხოლო მათი ქონება კონფისკაციას დაექვემდებაროს. რუსეთის ხელისუფლების ოფიციალურ განცხადებაში გველის სისინივით გაისმის ძველი ბრალდებები. თურმე: „ცალკეული სახელმწიფოს ტერიტორიაზე საერთაშორისო ტერორიზმი კი არ აღიკვეთება, არამედ მეტიც, იქ ტერორიზმის არსებობისთვის ხელსაყრელი პირობებია შექმნილი“. გასაგებია, ვის ბოსტანში ისვრიან კენჭებს ჩვენი ჩრდილოელი მეზობლები.

ამ ცვლილებების შემდეგ გრუ-ს არ გაუჭირდება საქართველოში სადმე, თუნდაც, ბათუმში, პანკისში, გლდანში ან ვარკეთილში, მოგონილი ან მის მიერვე შექმნილი „ტერორისტული“ ორგანიზაციის „აღმოჩენა“, რომელიც თურმე „თავს დაესხა“ რუსეთის საელჩოს ან კარგად შექეიფიანებულ რუს დიპლომატს. ამის შემდეგ კი შავნაბადაზე ან სახელმწიფო კანცელარიაში „რუსეთის ეროვნული უსაფრთხოების დაცვის“ სპეცოპერაციის ჩატარებას ვინღა აღუდგება წინ?

**ბესიკ ალადაშვილი**

# უხილავი ფრონტის უხილავი „ჯარისკაცები“

***სისხლს მოწყურებული მმართველებიცა და სამხედრო ხელმძღვანელებიც კი აღიარებენ, რომ მტრის დასამარცხებლად მისი მოსახლეობის ამოწყვეტას აზრი არ აქვს, რადგან დიდოსტატ სამხედრო სტრატეგებსა და ცბიერ პოლიტიკოსებსაც დასჭირდებათ იაფი სამუშაო ძალა. ამასთან, მოწინააღმდეგის პოტენციის განეიტრალებლად და საერთაშორისო ასპარეზზე სასურველი თანაფარდობის მისაღწევად საჭირო სულაც არ არის ქვეყნების აღგვა პირისაგან მიწისა. საკმარისია დაასუსტო ისინი, მათ შორის დემოგრაფიულ ფრონტზე, ძირი გამოუთხარო ეკონომიკას და იდეოლოგიას, გამოიწვიო მათი დემორალიზაცია, რათა საბოლოოდ „ჩამოწერო ანგარიშიდან“. ამ მიზნის მისაღწევად უამრავი ხერხი და მეთოდი არსებობს, მაგრამ მათ შორის უახლესი ერთი ხერხია: საკმარისია მოსახლეობის გარკვეული ნაწილი, რომელიც მეტ-ნაკლებად სახიფათოა, მოიწამლოს „გენეტიკური საწამლავით“, დანარჩენები კი თავად ჩაბარდებიან მტრებს, რათა თავიდან აიცილონ თანამემამულეთა არასახარბიელო ხვედრი.***

მეცნიერებამ დაამტკიცა, რომ ადამიანთა თითოეულ რასას თავისი ინდივიდუალური გენეტიკური კოდი აქვს: თუ ჩვენს პლანეტაზე არ მოიძებნება ორი აბსოლუტურად, ყველა პარამეტრით ერთმანეთის მსგავსი პიროვნება, მოდი და, ერთმანეთის აბსოლუტურად მსგავსი ორი ხალხი მოძებნეთ.

სწორედ გენეტიკური განსხვავება უდევს საფუძვლად ახალ იარაღს. მაგალითად, გენური ინჟინერიის საშუალებით შესაძლებელია შეიქმნას „ისპანკა-ემ“ ვირუსი, (ფრინველის გრიპის მსგავსი), რომელიც ნებისმიერი ადამიანის დაავადებას კი არ გამოიწვევს, არამედ რომელიმე ერთ ცალკე აღებულ ერს შეეყრება და სანამ მეცნიერები ამ უცნაური დაავადების მიზეზს აღმოაჩენენ, ყოველგვარი ტანკების, წყალქვეშა ნავებისა და ფრთიანი რაკეტების, ანექსიისა და კონტრიბუციის გარეშე განადგურდება მოწინააღმდეგე. მეტიც, ახალი იარაღის შემქმნელები ირწმუნებიან, რომ შესაძლებელია ისეთი გენეტიკური საწამლავის შემზადება, რომელიც გამორჩევით მოსპობს, დავუშვათ, ყველა შავკანიანს, აზიელს ან ცისფერთვალას. ამის გაკეთება ისე შეიძლება, რომ ვერასოდეს ვერავინ ვერაფერს გაიგებს. რა თქმა უნდა, ეს ძნელი დასაჯერებელია; სწორედ ასე არ სჯეროდათ ერთ დროს დენთის მომაკვდინებელი ძალისა, მაგრამ როგორი უწყინარი ძალაა დენთი იმავე „ისპანკასთან“ შედარებით. ამ ვირუსმა ხომ მხოლოდ 1918-1920 წლებში ათეულობით მილიონი ადამიანი შეიწირა. გენური ინჟინერიის მიღწევების შედეგად კი მცირე ფინანსური დანახარჯებით ისეთი ავადმყოფობის შტამის გამოყვანა შეიძლება, რომელთან შედარებითაც კლასიკური „ისპანკა“ უწყინარ სურდოდ მოგეჩვენებათ. გარდა ამისა, მეცნიერები ამტკიცებენ, რომ შტამებისათვის ისეთი სიცოცხლისუნარიანობის მინიჭება შეუძლიათ, რომლის დროსაც ნებისმიერი მკურნალობა ან სამედიცინო პრეპარატი კი არ გააუმჯობესებს ავადმყოფის მდგომარეობას, არამედ ხელს შეუწყობს მის გაუარესებას და უბიძგებს ეპიდემიის გავრცელებას. მაგალითად, თუ სტატისტიკას დავუჯერებთ, ყვავილისგან ყოველი მესამე დაავადებული იღუპება. მსგავსი შედეგის თავიდან ასაცილებლად, როგორც ვიცით, ვაქცინაციაა გამართლებული, მაგრამ როგორც ამბობენ, გენეტიკურად წინასწარ „შესწორებული“ ვირუსი ნებისმიერ ვაქცინას დაამარცხებს.



გენი მოგრუხუნე ბირთვულ ჯართზე ეფექტური!



ღმერთმა ნუ ქნას, გენეტიკის მსგავსი მიღწევები ტერორისტებს ჩაუვარდეთ ხელთ. მიუხედავად გასაიდუმლოებისა, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში კარგა ხანია გაჟონა ცნობებმა, რომ ოცდაათი წლის წინ ჩატარდა ექსპერიმენტების სერია პათოგენური ორგანიზმებით, მათ შორის ყვავილისა და ვენესუელური ენცეფალიტის შემადგენლობით, რომლებიც საწამლავის მოქმედებას არ ექვემდებარებოდნენ. ცდებმა ცხადყო, რომ მოდიფიცირებული ვირუსები თავიანთ ქრესტომათიულ წინამორბედებთან შედარებით საოცრად სიცოცხლისუნარიანნი არიან, რასაც დიდად უწყობს ხელს თანამედროვე ეკოლოგიური პირობები.

მსგავსი „მიღწევების“ რიგს მიეკუთვნება ადამიანის კლონირების შესაძლებლობაც, სასიცოცხლოდ აუცილებელი ორგანოების რეპროდუქცია, გენეტიკურად შეცვლილი კვების პროდუქტები, რომელთა ადამიანის ორგანიზმზე ზემოქმედებაც ბოლომდე არ არის შესწავლილი, ამიტომაც ისინი შესაძლებელია მომავლის „გემრიელ იარაღად“ ჩაითვალოს, რომელიც ამა თუ იმ რასისთვისაა შექმნილი და მოქმედებს გამორჩევით, სქესის, ასაკისა და სხვადასხვა ანთროპოლოგიური ნიშნის მიხედვით, რომლებიც გენეტიკური კოდის მატარებელი დნმ-ის სტრუქტურის ანალიზის შედეგად ვლინდება. დღეისთვის გენეტიკურ დონეზე განსხვავებული ორმოცდაათ ეთნოსადმეა ცნობილი. ამ ფაქტიდან გამომდინარე, ბრიტანეთის სამედიცინო ასოციაცია დარწმუნებულია, რომ გენეტიკური იარაღის საშუალებით შესაძლებელია გამორჩევით განადგურდეს ამ ეთნოსებს შიგნით არსებული ცალკეული ჯგუფიც კი.

„უახლოეს ათწლეულებში შესაძლოა, შეიქმნეს მასობრივი განადგურების გენე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტიკური იარაღი, — ამბობენ ასოციაციის ექსპერტები, — გენეტიკის სწრაფი განვითარება შესაძლებელია მალე მსოფლიოში ჯერ არნახული ეთნიკური წმენდის მიზეზი გახდეს“.

თავის დროზე „ფაინეიშნლ ტაიმსი“ იუწყებოდა, რომ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში მიმდინარეობდა ისეთი ბაქტერიების გამოყვანაზე მუშაობა, რომლებიც შავკანიანი მოსახლეობის უნაყოფობას გამოიწვევდა. ეს ფაქტი ამას წინათ დაადასტურა დოქტორმა დაან გუზენმა, რომელიც მაშინ სამხრეთ აფრიკის ქიმიურ-ბიოლოგიური იარაღის ცენტრს ხელმძღვანელობდა.

მასობრივი მკვლელობის საშუალებების პირველი იდეოლოგი გერმანელი დოქტორი იოჰან მენგელი იყო, იგი გენეტიკურ ექსპერიმენტებს ადამიანებზე ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკში ატარებდა.

2002 წელს მსოფლიოს მასმედიის ელექტრონული და ბეჭდური საშუალებები იუწყებოდნენ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ კუნძულ მადაგასკარზე სასწრაფოდ გადასხა საფრანგეთის პასტერის ინსტიტუტის სპეციალისტები, უცნობი ავადმყოფობის ეპიდემიის შესასწავლად. უცნაური ავადმყოფობის სიმპტომები, რომელმაც დააავადა 2000 და მოკლა 157 კაცი, ცოტათი თუ განსხვავდებოდა ჩვეულებრივი სურდოსაგან, თუმცა ზოგიერთი დაავადებული ორ დღესაც ვერ უძლებდა მას, მაგრამ მთავარი, რამაც გაეროს თანამშრომლები გააკვირვა, იყო ის, რომ ეპიდემია განსხვავებული ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლებზე არ ვრცელდებოდა. გამორიცხული არ არის, რომ ფრანგი მეცნიერები გენეტიკური იარაღის ერთ-ერთი გამოცდის მოწმენი გახდნენ. თუმცა ეს პირველი არ ყოფილა. თუკი იმ ექსპერიმენტებს გავიხსენებთ, რომელსაც იაპონელები პოლკოვნიკ ისიეის (გასამართლებულია კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაულის გამო) ხელმძღვანელობით ათასობით ტყვე ჩინელზე ატარებდნენ მეორე მსოფლიო ომის დროს.

თუ ისტორიაში ექსკურსს გავაგრძელებთ, ამერიკის თავდაცვის სამინისტროს პერსპექტიული კვლევის სააგენტოს დირექტორის ნათქვამიც უნდა გავიხსენოთ. 1969 წელს მან კონგრესის სხდომაზე განაცხადა: უახლოესი 5-10 წლის განმავლობაში შესაძლებელია, შევქმნათ ისეთი სინთეტიკური ბიოლოგიური აგენტი, რომელსაც ადამიანის ვერავითარი ბუნებრივი იმუნიტეტი ვერ გაუძლებსო. არჩევანი შეჩერდა ხანგრძლივ საინკუბაციო პერიოდზე და ეპიდემიის თანდათან გავრცელებაზე, რომელიც ლოკალიზაციას არ დაექვემდებარებოდა, რათა ფუჭი გამომდგარიყო ყოველგვარი ტრადიციული საკარანტინო ქმედებები. მაგალითად, საკმაოდ ეფექტიან პრეტენდენტად ითვლებოდა ანტიბიოტიკების უმრავლესობის მიმართ მდგრადი ტუბერკულოზი.

გასული საუკუნის 70-იან წლებში, როდესაც პირველი ხელოვნური გენი გაჩნდა, ამერიკელმა სამხედროებმა მისი დახმარებით ხელი მიჰყვეს ყველაზე სასიკვდილო აფრიკული ვირუსების: მარბურგას, ლასასა და ებოლას მოდიფიკაციას (ამ ვირუსებით დაავადებული ადამიანის შიგნეული რამდენიმე დღეში ერთგვაროვან მასად იქცევა). იმავე ათწლეულის ბოლოს კი „უხილავი დივერსანტების“ ადამიანის სქესსა და ასაკზე დამოკიდებული ეფექტიანობა 90 პროცენტამდე გაიზარდა.

ამერიკელებს არც საბჭოთა მეცნიერები ჩამორჩნენ. ხელოვნური ვირუსების გამოყვანაზე მუშაობდნენ ჩინელებიც და დასავლეთ ევროპის რამდენიმე სახელმწიფოც. რატომაც არა! ახალი იარაღი ძალზე მოხერხებული, იაფი და ყოვლად ძლიერი აღმოჩნდა. ადვილი იყო მისი ტრანსპორტირება და ეთერში გაფრქვევა. იყო ძნელად ამოსაცნობი და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, გამგზავნის „მისამართს“ არ ტოვებდა. თუ ამანათს საფოსტო ბეჭედი არა აქვს, გამომგზავნის ვინაობისა და ადგილის დადგენა ხომ შეუძლებელია.

პროგრამა „ადამიანის გენომის“ ფარგლებში, რომელიც 35 წლის მუშაობაზე იყო გათვლილი, ამერიკელი და ინგლისელი მეცნიერების ძალისხმევით ორჯერ მოკლე დროში მოხერხდა არა მარტო ადამიანის დნმ-ის გაშიფვრა, არამედ გაიშიფრა ათობით პათოგენური ბაქტერიის სტრუქტურა. დადგა ახალი თაობის ზუსტი გენეტიკური იარაღის შექმნის დრო (პროექტი „პროტეომი“), რომელიც საჭირო დროის მონაკვეთში (დაწყებული რამდენიმე საათით, ათეულობით წლებით დამთავრებული) გეგმაზომიერად მოსპობდა ადამიანთა ნებისმიერ ჯიშს მიცემული პარამეტრების შესაბამისად. ისე, რომ მტრისაგან საპასუხო დარტყმის შიში არ ექნებოდა. მეტიც, ბრიტანეთის სამედიცინო ასოციაციის მოვლენების სწრაფად განვითარებით შეწუხებული წარმომადგენელი იძულებული იყო, განეცხადებინა: „ეთნიკურად გამიზნული იარაღით შეიძლება პოპულაციის შიგნით ცალკეული ჯგუფის ამოწყვეტა. ომების ისტორია, რომელთა უმრავლესობა ეთნიკურ ნიადაგზე მოხდა, ნათელი დადასტურებაა იმისა, რამდენად სახიფათო შეიძლება იყოს მსგავსი იარაღის არსებობა“.

თითქოს ამ აზრის დასადასტურებლად კემბრიჯის გენომის კვლევის ცენტრის მეცნიერებმა გამოაქვეყნეს კვლევის შედეგები: ირკვევა, რომ ალცჰაიმერის დაავადება გაცილებით ხშირად ემართება თეთრი რასის მოსახლეობას, ვიდრე აფროამერიკელებს. გამოდის, თვით ბუნება ქმნის გამიზნულ ვირუსებს, რომელთაც ეთნოსის შიგნით გარკვეული ჯგუფის ამოწყვეტა შეუძლიათ (ზოგიერთი მასობრივი ინფორმაციის საშუალება დღესაც ამტკიცებს, რომ ამერიკელებმა ავღანეთის მთებში ბინ ლადენის საწინააღმდეგო ვირუსი გააფრქვიეს. თუკი ეს მორიგი საგაზეთო სიცრუე არ არის, სასურველია, ვირუსს იღბლიანი ნადირობა ვუსურვოთ). არანაკლები ზიანი, თუ მეტი არა, კაცობრიობას, შესაძლოა, მოუტანოს, არა სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულმა და სავარაუდო მოწინააღმდეგის გასანადგურებლად ჩატარებულმა კვლევებმა, არამედ კერძო კომპანიების სამეცნიერო ძიებებმა, რომლებიც კვების პროდუქტების წარმოებაში არიან სპეციალიზებულნი; მათ ხშირად თვითონაც არ იციან, რას სთავაზობენ პანდორას სამოხ-




**ოსვენციმი, არცთუ უსაფუძვლოდ ზემოხსენებული საძაგლობების ერთ-ერთ დედასამშობლოდ მოიაზრება**

მარბლო ყუთიდან, რომელსაც მოკრძალებულად აწერია „კარგ მადას გისურვებთ“. საკმარისია, 5 წლის წინანდელი სკანდალი გავიხსენოთ, რომელიც აშშ-ში პროდუქტების მაღაზიაში ტრანსგენური სიმინდის „სტარლინკის“ გამოჩენას მოჰყვა; იგი საკმაოდ ძლიერ ალერგენს შეიცავდა, რომლის გადამუშავება კუჭს არ შეუძლია, არც მაღალ ტემპერატურაზე იშლება, სამაგიეროდ, ადამიანის ანაფილაქტიკურ შოკში ჩაგდება შეუძლია. დაახლოებით იმავე პერიოდში ცნობილი გახდა Canola-ს ტრანსგენური თესლის არსებობაც, რომელიც ადამიანის საკვებად გამოსაყენებელი ზეთის დასამზადებლად იყო განკუთვნილი. მსგავსი პროდუქციის კიდევ ერთი სახეობაა იაპონური წამალი „ტრიპტოფანი“, რომელმაც გასაღების ბაზარი ამერიკაში მოიპოვა და ერთ წელიწადში საიქიოს გაამგზავრა რამდენიმე ათეული კაცი, დაახლოებით ათასი კი დააინვალიდა. მეცნიერები თვითონვე აღიარებენ, რომ მიკრობიოლოგიასა და გენეტიკაში ყველა მათი მიღწევის გენეტიკურ იარაღად გამოყენება შეიძლება, თუკი მათ მინიმალურად გადავამუშავებთ.

## გამარჯვების მოლანდება

ეს უფრო ჯოჯოხეთს ჰგავდა, ვიდრე ბრძოლას: მოწინააღმდეგის შეტევას ხმელეთიდან და ჰაერიდან ბოლო არ უჩანდა. მტრის ასობით ტანკი მოულოდნელად, თითქოს არსაიდან ამოდიოდა და ჯიუტად მობობღავდა, ასობით თვითმფრინავი გულისშემძვრელი წივილით პიკირებდა თავდაცვაზე გადასულთა სანგრების თავზე. ყველაზე საშინელი ის იყო, რომ მოიერიშეთა ტექნიკას ვერც რაკეტები და ვერც ჭურვები ვერ აზიანებდნენ. მებრძოლები თითქმის მიბრჯნით ესროდნენ მტრის დაჯავშნულ ურჩხულებს, ცეცხლის ნიაღვარს უხსნიდნენ მათ თავზე დაკიდებულ ვერტმფრენებს, რომლებიც დესანტის გადმოსხმას ცდილობდნენ... მაგრამ უშედეგოდ. ალბათ, ამასვე განიცდიდნენ ანტიკური გმირები, როცა მითურ ჰიდრას ებრძოდნენ: ყოველი მოჭრილი თავის ნაცვლად ახალი ორი თავი რომ ამოსდიოდა, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ მათ თავის უკვდავ მტერთან ფიზიკური შეხება მაინც შეეძლოთ, ამ შემთხვევაში კი...

რას წარმოადგენს ზემოთ აღწერილი ეპიზოდი? ფანტასტიკური ფილმის ნაწყვეტს? სამწუხაროდ, არა. ეს გახლავთ მომავლის ბრძოლის რეალური სურათი, ნაწილობრივ კი თანამედროვე ბრძოლებისა, რადგან ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იან წლებში ამერიკელებმა უჩვეულო ექსპერიმენტი ჩაატარეს. უახლესი ლაზერული ტექნოლოგიების საშუალებით მათ მოახერხეს ნამდვილ ბრძოლის ველზე საგანთა ვირტუალური გამოსახულებების, მათ შორის თვითმფრინავების, ტანკების, საზღვაო ხომალდებისა და საბრძოლო ქვედანაყოფების შექმნა და ყოველივე ისე კარგად გამოუვიდათ, რომ მოჩვენებითს ნამდვილისგან ადამიანი ვერ გაარჩევს. ჰოლოგრამები? — გაიღიმებს ზოგიერთი, — მათ ხომ ადამიანის დაზიანება არ შეუძლიათ! გააჩნია, როგორ მივუდგებით საკითხს! ზღაპრის გმირსაც მოუწია წყალქვეშა სამყაროში რამდენიმე ერთმანეთის მსგავსი ლამაზმანისგან თავისი სატრფოს ამორჩევა. ახლა კი წარმოიდგინეთ, რომ თქვენ წინაშე არა ერთნაირი მზეთუნახავთა რიგი, არამედ ორმოცდაათამდე ტანკია, რომლებიც გაბმულად ღმუიან და ჯიუტად მოიწევენ თქვენი პოზიციებისაკენ. დაუშვათ იცით, რომ მხოლოდ ზოგიერთი მათგანია რეალური, დანარჩენი კი მოჩვენებითი, როგორ გაარჩევთ მათ ერთმანეთისგან? მით უმეტეს, რომ ირგვლივ ნამდვილი ნაღმები ფეთქდება და სანგრების თავზე სრულიად არავირტუალური ტყვიები წივიან. ან როგორი მადემორალიზებელი ფსიქიკური ეფექტის მოხდენა შეუძლია ამ იარაღს, ამაზე ლაპარაკიც ზედმეტია. სხვათა შორის, ამას წინათ ნიუ-იორკელებს უჩვენეს ფსიქოტროპული იარაღის უსაფრთხო ვარიანტი, როცა არქიტექტორებმა წამოაყენეს იდეა, აფეთქებული მსოფლიო სავაჭრო ცენტრის კოშკები მათი მუდმივმოქმედი ჰოლოგრაფიული გამოსახულებით შეეცვალათ. მაყურებლებმა აღტაცება ვერ დამალეს, მაგრამ ბევრმა არ იცის, რომ ადამიანის აღქმის ორგანოებზე მოჩვენებათა ხანგრძლივ ზემოქმედებას, მისი ფსიქიკის დარღვევა შეუძლია, რაც ჰალუცინაციებს გამოიწვევს. გამოდის, უკვე დღეისთვის არსებობს იმის საშუალება, რომ სამხედრო მოქმედებების დროს შეიქმნას ახალი ვირტუალური სინამდვილე, რომელიც მოწინააღმდეგის დეზორიენტაციასა და შემდეგ დემორალიზაციას გამოიწვევს.

ზოგიერთი ცნობის თანახმად, 1993-1995 წლებში კოლორადოს შტატის უდაბნოში საკმაოდ წარმატებით ჩატარდა ამ ახალი იარაღის გამოცდა. ბრძოლის ველზე ვირტუალური შვეულმფრენები „აპაჩი“ გაუშვეს.

ფსიქოტროპული იარაღის ამოუწურავი შესაძლებლობების შესახებ წერს ერთ-ერთი ფრანგული გაზეთი: „ფსიქოტროპული იარაღის საშუალებით ბრძოლის ველზე წინასწარმეტყველის გამოსახულების შექმნა შეიძლება, რომელსაც მოწინააღმდეგეთა შორის დიდი ავტორიტეტი აქვს. თუ ასეთი ავტორიტეტი, ოპერატორის სურვილისამებრ, თავის მიმდევრებს იარაღის დაყრისა და ბრძოლის შეწყვეტისკენ მოუწოდებს, გამარჯვება გარდაუვალი იქნება“.

ფსიქოტროპული იარაღის არსენალში, ურთულესი ტექნიკური სისტემის გარდა, ჩვეულებრივი ეფექტიანი ფარმაკოლოგიური საშუალებებიც მოიპოვება, რომლებსაც ჯარისკაცების ფსიქიკური პროცესების მართვა-რეგულირება შეუძლიათ; ისინი მათ ემოციებსა და ყოფა-ქცევაზე ზემოქმედებენ. ამიტომაც არის, რომ მრავალი ქვეყნის სამხედრო ლაბორატორიებში აქტიურად სწავლობენ ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებებს, რომელთაც ადამიანის ნერვული სისტემის წონასწორობის დარღვევა შეუძლიათ.

ამ ნივთიერებების ადამიანებში ჩანერგვის ხერხი მრავალგვარია: მათი მცირე დოზით დამატება შეიძლება, იმპორტირებად სამედიცინო პრეპარატებში, აეროზოლებსა და კვების პროდუქტებში, შეიძლება უბრალოდ ჰაერში გაიფრქვეს. ერთი სიტყვით, ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, რომელ სახეობას მიეკუთვნება ნივთიერება.

საერთაშორისო კლასიფიკაციის თანახმად, ისინი ხუთ ძირითად ჯგუფად იყოფიან, ესენია: ნეიროლეპტიკები, ანტიდეპრესანტები, ტრანკვილიზატორები, ფსიქოსტიმულატორები და ფსიქოტომიმეტიკური საშუალებები.

ყველა მათგანი თავისი პირველადი დანიშნულებით წამალია, მაგრამ განა არსებობს ქვეყნად წამლის ერთი აბიც კი, რომელსაც გვერდითი მოვლენები ან უკუჩვენებები არ ახლავს? ასე მაგალითად, ნეიროლეპტიკების დახასიათებისას სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ ამ პრეპარატებს რიგ პოზიტიურ თვისებებთან ერთად, აქვთ უარყოფითიც: იწვევენ ფსიქოაფექტურ გულგრილობას, მოძრაობის შენელებას, შეუძლიათ გამოიწვიონ ფსიქოპათოლოგიური სიმპტომები, ჰალუცინაციურ-ბოდვითი მდგომარეობა. უდავოდ სასარგებლო ანტიდეპრესანტებს, რიგ შემთხვევაში (ოდნავ „გართულებული“ შემადგენლობისას) შეუძლიათ გამოიწვიონ ფსიქიკური აშლილობის გამწვავება, გადაჰყავთ დეპრესია მანიაკალურ ფაზაში, დეპრესიით შეპყრობილთ თვითმკვლელობის სურვილს უმძაფრებენ. ზოგჯერ კი ფსიქოსტიმულატორები ჯანმრთელ ადამიანებში უმიზეზო შფოთს და სუიციდისკენ ლტოლვას იწვევს.

თუკი სპეციალისტის ხელში გაივლიან, ფსიქოტროპულ საშუალებებს შეუძლიათ მასობრივად დააზიანონ მოწინააღმდეგე, მიიყვანონ ნევროტულ მდგომარეობამდე, გამოიწვიონ საშინელი შიშის გრძნობა, დეპრესია, ბოდვითი იდეები, მთლიანობაში კი პიროვნების შეცვლა შეუძლიათ.

ამ პუბლიკაციის მიზანი სულაც არ არის შიშის ზარი დასცეს მკითხველს. თუმცა, შეიძლება სულაც ახალ ექსპერიმენტთან გვქონდეს საქმე... ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობით. ისე, ჩვენ ვხუმრობთ და ავტომატებს ვყიდულობთ. არადა ფაქტია, რომ თანამედროვე საბრძოლო იარაღზე ძალიან ბუნდოვანი წარმოდგენა გვაქვს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვიკინგთა შთამომავალნი

# SWEDEN





შვედეთის ჯარი გაწვევით პრინციპზეა აგებული. ოფიცერთა ძირითადი ნაწილი პროფესიონალია. წელიწადში ერთხელ არმიის საბაზო კურსის გასავლელად სამხედრო-საჰაერო ან სამხედრო-საზღვაო ძალებში 24000 კაცს იწვევენ.

სამხედრო მომზადების კურსის გავლის შემდეგ, რომელიც შვიდიდან თხუთმეტ თვემდე გრძელდება, ჯარისკაცებს იმ ნაწილების რეზერვში უშვებენ, სადაც ისინი მსახურობდნენ, რათა საომარი საფრთხის დროს დაუყოვნებლივ დაბრუნდნენ მწყობრში.

ყოველწლიურად ახალწვეულთა ერთი ნაწილი ელიტურ ნაწილებში სამსახურის სურვილს გამოთქვამს. სპეციალისტები შვედეთის არმიის სპეცდანიშნულების ნაწილებში მისაღებ და შესარჩევ კურსს მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე მკაცრად და რთულად მიიჩნევენ.

საომრად ყველაზე საუკეთესოდ მომზადებულად შვედეთის არმიაში „რეინჯერების" პოლკები ითვლებიან. შვედეთში მათ ჟეგერე-ებს (ეგერები) უწოდებენ.

რეინჯერებს მხოლოდ ხუთი პოლკი ამზადებს, ისინი ტაქტიკური დანიშნულებების მიხედვით განირჩევიან. რეინჯერ-პარაშუტისტებს საარმიო სკოლა Fallkskamsjagare-ში ამზადებენ; სანაპირო დაცვის ეგერებსა და სამხედრო მოცურავეებს (Kustjagare u attakdikare) ამზადებს ვაკსჰოლმის სანაპირო არტილერიის პოლკი (K1), ნორლანდიელ ეგერებს (Norlandsjagare) ნორლანდიის დრაგუნთა პოლკი (K4). ლაიბ-ჰუსართა პოლკში (K3) კი მომზადებას გადიან ჩვეულებრივი ეგერები, ხოლო ლაპლანდიის პოლკი, ლაპლანდიელ ეგერებს (Lapplandsjagare) ამზადებს.



## რეინჯერ-პარაშუტისტები

რეინჯერ-პარაშუტისტების საჯარისო სკოლა კარლსბორგში 1952 წელს ბრიტანული ნიმუშის მიხედვით შეიქმნა. აუცილებელი ცოდნისა და გამოცდილების მისაღებად შვედებმა რამდენიმე ოფიცერი დიდ ბრიტანეთში, ბრიზ ნორტონში (სამეფო სამხედრო-საჰაერო ძალები) და შეერთებულ შტატებში, ფორტ-ბენინგში (აშშ-ის სამხედრო ძალების რეინჯერთა მომზადების ცენტრი) გაგზავნეს. შვიდმა ოფიცერმა მაღალკვალიფიციური მომზადება გაიარა და სამშობლოში დაბრუნების შემდეგ შვედეთის თავდაცვის სტრუქტურაში რეინჯერ-პარაშუტისტთა სასწავლო-მოსამზადებელი სკოლა შექმნეს.

საომარ პირობებში რეინჯერ-პარაშუტისტებს ევალებათ მტრის ღრმა ზურგში დაზვერვითი სამუშაოებისა და მტრის კომუნიკაციებსა და ზურგის ობიექტებზე დივერსიების ჩატარება. ამ ამოცანების შესასრულებლად ჯგუფებს ავტონომიურად ამზადებენ, ყოველგვარი მხარდაჭერის გარეშე. მათი ძირითადი საბრძოლო ერთეულია ხუთი კაცისგან შემდგარი პატრული, რომელთაგანაც თითოეული სხვადასხვა სამხედრო სპეციალობის მცოდნეა. პატრულის მეთაურია ოფიცერი, რიგითი სპეციალისტებიდან ჯგუფს ავსებენ სნაიპერი, რომელიც 7,62-მილიმეტრიანი PSG-90 (Accura-

cy International) შაშხანით ან 12,7 მილიმეტრის კალიბრის AG-90-ით არის შეიარაღებული, ექსპერტ-ამფეთქებელი და მედიკოსი. პატრულის აღჭურვილობა სამხედრო ამოცანაზეა დამოკიდებული. პატრულის შეიარაღებაში შედის: საიერიშო შაშხანა AK5-FNC-ის მოდერნიზებული ვარიანტი, ოპტიკურსამიზნიანი AK5B, AK5C – 40 მილიმეტრიანი ლულისქვემოთა M-203 ტიპის ნაღმსატყორცნი, 5,56 მილიმეტრის კალიბრის KSP90 ტყვიამფრქვევები (FN Minimi LMC-ს შვედური ანალოგი), აგრეთვე ასაფეთქებელი საშუალებები და მძიმე შეიარაღების ზოგიერთი მოდელი.

რეინჯერ-პარაშუტისტების მომზადება 15 თვეს გრძელდება. კანდიდატების შერჩევა მკაცრ კონკურენტულ გარემოში მიმდინარეობს. ყოველწლიურად დაახლოებით 600 მოხალისე გამოთქვამს კონკურსში მონაწილეობის სურვილს, რომელთაგანაც მხოლოდ ნახევარი დაიშვება შესარჩევ გამოცდებზე.

პირველი გამოცდები რთული ფიზიკური და ფსიქოლოგიური ტესტებისაგან შედგება. პარაშუტ-რეინჯერების პროგრამის კურსის გასავლელად მხოლოდ 100 მოხალისეს არჩევენ. კურსი, რომელიც ერთ თვეს გრძელდება, დაწყებითი სამხედრო ცოდნისა და ჩვევების შეთვისებას ემსახურება. კანდიდატები გადიან საპარაშუტო მომზადების საბაზო კურსსაც, რომელიც თვითმფრინავ „ჰერკულეს“ C130-დან პარაშუტით პირველი გადმოხტომით მთავრდება, რის შემდეგაც კურსანტი განმასხვავებელ სიმბოლოს, მუქ ბორდოსფერ ბერეტს იღებს.

შემდეგი ოთხი თვე საბაზო კურსს ეთმობა. კურსი მთავრდება გამოცდით, რომელსაც მისი სირთულის გამო „არწივის მარშს“ უწოდებენ. სწავლების დროს კურსანტები დესანტირებას ახდენენ ცენტრალურ შვედეთში, უღრან ტყეში, რის შემდეგაც მათ ოცდახუთი კილოგრამი აღჭურვილობით 24 საათის განმავლობაში ტყე-ღრეში 70 კილომეტრი უნდა გაიარონ. მარშის დროს ჯარისკაცები სხვადასხვა სამხედრო ოპერაციას ატარებენ (დაწყებული მოწინააღმდეგესთან შეტაკებით, მტრის ღრმა ზურგში თავის გადარჩენით დამთავრებული). „არწივის მარში“ საკმაოდ მკაცრი ტესტია, რომლის გავლაც ყველას არ შეუძლია, – ტყეში დაკარგულ ზოგიერთ კურსანტს ინსტრუქტორები ზოგჯერ მთელი კვირის განმავლობაში ეძებენ.

ის, ვინც წარმატებით გაივლის გამოცდას, დაჯილდოვდება რეინჯერ-პარაშუტისტის საკვალიფიკაციო ნიშნით, „ოქროს არწივით“, რომელსაც კურსანტები უნიფორმის მარჯვენა ჯიბეზე იმაგრებენ. მათთვის ეს მიზნისაკენ სავალი კიდევ ერთი ნაბიჯია.

მომზადების შემდგომი კურსი მოიცავს სხვადასხვა საბრძოლო ამოცანათა შესრულების სწავლებასა და საჰაერო-სადესანტო ვარჯიშებს. შემდეგ კურსანტები ორმოცჯერ გადმოხტებიან პარაშუტით და მათ ინსტრუქტორის კვალიფიკაცია მიენიჭებათ.

დეკემბრიდან მარტის ჩათვლით კურსანტები სწავლებას ლაპლანდიის რეინჯერთა პოლკში გადიან, სადაც მათ არქტიკასა და მაღალმთიან რეგიონებში მოქმედებას აჩვევენ. შემდეგ მათ ნაპირზე დესანტირების საზღვაო ვარიანტში ავარჯიშებენ (წყალზედა ვარიანტი); ამასთან, მცირე სიმაღლიდან წყალში პარაშუტებით ხტომაშიც ვარჯიშობენ. ვარჯიშები სტოკჰოლმის არქიპელაგის რაიონში მიმდინარეობს.

მომზადება სამკვირიანი სწავლებით მთავრდება. ამორჩეული ასი კანდიდატიდან ფინალს მხოლოდ რამდენიმე ათეული მებრძოლი აღწევს, რომლებმაც ათთვიანი მომქანცველი სწავლებები გაიარეს და ფიზიკურ დატვირთვას გაუძლეს. მხოლოდ მათ აქვთ უფლება ამაყად წარმოთქვან რეინჯერ-პარაშუტისტების დევიზი: „მიზნის მისაღწევად აუცილებელია ნებისყოფა, სიმამაცე და გამძლეობა“.

## სანაპიროს ეგერები

შვედეთის სანაპირო არტილერიის შემადგენლობაში ირიცხება ამფიბიური ასეული, რომელიც ძლიერი საცეცხლე იარაღითაა აღჭურვილი; მისი პასუხისმგებლობის ზონა, შვედეთის არქიპელაგია.

ასეული შედგება საშტაბო ოცეულისგან, ნაღმმტყორცნელთა და ამფიბიური ოცეულებისგან, რომლებშიც შედიან ნავსაწინააღმდეგო-სარაკეტო და დამნაღმველთა ოცეულები, აგრეთვე სანაპიროს ეგერთა (რეინჯერთა) ორი ოცეული.



ეგერთა ამოცანაა მტრისგან ოკუპირებული სანაპირო მონაკვეთების დაკავება და დესანტის გადმოსასხდომი პირობების მომზადება. მათვე ევალებათ სადაზვერვო სამუშაოების წარმოება და დივერსიების საწინააღმდეგო მოქმედებების ჩატარება.

ოცეული სამი ჯგუფისგან შედგება, თითოეულში კი რეინჯერთა სამი ქვედანაყოფი და ცეცხლით მხარდაჭერის ორი სექციაა.

სექციების აღჭურვილობაში შედის 7,62 მილიმეტრიანი ტყვიამფრქვევი (FN MAG) და 84-მილიმეტრიანი ქვემეხი „კარლ გუსტავი“. რეინჯერების ჯგუფები შეიარაღებულია AK-5 სისტემის საიერიშო შაშხანებითა და ხელის ტყვიამფრქვევებით KSP-90.

ყინულოვანი წყლის, რომელიც შვედეთის ნაპირებს აკრავს გარს, სწრაფად დასაძლევად რეინჯერების განკარგულებაშია სწრაფმავალი რეზინის ნავები და კატარღები. რეინჯერების ნებისმიერ ადგილას ოპერატიულად გადასასხმელად მუდმივად მზადაა შვედეთის სამხედრო-საზღვაო ძალების შვეულმფრენები.

საიდუმლო ოპერაციებისა და მოწინაალმდეგის დაკავებულ ტერიტორიაზე შეუმჩნევლად შესაღწევად გამოიყენება მცირე











ზომის რეზინის გასაბერი მოტორიანი ნავები. მათ ელიტურ ქვედანაყოფებს მოხალისეებისგან აკომპლექტებენ, — უტარებენ ტესტებს, რომლებითაც რეინჯერების ნებისყოფას, ფიზიკურ გამძლეობასა და არჩეული სამხედრო სპეციალობისადმი შესაბამისობას ამოწმებენ. სანაპიროს რეინჯერები ათი თვის განმავლობაში ვასჰოლმსა და სტოკჰოლმის არქიპელაგის რაიონში გადიან წვრთნებს. ექვსთვიანი მომზადების შემდეგ მათ „რეინჯერული მარშის" გავლას ავალებენ. სპეციალისტების აზრით, მარში ჯარისკაცების ნებისყოფას აწრთობს. გამოცდა შედგება „რეინჯერ-პარაშუტისტების", „არწივის მარშის" მსგავსი ფორსირებული მარშების სერიებისგან. მას, ვინც გაუძლებს ძნელ გამოცდას, კოკარდიანი (ნეპტუნის სამკბილას მსგავსი) ბერეტის ტარების ნება ეძლევა.

საბაზო მომზადების შემდეგ რეინჯერები გასაბერი ნავების მართვას, მათი მეშვეობით დიდი მანძილის, წინაღობების გადალახვას, აჩქარებული მარშების ჩატარებას სწავლობენ; სრულყოფენ ცოდნა-გამოცდილებას ტოპოგრაფიასა და სანაღმო-ასაფეთქებელ საქმეში. გარდა ზემოჩამოთვლილისა, რეინჯერებს ასწავლიან ხელჩართულ ბრძოლაში მოწინააღმდეგის მოკვლას და ქალაქის პირობებში ბრძოლების წარმოებას.

## მებრძოლი მოცურავეები

მებრძოლი მოცურავეები ამფიბიური საშტაბო ბატალიონის სადაზვერვო ასეულში შედიან. ასეული შედგება სამი განყოფილებისგან, რომელთაგან თითოში ექვს-ექვსი კაცია. თითო მათგანს აქვს ვიწრო სპეციალობა: განყოფილების მეთაური, მეთაურის მოადგილე, ნავიგატორი (ნავის მესაჭე), ამფეთქებელ-ექსპერტი და კავშირგაბმულობის სპეციალისტი. მებრძოლ მოცურავეებს სანაპირო რეინჯერებს შორის არჩევენ. ეს არჩევანი იმ განსაკუთრებული მნიშვნელობის ამოცანებითაა განპირობებული, რომელთა შესრულებასაც მეთაურები მათი მეშვეობით აპირებენ.

დაზვერვითი მოქმედებების ჩასატარებლად მებრძოლი მოცურავეები შეუმჩნევლად უნდა გადასხდნენ მოწინააღმდეგის მიერ დაკავებული სანაპიროს მონაკვეთზე და მონაცემები მიაწოდონ ხელმძღვანელობას, რომელიც იქ მთავარი დესანტის გადასხმას გეგმავს.

მებრძოლი მოცურავეების ამოცანებში შედის საგანგებო დაზვერვითი სამუშაოები მოწინააღმდეგის მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე, ასევე დივერსიების ჩატარება; მტრის ზურგში ელვისებური რეიდების მოწყობა; არტილერიისა და ნაღმტყორცნელთათვის დამიზნების ზუსტი პარამეტრების მიწოდება; საზღვაო დესანტის მოწინავე რაზმების ამოცანების შესრულება.

სამხედრო მოქმედებების რაიონში მოცურავეები რეზინის ნავებით, სწრაფმავალი კატარღებითა და შვეულმფრენებით მიჰყავთ. ამ დროს მებრძოლი მოცურავეები იყენებენ როგორც დახურულ, ისე ღია ციკლის სასუნთქ აპარატებს.

მებრძოლ მოცურავეთა საბრძოლო აღჭურვილობა სანაპირო რეინჯერების აღჭურვილობის ანალოგიურია.

ათი თვის განმავლობაში მებრძოლ მოცურავეებს ასწავლიან წყალქვეშა სასუნთქი აპარატების გამოყენებას, გადიან თავის გადარჩენისა და ხელჩართული ბრძოლის კურსსაც; ასწავლიან მცირე ჯგუფებად მოქმედების ტაქტიკას და ბევრ სხვა საიდუმლოს, რომელთა გამოყენებაც მათ შესაძლოა, მტრის ზურგში ავტონომიური მოქმედებებისას მოუწიოთ.

მებრძოლ მოცურავეებს ზუსტად ისეთივე უნიფორმა აცვიათ, როგორიც სანაპირო რეინჯერებს, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მათ მწვანე ბერეტზე მიმაგრებული ნეპტუნის სამკბილას გარეთა ორი კბილი შიგნითაა შეზნექილი.

## ტანკებთან საბრძოლველად

ნორლანდიის დრაგუნთა და ჰუსართა პოლკები შვედეთის შეიარაღებული ძალების ყველაზე ძველი კავალერისტული სამხედრო შენაერთებია. გასული საუკუნის მეორე ნახევარში საგანგებო ოპერაციების როლის გაძლიერებამ შვედეთის სამხედრო მოხელეები აიძულა, ძველი კავალერისტული შენაერთები ეგერთა პოლკებად გარდაექმნათ.

ყველა ამ პოლკს ევალება სადაზვერვო მოქმედებების ჩატარება და მტრის ტანკებისა და სხვა ჯავშანტექნიკის წინააღმდეგ ბრძოლა.

ნორლანდიის პოლკი არქტიკული ბატალიონისთვის ამზადებს ეგერებს, ლაიბ-ჰუსართა პოლკის ეგერები მოწოდებული არიან შვედეთის ტყეების ცენტრალურ და სამხრეთ ნაწილებში სამოქმედოდ, „ლაპლანდიელები" კი პრაქტიკულ პირობებში, ლაპლანდიის მთებში. მათ ერთნაირი საომარი აღჭურვილობა, სტრუქტურა და მომზადება აქვთ. არსებობს მათ შორის ზოგიერთი განსხვავება, რაც მათი გამოყენების რაიონებითაა განპირობებული.

პოლკების საბრძოლო აღჭურვილობაში, ჩვეულებრივი სასროლი იარაღის გარდა, არის „პტურატ-4" (500 გათვლა) და „კარლ გუსტავი" (ქვემეხი უკუსიალის გარეშე). ეგერები ექვსკაციან ჯგუფებად დაყოფილნი მოქმედებენ.

სწავლების კურსი სამ ეტაპად მიმდინარეობს. პირველ ეტაპზე მეომრები თავთავიანთი სამხედრო სპეციალობების საბაზო ცოდნას ეუფლებიან. ამ დროს მათ ასწავლიან იარაღის მოხმარებას, პატრულირებას, თავის გადარჩენას, ტოპოგრაფიას და ა.შ..

მეორე ეტაპი ეთმობა კოლექტიური იარაღის მოხმარებას სხვადასხვა პირობებში; მესამე ეტაპზე მუშავდება მოქმედებები განყოფილებასა და ოცეულის შემადგენლობაში.

სამივე პოლკის მეომრები თავ-თავიანთი პოლკის განმასხვავებელი ემბლემით დამშვენებულ მწვანე ბერეტებს ატარებენ, სამკლაურებზე კი ყვითელ-მწვანე „ჭაგარე" უბრწყინავთ.



## რას წარმოადგენს შავი ზღვის რუსული „რისხვა“ და როგორ შეიძლება მისი მწყობრიდან გამოყვანა

# „მოსკოვი“ შავი ზღვიდანაც გვემუქრება

საქართველოსა და რუსეთს შორის ბოლო დროს უკიდურესად დაძაბული ურთიერთობების ფონზე თბილისშიც და მოსკოვშიც ლაპარაკობენ შეიარაღებული დაპირისპირების შესაძლებლობაზე. ეს, რა თქმა უნდა, მოვლენების განვითარების ერთ-ერთი ყველაზე არასასურველი მიმართულება იქნება, მაგრამ არც მთლად გამორიცხული. თუმცა უფრო სავარაუდოა, რომ რუსეთი ვერ გაბედავს საბრძოლო იერიში მიიტანოს სუვერენულ საქართველოზე. უფრო მოსალოდნელია, რომ მოსკოვი გაიმეორებს 1992-93 წლების ტაქტიკას, როდესაც ოსი და აფხაზი სეპარატისტების ზურგსამოფარებული ომს დაუწყებს საქართველოს.

საქართველოს ტერიტორიული მდებარეობიდან და აფხაზეთის კონფლიქტის ზონიდან გამომდინარე, მოსალოდნელია, რომ მოსკოვი ჩვენს წინააღმდეგ საზღვაო კომპონენტსაც ჩართავს, კერძოდ, რუსეთის შავი ზღვის ფლოტის ხომალდებს.

„არსენალი“ უკვე წერდა, რას წარმოადგენს რუსეთის შავი ზღვის ფლოტი. ამჯერად კი ყურადღებას ფლოტის ფლაგმანზე, შავ ზღვაში ერთ-ერთ ყველაზე მრისხანე ხომალდზე, სარაკეტო კრეისერ Москва-ზე გავამახვილებთ, რადგან მას შეუძლია დიდი ზიანი მიაყენოს საქართველოს.

**ხომალდსაწინააღმდეგო ფრთოსანი რაკეტა П-500 Базальт-ი 550 კმ-ზე მიფრინავს**



რუსეთის შავი ზღვის ფლოტის ფლაგმანი, სარაკეტო კრეისერი Москва (საბორტე ნომრით 121) უკვე 27 წელს ითვლის. „პროექტი 1164“-ის შიფრით მომავალი კრეისერი ნიკოლაევის გემთმშენებელი ქარხნის სტაპელებზე ჯერ კიდევ 1976 წლის ნოემბერში გამოჩნდა. სამწლიანი მშენებლობის შემდეგ, 1979 წლის 27 ივლისს, იგი ზღვაში ჩაუშვეს, ხოლო საბჭოთა კავშირის შავი ზღვის ფლოტის შეიარაღებაში 1983 წლის თებერვალში მიიღეს Слава-ს სახელით.

„სლავა“ მაშინვე იქცა საბჭოთა შავი ზღვის ფლოტის დამრტყმელ ძალად, რადგან მის შეიარაღებაში იყო „ავიამზიდების მკვლელი“, — სწორედ ეს სახელი უწოდეს დასავლეთში ახალი საბჭოთა კრეისერის ხომალდსაწინააღმდეგო ფრთოსან რაკეტებს – П-500 Базальт-ს.

„ბაზალტის“ საშუალებით „სლავას“ მოწინააღმდეგის ხომალდის ჩაძირვა 550 კმ-ის რადიუსში ნახევარტონიანი საბრძოლო ქობინის მორტყმით შეეძლო; თუკი ამერიკულ ატომურ ავიამზიდს ჩვეულებრივი ქობინი ვერაფერს დააკლებდა, მაშინ მისთვის ბირთვული ქობინი იყო გამზადებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა



კრეისერ Москва-ზე ხომალდსაწინააღმდეგო ფრთოსანი რაკეტების П-500-ის 16 გასაშვები კონტეინერია დამონტაჟებული

სხვათა შორის, სწორედ „სლავაზე" ჩაატარეს შავ ზღვაში ერთობლივი ექსპერიმენტი რუსებმა და ამერიკელებმა. ამერიკული გამა-დეტექტორით დისტანციურად იქნა განსაზღვრული რადიაცის ის მცირე ფონი, რასაც კონტეინერებში ჩადებული ფრთოსანი რაკეტის П-500-ის ბირთვული ქობინი გამოასხივებდა. ამ ექსპერიმენტის დანერგვის შემდეგ ვაშინგტონსაც და მოსკოვსაც სურდაც შეექმნათ სისტემა, რომლითაც დისტანციურად აღმოაჩენდნენ, აქვს თუ არა ბორტზე ბირთვული იარაღი პორტში შემოსულ სამხედრო ხომალდს, მაგრამ ეს ექსპერიმენტი ვეღარ გაგრძელდა.

1989 წლის დეკემბერში „სლავა" მეორედ მოხვდა საერთაშორისო ურთიერთობების ეპიცენტრში, როდესაც ხმელთაშუა ზღვაში, კუნძულ მალტაზე, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივნის, მიხაილ გორბაჩოვისა და აშშ-ის პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის ოფიციალური შეხვედრის უსაფრთხოება უზრუნველყოფდა.

1990 წელს „სლავა" გეგმური რემონტისთვის ისევ ნიკოლაევის ქარხნის სტაპელებზე დააყენეს, თუმცა ამისთვის განკუთვნილი რვა თვე რვა წლამდე გაიზარდა. ამ პერიოდში დაიშალა საბჭოთა კავშირი, ხოლო შავი ზღვის ფლოტი რუსეთმა და უკრაინამ გაიყვეს (საქართველოს კანონიერი წილი არავის გახსენებია).

აფხაზეთის ომის დროს, მოსკოვის ბრძანებით, სამხედრო ხომალდები მუდმივად ტრიალებდნენ აფხაზეთის სანაპიროს გასწვრივ და ყველანაირად უშლიდნენ ხელს ქართულ სამხედრო განაყოფებს და ავიაციას. „სლავა" ამ ბლოკადაში მხოლოდ იმიტომ არ მონაწილეობდა, რომ რემონტი უსაშველოდ გაუგრძელდა.

1995 წლის 22 ივნისს მას სახელი გადაარქვეს და Москва უწოდეს. რემონტი მხოლოდ 1999 წლის 19 ივლისს დამთავრდა, როდესაც „მოსკვად" გადანათლული სარაკეტო კრეისერი ხელმეორედ ჩაუშვეს შავ ზღვაში. მას შემდეგ „მოსკვა" სისტემატურად პატრულირებს როგორც შავ, ისე ხმელთაშუა ზღვაში.

რა უნდა ვიღონოთ, თუკი რუსეთის შავი ზღვის ფლოტის ფლაგმანი, „ავიამზიდების მკვლელი" სარაკეტო კრეისერი „მოსკვა" მაინც გამოჩნდება საქართველოს სანაპიროებთან?

პირველ რიგში, „მოსკვას" ძლიერი რადიოელექტრონული კომპლექსის საშუალებით თითქმის მთელი დასავლეთ საქართველოს საჰაერო სივრცის გაკონტროლება შეუძლია; ეს იმას ნიშნავს, რომ როგორც კი ქართული მოიერიშე თვითმფრინავები და შვეულმფრენები გადაუფრენენ რიკოთის უღელტეხილს, შესაძლოა, „მოსკვას" რადიოლოკაციური სადგურებისა და რადიოელექტრონული დაზვერვის სისტემების მარწუხებში მოექცნენ. ამგვარ ტაქტიკას იყენებდა აფხაზეთის ომის დროს ოჩამჩირის ტრავერსში მდგომი რუსული სადარაჯო ხომალდი. როგორც კი „მოსკვა" აღმოაჩენს მფრინავ ობიექტებს, მაშინვე მოსკოვის გავლით სოხუმს შეატყობინებს, რაც შეამცირებს შესაძლო საჰაერო ოპერაციის მოულოდნელობის ეფექტს. გამოსავალი ის არის, რომ ქართულმა მოიერიშე თვითმფრინავებმა და შვეულმფრენებმა ძალიან დაბალ სიმაღლეზე იფრინონ.

„მოსკვას" თავადაც აქვს საზენიტო იარაღი, კერძოდ კი შორსმოქმედი საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი С-300Ф Форт-ი. ხომალდზე 64 ამგვარი საზენიტო რაკეტაა ჩატვირთული, ისინი სტარტს შვეულად იღებენ. „ფორტის" საზენიტო რაკეტის მოქმედების რადიუსი 75 კმ-ს უტოლდება. საჰაერო სამიზნეების დაზიანების მინიმალური სიმაღლე 25 მეტრია, მაქსიმალური კი 25 კმ. საზენიტო სისტემას წამში სამი რაკეტის გაშვება შეუძლია.

თუკი საჰაერო ობიექტმა მოახერხა თავის დაღწევა მრისხანე „ფორტისგან"

**ჩვენი დოსიე:** Москва-ს წყალწყვა 11280 ტ, სიგრძე 186,5 მ, სიგანე 20,8 მ, ხოლო წყალჯდომა 7,6 მ-ია. რუსული კრეისერის მაქსიმალური სიჩქარე 32 კვანძია; აქვს ოთხი (თითოეული 22500 ცხ.ძ.-ის სიმძლავრის) აირტურბინიანი ძრავა და ორი საზღვაო ხრახნი. ეკიპაჟი 510 ოფიცრისგან და მატროსისგან შედგება.



და უფრო დაუახლოვდა „მოსკვას“, მაშინ საქმეში ახლო მოქმედების საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი OCA-MA ჩაერთვება, რომლის მარაგში 48 საზენიტო რაკეტაა. თითოეულ მათგანს 15 კმ-ის რადიუსში ზღვის ზედაპირიდან 5 მეტრით მაღლა მფრენი ობიექტის დაზიანება შეუძლია.

„ფორტსა“ და „ოსასაც“ გადარჩენილ და „მოსკვაზე“ იერიშის მიმტან თვითმფრინავსა თუ ფრთოსან რაკეტას ბოლოს 6 ცალი ექვსლულიანი საზენიტო ქვემეხის 30მმ კალიბრიანი ჭურვებისგან მოუწევს თავის დაღწევა, რაც ძალიან რთულია, რადგან AK-630 ტიპის ეს საზენიტო ქვემეხი წუთში 5 ათას(!) ჭურვს ისვრის. ექვსივე საზენიტო ქვემეხს 16000 ჭურვის მარაგი აქვს და ეფექტიანია 4 კმ რადიუსში.

„მოსკვას“ ტრადიციული იარაღიდან მხოლოდ ერთი ორლულიანი 130 მმ კალიბრიანი საარტილერიო დანადგარი AK-130 შემორჩა (2 ათასი ჭურვის მარაგით), რომლიდანაც ჭურვების სროლა საჰაერო, საზღვაო და სახმელეთო მიზნების მიმართულებით შეიძლება.

სატორპედო იარაღიდან „მოსკვაზე“ ორი ხუთლულიანი სატორპედო აპარატია, რომლებშიც 533 მმ კალიბრიანი 10 ტორპედო თავსდება. გემბანზე ასევე დამონტაჟებულია ორი თორმეტლულიანი რეაქტიული ბომბსატყორცნი დანადგარი РБУ-6000, რომელიც 5 კმ-მდე 113 კგ მასის სიღრმულ ბომბებს ისვრის წყალქვეშა ნავების ასაფეთქებლად: „მოსკვას“ გემბანის ბოლოში განთავსებულია ანგარი, რომელშიც ერთი წყალქვეშა ნავსაწინააღმდეგო შვეულმფრენი Ka-27 თავსდება.



„მოსკვას“ 130 მმ-იანი საარტილერიო დანადგარი AK-130-ი ჭურვებს 20 კმ-ზე ისვრის

როგორც ხედავთ, რუსული სარაკეტო კრეისერი „მოსკვა“ მართლაც ანგარიშგასაწევი ძალაა მთელ შავ ზღვაში. შეიძლება თუ არა მისი დროებით ნეიტრალიზება და მწყობრიდან გამოყვანა?

რა თქმა უნდა, აბსოლუტურად დაცული სამხედრო ტექნიკა არ არსებობს და ასევეა „მოსკვაც“. მისი მწყობრიდან გამოყვანის ყველაზე კარგი საშუალება წყალქვეშა ნავიდან გაშვებული თვითდამიზნებადი ტორპედოები ან, უკიდურეს შემთხვევაში, მაგნიტური საზღვაო ნაღმებია, ან სულაც ხომალდსაწინააღმდეგო ფრთოსანი რაკეტები; მაგრამ რა ქნას იმ ქვეყანამ, რომელსაც ზემოთ ჩამოთვლილი იარაღიდან არც ერთი არ აქვს? თუკი საქართველოს შესაძლებლობებზე ვიმსჯელებთ, გვრჩება სამი გზა: მოიერიშე Су-25-ების გამოყენება მართვადი და უმართავი რაკეტებით (პილოტი უნდა ეცადოს, არ დაუახლოვდეს ძლიერი ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის მქონე კრეისერებს და მისკენ რაკეტები რაც შეიძლება შორი მანძილიდან გაუშვას); 100 მმ კალიბრიანი საზენიტო ქვემეხები KC-190, რომლის სროლის სიშორე 20 კმ-ს აღწევს (რამდენად ეფექტიანი იქნება საჰაერო მიზნების ჩამოსაგდებად განკუთვნილი მსხვრევად-ფუგასური საზენიტო ჭურვი ნაწილობრივ შეჯავშნული კრეისერის დასაზიანებლად, სხვა საქმეა) და თვითმავალი საარტილერიო დანადგარები რომლის 152 მმ კალიბრიანი ჭურვი 18,7 კმ მაქსიმალურ მანძილზე მიფრინავს.

უფრო მისაღებია DANA-ს ვარიანტი, ვიდრე KC-19-ის, რადგან წუთში 5 გასროლას ასწრებს და მალევე იცვლის პოზიციას; თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ „მოსკვას“ ცხვირში დაყენებული 130 მმ-იანი ორლულიანი საარტილერიო დანადგარი ჭურვს DANA-ზე 2 კმ-ით შორს ისვრის. ერთი ეგ არის, რომ „მოსკვას“ სიგრძე 186 მეტრზე მეტია და თუკი ნაპირის გასწვრივ გვერდულად დადგა, საუკეთესო სამიზნეს წარმოადგენს.

ქართული სამხედრო ფლოტის სარაკეტო კატარღები მიზეზთა გამო ეფექტიან წინააღმდეგობას რუსულ „მოსკვას“ ვერ გაუწევენ.

იმედი ვიქონიოთ, რომ საქმე შეიარაღებულ დაპირისპირებამდე არ მივა. ჩვენ კი „არსენალის“ მკითხველს ეს მცირე ინფორმაცია მაინც მივაწოდეთ იმის შესახებ, რას უნდა ვუფრთხილდეთ შავ ზღვაში...

*ირაკლი ალადაშვილი*




არსენალი
სარაკეტო კრეისერი
"МОСКВА"

ეროვნული ბიბლიოთეკა

**„არსენალმა“ ადრინდელ ნომრებში საკმაოდ დაწვრილებით განიხილა საფრანგეთის უცხოური ლეგიონის ისტორია, მასში რეკრუტების მიღების წესები და ა.შ. თუმცა მას შემდეგ უკვე საკმაო ხანიც გავიდა და თან მკითხველების ინტერესი ამ თემისადმი არ განელებულა. ვინაიდან იმ პერიოდში „არსენალი“ შედარებით მცირეტირაჟიანი გახლდათ, ბევრმა ჩვენმა დღევანდელმა მკითხველმა ვერ მოახერხა იმ პუბლიკაციების გაცნობა. ამიტომ სპეციალურად მათთვის, ვინც დაინტერესებულია ამ საბრძოლო შენაერთით, ერთი ქართველი ლეგიონერი ირაკლი მაჭარაშვილი მოვძებნეთ და ისიც გულისხმიერად დაგვთანხმდა მოეთხრო როგორც ლეგიონის, ისე მასთან დაკავშირებული საკუთარი ისტორიაც...**



# LEGION ETRANGERE
## უცხოური ლეგიონი

დაქირავებულ მებრძოლთა ისტორია ისევე გრძელია, როგორც ომებისა. საფრანგეთს ბევრჯერ დაუქირავებია სხვადასხვა ქვეყნიდან ჯარისკაცები. ჯერ კიდევ მე-14 საუკუნეში ჰყავდა მეფე ფილიპ ლამაზს უცხოური ლეგიონერები. ფრანგულმა რევოლუციამ ეს ხალხი არმიაში გადაისროლა. დაქირავებულ ფეხოსნებს, რომლებმაც ფრანგულიც კი არ იცოდნენ, არ უხდებოდათ სამშობლოს დამცველთა სახელი. ნაპოლეონის გვერდით იბრძოდნენ პოლონელები, გერმანელები, იტალიელები თუ სხვა ერის წარმომადგენლები, მაგრამ ამ ნაწილებს ახალი წყობის დამყარება უფრო ადარდებდათ, ვიდრე ჯიბის გასქელება. „იდეური“ ჯარები შეიძლება გამოიყენო სამშობლოს დასაცავად ან ტირანიის დასამხობად, მაგრამ არ გამოდგებიან კოლონიური ომებისათვის. როდესაც საფრანგეთმა აფრიკის ექსპანსია დაიწყო, დაქირავებული ჯარები ისევ საჭირო გახდა.

ევროპისთვის 1830-31 წლები მეტად ბობოქარი იყო. ბელგიელები ჰოლანდიელების წინააღმდეგ აჯანყდნენ, პოლონელები — რუსების, ფრანგებმა მეფე გააგდეს და ტახტზე უფრო ლიბერალური ბურბონები აიყვანეს. საფრანგეთისკენ მასობრივად დაიძრნენ დამარცხებული არმიის ჯარისკაცები. ამასობაში საფრანგეთის ჯარი ალჟირში უფრო და უფრო დიდ ტერიტორიას იკავებდა, მაგრამ კატასტროფულად აკლდათ ხალხი.

საფრანგეთს სჭირდებოდა კარგად გაწვრთნილი არმია, რომელიც გაუძლებდა საჰარის უდაბნოს ურთულეს პირობებს. იქ, სადაც გენერალიტეტს ფრანგი ჯარისკაცის გაგზავნა დაენანებოდა, შეიძლებოდა გაეშვა ქვეყანაში უსაქმურად მოწანწალე უცხოელებისაგან შემდგარი არმია. ეს შეიქნა საფრანგეთის უცხოური ლეგიონის შექმნის წინა პირობა.

1831 წლის 10 მარტს შეიქმნა ლეგიონი, რომელიც უცხოელებისგან დაკომპლექტდა. ლეგიონის გამოყენება საფრანგეთის კონტინენტურ ტერიტორიაზე სასტიკად იკრძა-

## ჩემი ისტორია

ჩემი ისტორია დიდად არ განსხვავდება სხვა ემიგრანტების ისტორიისაგან იმ მომენტამდე, როცა ფრანგული უცხოური ლეგიონის კარს მივუკაკუნე.

ქვეყანას თბილისში, 1980 წლის იანვარში მოვევლინე. დედა დაწყებითი კლასების მასწავლებელი, მამა კი ინჟინერი მყავდა. ძალიან ლამაზი ბავშვობა მქონდა. ზაფხულს გურიის მთებში ვატარებდი. ცხრა წლისამ მეტროსადგურ „დელისის“ ამოსასვლელში პირველად დავინახე უზარმაზარი (როგორც მაშინ მეჩვენებოდა) რუსი, უფრო სწორად, საბჭოთა ჯარისკაცი. კამუფლირებულ ტანსაცმელში, მოკლეყელიან ბათინკებში, ტყვიაგაუმტარ ჟილეტში გამოწყობილი, რომელსაც გულზე დიდი, მბრწყინავი ავტომატი ეკიდა. მეტროდან ამოსულს გამაყრუებელი ხმაური შემომესმა, ხალხი აქეთ-იქით გარბოდა, რუსი ოფიცერი კი იდგა და ჰაერში ისროდა. გაბრაზებული, თავზე შავლენტებწაკრული ხალხი კი რაღაცას უყვიროდა. მგონი, ჩემი ბავშვობა აქ დამთავრდა. შემდეგ ავტომატიანი კაცები უკვე აღარ მაკვირვებდა და სროლის ხმასაც მივეჩვიეთ; ყველაზე კარგი გართობა რუსთაველის პროსპექტზე ჰილზების შეგროვება და მეგობრებთან იმაზე კამათი იყო, ის დამწვარი სამხედრო მანქანა ტანკი, **БТР** თუ **БМП** იყო.

არეულმა ცხოვრებამ ხასიათიც ამირია: სკოლიდან ექვსჯერ გამომაგდეს (სულ ექვსი სკოლა გამოვიცვალე), იყო ჩხუბი, დანის ტრიალი, გინება და დილიდან საღამომდე ქუჩაში (ბირჟაზე) უსაქმოდ დგომა. იდეალად სპორტსმენები ან მომღერლები კი არ გვყავდა, არამედ ჩვენი უბნის მხედრიონელები. ცამეტი წლის რომ შევსრულდით, მე და ჩემი მეგობარი იპოდრომზე მივედით და „თეთრი გიორგის“ ჯარისკაცებს შევეხვეწეთ, აფხაზეთში საომრად წავეყვანეთ. რა თქმა უნდა, უარი გვითხრეს.

შემდეგ რაც იყო, ყველას კარგად გვახსოვს. ჩვენ ვიზრდებოდით, ქვეყანა ინგრეოდა. უფულობამ წვრილმანი ქურდობაც გაგვაბედვინა. მერე და მერე უფრო გავთამამდით. ყველაფერ ამაში ჩვენი უბნის (ოქროსუბნელი ვარ) ტრადიციებიც გვიწყობდა ხელს.

1995 წელს მამა საქართველოდან ევროპაში წავიდა. წესიერი კაცია და

ლებოდა. ახალ ნაწილში სამსახურს იწყებდნენ არმიის დეზერტირები, პოლიტიკური ემიგრანტები თუ ბანდიტები. ოფიცრებად ინიშნებოდნენ ის ფრანგები, რომლებიც სამხედრო ნაწილებიდან სხვადასხვა დანაშაულისათვის გამოაგდოთ. ასე რომ, ლეგიონი იმთავითვე დამნაშავეთა დაუნდობელი ბანდა იყო, ოღონდ დისციპლინის მარწუხებში მოქცეული.



1831 წლის აგვისტოს პირველი ლეგიონერები გაემგზავრნენ ალჟირში. ლეგიონში ხომ სხვადასხვა ზნისა და წარსულის ადამიანები იყვნენ თავმოყრილნი, ამიტომაც ხშირი იყო დაპირისპირება, აყალმაყალი. გარდა ამისა, ლეგიონერები ილუპებოდნენ ავადმყოფობისგანაც. ხანდახან ასეულებს შორის პატარა ომებიც კი იმართებოდა. მხოლოდ უმკაცრესმა სასჯელებმა გადაარჩინა ლეგიონი დაშლას. სწორედ ამის შემდეგ იყო, რომ ჯარისკაცების ცემა ყაზარმული ცხოვრების წესად იქცა.

ლეგიონმა ბრძოლებში მონაწილეობა პირველად 1833 წელს მიიღო. ბედუინთა ტომები ამირ აბდ-ალ-კადირის მეთაურობით აუჯანყდნენ საფრანგეთის ბატონობას და პარტიზანულ ომი გააჩაღეს. ლეგიონისთვის ტრაგიკული ბრძოლის დროს სოფელ მაკთასთან პოლონელთა და იტალიელთა ასეულებმა ერთმანეთს გაუხსნეს ცეცხლი. მას შემდეგ ბატალიონების ეროვნულობის მიხედვით დაკომპლექტება სასტიკად აიკრძალა.

1835 წელს საფრანგეთის მეფემ ლეგიონი ესპანეთის დედოფალ კრისტინას 80.000 ფრანკად მიჰყიდა, რათა მას თავის კონკურენტ დონ კარლოსის წინააღმდეგ გამოეყენებინა. საფრანგეთს ეს ფული არ მიუღია, ხოლო ლეგიონერებს, როგორც მონებს, სხვადასხვა მმართველს გადასცემდნენ. მათ არავინ ეკითხებოდა, სურდათ თუ არა ესპანეთში სამსახური, თუმცა ვინ ეკითხებოდა გლადიატორებს, უნდოდათ თუ არა არენაზე გამოსვლა.

იბერიის ნახევარკუნძულზე ლეგიონი დონ კარლოსის პარტიზანულ რაზმებს ანადგურებდა. მოწინააღმდეგე გაცილებით ძლიერი







ვერ აიტანა ეს „ბესპრედელი“. მე კი ყველაფერ ამას რომ ავერიდებინე, კადეტთა კორპუსში მიკრეს თავი (უფრო სწორად, თვითონ წავედი). აბა, იქ იყო თუ იყო ბესპრედელი: ღამე გაპარვა, სმა, თემქელებთან ჩხუბები, რაზბორკები; ერთხელ მე და ჩემი ხუთი მეგობარი ოცდახუთ თემქელს ვეჩხუბეთ (მძიმედ დაგვჭრეს მაშინ); ამას მოჰყვა „ძალლობა“, დაკითხვა, საავადმყოფო, შიში, ფულის მოთხოვნა, დედის ტირილი... საბოლოოდ კადეტთა კორპუსიდანაც გამომაგდეს. როგორც იქნა, ღამის სკოლა დავამთავრე და მამასთან გავემგზავრე.

იქ ყველაფერი სხვანაირი იყო. არავინ გესროდა, გაგინებდა, არავინ უნდა შეგეშინებინა და არც არავის გეშინოდა. ვერაფრით შევეჩვიე ამ სიმშვიდეს. ცოტა ხანს რაგბისაც ვთამაშობდი ადგილობრივ გუნდში, ცოტა ხანს კრივზეც ვიარე, ინსტიტუტშიც კი ვსწავლობდი თითქმის ერთი წელი, მაგრამ ვერ ვისვენებდი. ხან აუზის დირექტორს დავუპირე დახრჩობა და ხანაც ჩემივე თანაგუნდელებს ვეჩხუბებოდი.

ერთხელ ჩვენს ტელევიზიაში ვნახე დოკუმენტური ფილმი საფრანგეთის სამხედრო ფორმირებაზე, რომელსაც „ლეგიონ ეტრანგერე“ ერქვა; თურმე ლეგიონში უცხოელები მსახურობდნენ. მას შემდეგ ლეგიონი ჩემი იდე ფიქსი გახდა. სწავლას თავი დავანებე, მშობლებს განვუცხადე, რასაც ვაპირებდი და გამგზავრებისთვის მზადება დავიწყე. რა თქმა უნდა, მშობლები გადაირივნენ, მაგრამ ბოლოს შეეგუვნენ. ისე დაემთხვა, რომ ჩემი რაგბის გუნდი სათამაშოდ საფრანგეთში მიდიოდა, ჰოდა, მეც გავყევი. რამდენიმე თამაში ვითამაშე, მწვრთნელს მადლობა ვუთხარი და გზას გავუდექი. ამ გზამ სტრასბურგში ლეგიონის მიმღებ პუნქტის კართან მიმიყვანა. გვერდით ჩემი მომავალი მეგობარი (მაშინ ჯერ კიდევ არ ვიცოდი, რომ მეგობრები გავხდებოდით) სანია ვოლკოვი მედგა. მასთან ერთად მთელი საფრანგეთი ავტობუსით გავიარე. გვერდიგვერდ ვისხედით და არც ერთმა არ ვიცოდით, რომ მიზანი ერთი გვქონდა LEGION ETRANGERE-ი (სანიას მოგვიანებით ყუმბარა აუფეთქდა და ხელის მტევანი და თვალი დაკარგა).

მორცხვად დავაკაკუნე დიდ ხის კარზე. რა ვიცოდი, თუ ეს წამი ჩემს ცხოვრებას ძირფესვიანად შეცვლიდა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღმოჩნდა. კარლისტები ფანატიკური თავდადებით იბრძოდნენ. ბრძოლებში ლეგიონმა დიდი დანაკარგი განიცადა, რამაც მეორედ დააყენა მისი ყოფნა-არყოფნის საკითხი. გადარჩენილ 300 ლეგიონერს დედოფალმა კრისტინამ საფრანგეთში დაბრუნების უფლება მისცა. ხელახლა დაკომპლექტების შემდეგ ლეგიონი ისევ აფრიკაში გადაისროლეს, სადაც კონსტანტინის ციხესიმაგრის აღებაში მიიღეს მონაწილეობა. საბოლოოდ ბრძოლები 1843 წელს საფრანგეთის სრული გამარჯვებით დამთავრდა.

სიდი-ბელ-აბესში, ერთ-ერთ აღებულ ფორტში, ლეგიონმა მთავარი ბაზა მოაწყო. ლეგიონერებმა გაიაზრეს გასული ომის შეცდომები და მიხვდნენ, რომ მოწინააღმდეგე მათ მობილურობით ჯობნიდა. ამიტომ დაიწყეს ინტენსიური ვარჯიში, მარშირებისას თან მხოლოდ მსუბუქი იარაღი მიჰქონდათ. სწორედ საჰარის ფორტებში წარმოიშვა სახელგანთქმული ფრაზა: „იარე ან მოკვდი“. მართლაც, თუ სიარული აღარ შეგეძლო, უდაბნოში ან წყურვილით მოკვდებოდი, ან პირველივე შემხვედრივე არაბი გამოგჭრიდა ყელს. საჰარაში შემოიღეს სახელგანთქმული თეთრი კეპი, რომელიც მზისგან იცავდა მებრძოლებს.

ალჟირის გარდა პირველი საბრძოლო ოპერაცია იყო ყირიმის ომი (1853-56 წწ. ლეგიონის ორმა პოლკმა სევასტოპოლის აღებაში მიიღო მონაწილეობა. შემდეგ იყო ომი იტალიაში (1859წ.), რომელშიც საფრანგეთი სარდინიის სამეფოს დაუდგა მხარში ავსტრიასთან კონფლიქტში. ლეგიონმა მაგენტასთან და სოლფერინოსთან გადამწყვეტ ბრძოლებშიც მიიღო მონაწილეობა.

1861 წელს დაიწყო ესპანეთის, საფრანგეთისა და ინგლისის ინტერვენცია მექსიკაში, სადაც რესპუბლიკური მთავრობა ამ ქვეყნების ინტერესებს ემუქრებოდა. ლეგიონერები იცავდნენ ამუნიციისა და პროვიანტის ბადრაგებს.



ერთხელ ერთ-ერთი ბადრაგი ტაიერიას ბანაკიდან პუებლას გარნიზონისაკენ მიემართებოდა. ბადრაგს იცავდა მეორე პოლკი, პირველი ბატალიონის მესამე კომპანია, რომლის უფროსი იყო კაპიტანი დ'ანჟუ. მან ყირიმის ომის დროს ხელი დაკარგა და ხის პროთეზს ატარებდა. რესპუბლიკელები ბადრაგს კამერონის ჰასიენდში დაესხნენ თავს. მტერი რიცხობრივად ბევრად აღემატებოდა ლეგიონერებს, რომლებიც მედგრად იგერიებდნენ მტრის შემოტევებს. მათ კაპიტულაციაზე უარი თქვეს, ცოცხლად დარჩენილმა ბოლო სამმა ჯარისკაცმა თოფებს ხიშტები ჩამოაცვა და ისე შეუტია მტერს. ბრძოლა 1863 წლის 30 აპრილს გაიმართა. ეს თარიღი დღესაც ითვლება უცხოური ლეგიონის ყველაზე დიდ დღესასწაულად, კაპიტან დ'ანჟუს ხელის პროთეზი კი ლეგიონერების უძვირფასესი რელიკვიაა. ლეგიონი მექსიკაში 1867 წლამდე იბრძოდა, წაგებული ომის შემდეგ კი ისევ ალჟირში დაბრუნდა.

1870 წლის საფრანგეთ-პრუსიის ომის პირველ ფაზაში ლეგიონი არ მონაწილეობდა. მიზეზი ორი იყო, — პირველი: მეფის დეკრეტი, რომელიც უკრძალავდა მას საფრანგეთის კონტინენტურ ტერიტორიაზე საბრძოლო ოპერაციებში მონაწილეობას; და მეორე, — ლეგიონის პირადი შემადგენლობის ნახევარზე მეტს გერმანელები შეადგენდნენ. საფრანგეთის მთავრობას მათი ლოიალურობის იმედი არ ჰქონდა. ფრანგები ომს აგებდნენ და კატასტროფულად სჭირდებოდათ ყველა ჯარისკაცი. სწორედ ამისთვის შეიქმნა ლეგიონის მე-5 ბატალიონი, რომელშიც მხოლოდ პოლონელები და იტალიელები მსახურობდნენ. მთელი ბატალიონი ორლეანთან ბრძოლის დროს განადგურდა. ნაპოლეონ მე-3 პრუსიელთა ტყვეობაში მოხვდა, პარიზში კი რესპუბლიკა გამოცხადდა. ალყაშემორტყმულ პარიზში აჯანყება დაიწყო. მიზეზი პრუსიასთან საშვიდობო ტრაქტატის ხელმოწერა იყო, რომელიც კაპიტულაციას ნიშნავდა. აჯანყების ჩასახშობად მთავრობამ ლეგიონერები გამოიყენა. დაქირავებული ჯარისკაცები სისასტიკით გამოირჩეოდნენ. ისინი ადგილზე ხვრეტდნენ დაჭერილ „კომუნარდებს“, ხოლო რებელიანტების მიერ გამაგრებული ბელვილის სასაფლაო სისხლში ჩაახშეს. აჯანყების ჩახშობის შემდეგ ლეგიონი აფრიკაში დაბრუნდა.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში საფრანგეთმა თავისი გავლენის ქვეშ ინდოჩინეთიც მოაქცია. ვიეტნამში ძლიერი წინააღმდეგობა შეხვდა ჩინელებისაგან შემდგარ სამხედრო დაჯგუფებებს, ე. წ. „შავ დროშებს“. ფრანგულ ექსპედიციურ კორპუსში, როგორც ყოველთვის, ლეგიონის ბატალიონიც შედიოდა. მათი ბაზა ჰანოიში მდებარეობდა. ლეგიონის ისტორიაში შევიდა ბრძოლები სონ ტაის და ბაკ-ნინჰ-ის ციხესიმაგრეების აღებისათვის (1883). ასევე განუწყვეტლივ მიმდინარეობდა პარტიზანული ომი. მალე ბრძოლებში ჩინეთის იმპერიული არმიაც ჩაება. ლეგენდადაა ქცეული ფრანგული ფორტის ტუიენ-კუანგის დაცვა, სადაც 400 ლეგიონერი ორი თვის განმავლობაში იგერიებდა მრავალათასიანი ჩინური არმიის შეტევებს. ფორტი შენარჩუნებულ იქნა.

საფრანგეთის კოლონიური იმპერია იზრდებოდა, მისი შემდეგი ნადავლი აფრიკული დაჰომეის რესპუბლიკა აღმოჩნდა (1892 წ.). დაჰომეას მეფემ დახმარება გერმანიას სთხოვა. გერმანელი ინსტრუქტორების გაწვრთნილი და შეიარაღებული მეომრები მედგარ წინააღმდეგობას უწევდნენ ლეგიონერებს. ბრძოლები დედაქალაქ აბომეის აღებით დასრულდა. დაჰომეა საფრანგეთის კოლონიათა რიცხვში შევიდა.

იგივე სიტუაცია იყო მადაგასკარზე (1895 წ.), სადაც მალგაშებმა საფრანგეთის პროტექტორატზე უარი თქვეს და პარტიზანულ ბრძოლებზე გადავიდნენ. ლეგიონერებმა თავი მაევატანის ციხესიმაგრის აღების დროს ისახელეს. მალარიითა და ტროპიკული კლიმატით დასუსტებულმა არმიამ გაჭირვებით შეძლო დედაქალაქ ტანანარივოს აღება. ომი 1905 წელს დამთავრდა.

პირველი მსოფლიო ომის წლებში ლეგიონს კვლავ მოუწია საფრანგეთის ტერიტორიაზე ბრძოლა. მისმა რიცხობრივად გაზრდამ მესამე პოლკის ჩამოყალიბება განაპირობა. ახალი პოლკის უფროსად პოლკოვნიკი პოლ ფრედერიკ როლე დაინიშნა, რომელმაც უდიდესი როლი ითამაშა ლეგიონის ისტორიაში. მას დღესაც „ლეგიონის მამას“ უწოდებენ. ევროპაში ომის დაწყებამდე იგი იბრძოდა არაბებისა და ბერბერების წინააღმდეგ მაროკოში, სადაც დიდი სიმამაცე გამოიჩინა.

1915 წლის თებერვალში, ლეგიონის ორი თითქმის განადგურებული პოლკიდან, შეიქმნა ერთი პოლკი. სწორედ ამ პოლკის უფროსად დაინიშნა პოლკოვნიკი როლე. ნაწილის დროშას მთელ ფრანგულ არმიაში ყველაზე მეტი მედალი აქვს მიღებული.

1916 წელს ლეგიონერები მონაწილეობდნენ ალიანტების შეტევაში სომზე, სადაც პოლკი თითქმის განადგურდა. ის ალჟირიდან ჩამოყვანილი ორი ბატალიონის ხარჯზე შეავსეს.

ლეგიონი 1917 წელს მონაწილეობდა ვერდენთან ბრძოლებში. ომის ბოლოს გადარჩენილ ლეგიონერებს შორის აღარ იყო არც ერთი, ვინც მასში შექმნის დღიდანვე მსახურობდა. 1914-18 წლებში დაიღუპა 3987 ლეგიონერი და 139 ოფიცერი, ომის დაწყებამდე ლეგიონის შემადგენლობა 4000 კაცს არ აღემატებოდა.

პოლ როლემ, რომელსაც ომის დროს





გენერლის წოდება მიანიჭეს, ლეგიონის მოდერნიზაცია დაავალეს; მე-20 საუკუნეს ახალი მოთხოვნები ჰქონდა. ახლა ლეგიონი შედგებოდა ქვეითთა ოთხი პოლკისაგან: ერთი ალჟირში, სამი — მაროკოში და ერთი კავალერიის პოლკიც ალჟირში იყო. ბატალიონები იყვნენ ტონკინში, კამბოჯასა და ლიბანში.

სამართლიანი გენერალი რეფორმებს ენერგიულად ატარებდა, რითაც ჯარისკაცების დიდი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. დღესაც ლეგიონის დღევანდელი უფროსის სურათის გვერდით გენერალ როლეს სურათიც კიდია.

ლეგიონის ისტორიის ახალი ფურცელი მაროკოთი იწყება. აქ ბრძოლები 1907 წელს დაიწყო, ხოლო მისი ყველაზე სისხლიანი ხანა 1920-1935 წლებია, რომლის დროსაც 1821 ლეგიონერი დაიღუპა.

მე-20 საუკუნის დასაწყისში ფრანგები სამხრეთისაკენ კოლონიურ ექსპანსიას განაგრძობდნენ. შემდეგი ეტაპი იყო მაროკო, სადაც ბედუინებთან ბრძოლებში უდაბნოს უზარმაზარ ტერიტორიას იკავებდნენ. აგრეთვე, გადმოსხეს დესანტი კასაბლანკაში და აიღეს ფეზი. ასე შევიდა მაროკო საფრანგეთის პროტექტორატის ქვეშ და ლეგიონი იყო ყველა ამ ოპერაციის მილიტარული ბურჯი.

დადგა 1920 წელი, რომელსაც არ-რიფუეს მთებში ბერბერების აჯანყება მოჰყვა. აჯანყებულები აბდ-ალ-ქარიმის მეთაურობით ერთიმეორის მიყოლებით ანადგურებდნენ ესპანურ ნაწილებს, რომლებიც ჩრდილო მაროკოს აკონტროლებდნენ. მალე ომში საფრანგეთიც ჩაება. ბერბერების მამაცმა წინამძღვარმა ევროპელებს ჯიჰადი გამოუცხადა. არაბები ლეგიონის ფორტებს არნახული სისასტიკით ესხმოდნენ თავს. ესპანეთმა ომში რეგულარული არმია გამოიყენა, ტანკებითა და ავიაციით. ბრძოლებში თავი ისახელა ფრანცისკო ფრანკომ, ქვეყნის მომავალმა დიქტატორმა. აბდ-ალ-ქარიმის აჯანყება 1926 წელს ლეგიონერებმა სისხლში ჩაახშეს. პარტიზანული ომი ატლასის მთებში 1935 წლამდე გრძელდებოდა.

ამავე დროს სირიაში, რომელიც საფრანგეთს თურქეთის დამარცხების შემდეგ ერგო, დრუზების აჯანყება დაიწყო. მის ჩახშობაში ლეგიონის ორი ბატალიონი და კავალერიის ერთი ესკადრონი მონაწილეობდა. კავალერიის პირველ ესკადრონში კომუნისტურ რეჟიმს გამოქცეული ბევრი ქართველი მსახურობდა. მათ შორის ყველაზე სახელოვანი კაპიტანი ვაჩნაძე იყო (საფრანგეთის უცხოურ ლეგიონში ქართველების სამსახურის შესახებ ინფორმაციას ცალკე სტატიის სახით მოგაწვდით). კავალერისტებმა თავი დიდი სიმამაცით გამოიჩინეს.

მეორე მსოფლიო ომის დაწყებას ლეგიონი მაროკოსა და სირიის ფორტებში შეხვდა. სანამ ბრძოლების ინტენსიურობა გაიზრდებოდა, შეიქმნა შემდეგში სახელგანთქმული ლეგიონის მე-13 ნახევარბრიგადა, რომლის მეთაურად ქართველი პოლკოვნიკი ამილახვარი დაინიშნა. ბრიგადამ საბრძოლო ნათლობა ნორვეგიაში, ნარვიკისთვის გამართულ ბრძოლებში მიიღო 1940 წელს. მე-13 ნახევარბრიგადის გარდა, საფრანგეთის ტერიტორიაზე ბრძოლებში მონაწილეობდნენ ახალშექმნილი მე-11, მე-12, 21-ე პოლკები და ლეგიონის ვეტერანებისაგან შემდგარი სადაზვერვო ნაწილი. საფრანგეთის დამარცხების შემდეგ, გადარჩენილი ლეგიონერები სამხრეთისკენ მიიკვლევდნენ გზას, საიდანაც ალჟირში გადასვლა მოახერხეს. მე-13 ნახევარბრიგადამ, როგორც ერთადერთმა უცხოურმა ნაწილმა, მოახერხა ინგლისამდე ჩასვლა, სადაც თავისუფალი საფრანგეთის კომიტეტს და შარლ დე გოლს დაექვემდებარა.

ლეგიონის ნახევარზე მეტი პროფაშისტ მარშალ ფილიპ პეტენს მიემხრო. მე-13 ნახევარბრიგადა დასავლეთ აფრიკაში გადაისროლეს, სადაც სამოქალაქო ომი გაჩაღდა. ლეგიონი ანადგურებდა პეტენის მომხრე დაჯგუფებებს. შემდეგ იბრძოდა ინგლისელების მხარეს ეთიოპიაში, ერიტრეაში იტალიელების წინააღმდეგ, შემდეგ გადაინაცვლა პალესტინაში, სადაც შეუდგა სირიის გათავისუფლებას პეტენის მომხრეებისაგან.

სირიაში ბრძოლების დროს ერთხელ და სამუდამოდ დამკვიდრდა ლეგიონის სტატუსი: უცხოელი დაქირავებული ჯარისკაცი დახოცავს ყველას, ვისაც უბრძანებენ, მეგობრებსაც კი, როგორც ეს მოხდა მე-13 ნახევარბრიგადასა და ლეგიონის მე-6 პოლკს შორის გამართული ბრძოლის დროს. გამარჯვების შემდეგ, მე-13 ნახევარბრიგადამ მე-6 პოლკის გადარჩენილი ლეგიონერები შეიერთა და კაიროში გაემგზავრა, სადაც აღმოსავლეთ ლიბიაში გერმანელების შეტევა უნდა შეეჩერებინა. აქ, 1942 წლის ივნისში, ლეგიონმა თავის ისტორიაში კიდევ ერთი ლეგენდა შექმნა.

ბირ-ჰაკეიმი იყო პატარა ფორტი უდაბნოში, სადაც ლეგიონერები იგერიებდნენ იტალიელებისა და გერმანელების (აფრიკის კორპუსის) შეტევებს. მტერი ჰაერიდან და მიწიდან უტევდა ალყაშემორტყმულ ლეგიონერებს. პოლკოვნიკი ამილახვარი პირადი სიმამაცით აძლევდა მაგალითს მებრძოლებს, მაგრამ საშველი არსაიდან ჩანდა და პოლკოვნიკმა გადაწყვიტა, გაერღვიათ ალყა და ალიანტებს შეერთებოდნენ. ღამით, უდაბნოს ქარიშხლის დროს, ბრძოლებით გავიდნენ სამშვიდობოს (შემდგომში ნახევარბრიგადა მონაწილეობდა ინგლისელების

ეროვნული ბიბლიოთეკა



კონტრშეტევაში და იყო მოწმე აფრიკის კორპუსის განადგურებისა). სამწუხაროდ, ამას ვერ მოესწრო პოლკოვნიკი ამილახვარი, რომელიც ელ-ალამეინის ბრძოლის დროს გმირულად დაეცა. ამავე დროს ამერიკელებმა და ინგლისელებმა ალჟირსა და მაროკოში დესანტი გადმოსხეს, სადაც პეტენის მომხრე ჯარები განაიარაღეს. მათ შორის ლეგიონის ბრიგადა.

ტუნისის შეტევაში ლეგიონის ყველა პოლკმა მიიღო მონაწილეობა, რამაც აფრიკაში ფაშისტური რეჟიმების საბოლოოდ დამარცხება განაპირობა.

1944 წელს ლეგიონმა კონტრვერსიულ მეთოდს მიმართა, რამაც ალიანტების კრიტიკა გამოიწვია. იგი თავის რიგებში იღებდა ტყვედ ჩავარდნილ გერმანელ და იტალიელ ჯარისკაცებს და მათ სრულფასოვანი ლეგიონერის სტატუსს ანიჭებდა. ამრიგად დამარცხებული არმიის ჯარისკაცები გამარჯვებულები შეიქმნენ.

1944 წელს ლეგიონმა მონაწილეობა მიიღო იტალიის გათავისუფლებაში, სამხრეთ საფრანგეთში დესანტირებაში. 1945 წლის ბოლოს კი ალიანტების ჯარებთან ერთად შევიდა გერმანიის ტერიტორიაზე.

ომის დამთავრებას ლეგიონის ნაციონალური შემადგენლობის შეცვლა მოჰყვა. მის დიდ ნაწილს შეადგენდნენ გერმანელები, ვერმახტისა და SS-ის ჯარისკაცები, აგრეთვე იმ ქვეყნების წარმომადგენლები, რომლებიც ომში გერმანიას უჭერდნენ მხარს, ბევრი რუსი თუ უკრაინელი, მათ შორის ერთიორი ქართველიც იყო (შალვა მაღლაკელიძის ნაწილებიდან).

ომის შემდეგ ლეგიონი მონაწილეობდა ანტიპარტიზანულ ოპერაციაში მადაგასკარზე, მაგრამ ყველაზე სისხლიანი გამოცდა, ვიდრე პირველ და მეორე მსოფლიო ომებში გაიარა, მას წინ ელოდა, — ინდოჩინეთი!

ომის პერიოდში, ვიეტნამს პეტენის მთავრობა განაგებდა, რომელიც თანამშრომლობდა იაპონელებთან. აქვე იმყოფებოდა ლეგიონის მე-5 პოლკი. 1945 წლის მარტში იაპონელები და ვიეტნამელი მოხალისეები შეტევაზე გადავიდნენ. ლეგიონი თავის ფორტებში ჩაიკეტა და წინააღმდეგობას უწევდა თავდამსხმელებს, მაგრამ ისინი განწირულები იყვნენ. ტყვედ ჩავარდნილებს ვიეტნამელები სიკვდილის წინ სასტიკად აწამებდნენ. გადარჩენილები სამხრეთ ჩინეთში გადავიდნენ. ამ პოლიტიკური ვაკუუმით ვიეტნამმა ისარგებლა და იაპონიის დამარცხების შემდეგ დამოუკიდებლობა გამოაცხადა. მოლაპარაკებებმა ორივე მხარე ჩიხში შეიყვანა და საფრანგეთმა თავისი ექსპედიციური კორპუსი გაგზავნა. 1946 წლის დეკემბერში ინდოჩინეთში ომი დაიწყო. ექსპედიციურ კორპუსში ლეგიონის რამდენიმე ნაწილი შედიოდა, რომელთა შორის იყო ლეგენდარული მე-13 ნახევარბრიგადა. 1947 წელს ფრანგებმა ჰანოი აიღეს, მაგრამ იმავე დროს დაიწყო სისხლისმღვრელი პარტიზანული ომი. ვიეტნამს, კამბოჯასა და ლაოსს საფრანგეთმა შეზღუდული სუვერენიტეტი მიანიჭა, რამაც ამ ქვეყნების არმიების კომუნისტებთან ბრძოლაში ჩაბმა გამოიწვია. 1950 წელს ლეგიონის ნაწილები სისხლისგან იცლებოდნენ ეგრეთ წოდებული კოლონიური გზისთვის ბრძოლებში. ფრანგები დიდი დანაკარგის ფასად ინარჩუნებდნენ ჰოლგჰას (წითელი მდინარე) დელტასა და ჰანოის. ვიეტნამელები შეტევაზე გადავიდნენ და ჩრდილოეთი ლაოსი აიღეს, მაგრამ მათ გზაზე იდგა ლეგიონის სიმამაცისა და თავგანწირვის სიმბოლო, აგრეთვე ბევრი მათგანის სასაფლაო — ფორტი დენ-პიენ-ჰჰუ. ძნელია ამ გამაგრებულ ადგილს ფორტი დაარქვა. ფრანგებმა დენ-პიენ-ჰჰუს ხეობაში საჰაერო დესანტი გადასხეს, რომლებმაც გაწმინდეს იქაურობა კომუნისტებისაგან და მოამზადეს ადგილი მომავალი ფორტისთვის. სიმაგრე მავთულხლართებითა და მინებით გარშემორტყმულ მიწურების ქსელს წარმოადგენდა, იყო პატარა აეროდრომიც. აქ თავი მოეყარა ვიეტნამში მყოფი ლეგიონის ყველა ნაწილს. ესენი იყვნენ: მე-13 ნახევარბრიგადა, მე-2 პოლკი და ლეგიონის პარაშუტისტების ბატალიონი.

1954 წლის 13 მარტს ვიეტ-მინჰი შეტევაზე გადავიდა და ახლომახლო მდებარე სიმაღლეებიდან არტილერიის ცეცხლში გაახვია ფორტი. ბლინდაჟები ერთიმეორის მიყოლებით ეცემოდნენ. აეროდრომი განადგურებული იყო და ლეგიონერები პარაშუტებით პირდაპირ ბრძოლის ველზე ხტებოდნენ. მათ თავგანწირვასა და სიმამაცეს საზღვარი არ ჰქონდა, — ხელჩართულ ბრძოლაში იგერიებდნენ სანგრებში შევარდნილ ვიეტნამელებს. სამი კვირის შემდეგ დენ-პიენ-ჰჰუ დაეცა. გადარჩენილი ლეგიონერები ვიეტ-მინჰის ტყვეობაში მოხვდნენ, საიდანაც უმეტესობა არასოდეს დაბრუნებულა.

იმავე წლის ივლისს ჟენევაში ხელი მოეწერა ცეცხლის შეწყვეტას, რომელმაც ვიეტნამი ორ ნაწილად გაყო.

ლეგიონმა ამ ომში უდიდესი ფასი გადაიხადა, — ინდოჩინეთის ბრინჯის მინდვრებსა და ჯუნგლებში 10483 ლეგიონერი დარჩა სამუდამოდ. ბოლო ლეგიონერებმა ინდოჩინეთი 1956 წელს დატოვეს.



ეროვნული ბიბლიოთეკა






ერთი ომი მთავრდებოდა და მეორე იწყებოდა. 1954 წლის 1-ელ ნოემბერს ალჟირში ახალჩამოყალიბებულმა სახალხო-განმათავისუფლებელმა არმიამ (FLN) ტერორისტული აქტების სერია ჩაატარა. საფრანგეთმა კოლონიაში პარაშუტისტების გაგზავნით უპასუხა. პარტიზანები დიდ სისასტიკეს იჩენდნენ, ძირითადად, არაბების წინააღმდეგ, რომლებიც პროფრანგულად იყვნენ განწყობილნი. ჯარმა არანაკლები სისასტიკით უპასუხა. 1956 წელს ალჟირში 160000 ფრანგი ჯარისკაცი იყო. მალე ამ რიცხვმა 400000 მიაღწია. ჩამოიყვანეს ლეგიონერები მაროკოდან, სირიიდან და, უპირველეს ყოვლისა, ინდოჩინეთიდან. მათი რიცხვი 40000-ს შეადგენდა.

1956 წელს საფრანგეთმა ლეგიონის პარაშუტისტთა პოლკი ეგვიპტეში სუეცის არხის გასათავისუფლებლად გადაისროლა. მაგრამ საბჭოთა კავშირისა და ამერიკის მხრიდან წნეხი იმდენად დიდი იყო, რომ ალიანტები იძულებული გახდნენ, გამოეყვანათ თავიანთი დანაყოფები. ლეგიონერების პარაშუტისტთა პოლკს გენერალი ჟაკ მასუ ხელმძღვანელობდა.

პირველი და მეორე პარაშუტისტთა პოლკის ლეგიონერები ყველაზე ელიტურ ჯარისკაცებად ითვლებოდნენ ფრანგულ არმიაში, ამასთან, დიდი სისასტიკითაც გამოირჩეოდნენ. ისინი სოფელს სოფელზე წვავდნენ; ხვრეტდნენ და აწამებდნენ ტყვეებს; არც მშვიდობიან მოსახლეობას ინდობდნენ.

როდესაც გენერალმა დე გოლმა სამშვიდობო მოლაპარაკებები დაიწყო და FLN-ს ჯარის გაყვანას დაჰპირდა, ექსპედიციური კორპუსის გენერალიტეტმა დაუმორჩილებლობა გამოაცხადა. აჯანყებას სათავეში ჩაუდგნენ გენერლები: სალანი, მასუ, მორის შალი, ჟუანდი და გენერალი ანდრე ზელერი. მათ ალჟირში მყოფი თითქმის ყველა ნაწილი შეუერთდა. მთავარ დამრტყმელ ძალას პარაშუტისტი ლეგიონერების პირველი პოლკი წარმოადგენდა, რომლის უფროსი მაიორი დენოა დე სანტმარსა იყო. 22 აპრილს მათ ალგერი დაიკავეს. დააპატიმრეს ფრანგული არმიის მთავარსარდალი ალჟირში გენერალი გამბიეზა. ოპერაციის შემდეგი ეტაპი პარიზში საჰაერო დესანტის გადასხმა იყო, მაგრამ დე გოლმა დაასწრო და თავისი მომხრე ნაწილები ქუჩაში გამოიყვანა. ამასთან, რადიოთი მიმართა ალჟირში მყოფ ჯარისკაცებს და დაუმორჩილებლობისკენ მოუწოდა. აჯანყებულების უმეტესობა და აქამდე ნეიტრალური ნაწილები დე გოლის მხარეზე გადადიოდნენ, მხოლოდ ლეგიონერებმა არაფრად ჩააგდეს დე გოლის თხოვნა. ისინი აჯანყებულების მხარეზე იყვნენ; ლეგიონის კავალერიის პირველი პოლკი (1REC), ქვეითთა მეხუთე პოლკი, პარაშუტისტთა მეორე პოლკი (2REP), ქვეითთა მეოთხე პოლკი და, რა თქმა უნდა, პარაშუტისტთა პირველი პოლკი (1REP), რომელიც მთავარ ძალას წარმოადგენდა. მთავრობის მხარეს მხოლოდ ლეგიონის საწვრთნელი ბაზა დარჩა, რომელიც სიდი-ბელ-აბესში იყო. 27 აპრილს სამთავრობო ტანკებმა პარაშუტისტებს ალყა შემოარტყეს, ოფიცრებმა იარაღი დაყარეს, ხოლო 1REP-ი გააუქმეს. დღესაც ლეგიონში მისი ხსენება აკრძალულია. პირველი პოლკის მებრძოლების გმირობას აჯანყებამდე არავინ იხსენებს, – იგი ამოიშალა ლეგიონის ისტორიიდან.

1962 წელს ალჟირი დამოუკიდებელი გახდა. ლეგიონერებმა დატოვეს ქვეყანა. ეს არა მარტო ომის წაგებას ნიშნავდა, არამედ ლეგიონის ისტორიაში მთელი ეტაპი დასრულდა.

ლეგიონი ალჟირში დაარსდა, იქ იწვრთნებოდა, სიდი-ბელ-აბესი მისი ბაზა იყო. ალჟირის დატოვებით მთავრდება საფრანგეთის კოლონიური ისტორიაც. ომი დამთავრდა. 40000-იანი ლეგიონი საფრანგეთს აღარ სჭირდებოდა და მისი რიცხვი 8000-მდე შემცირდა. მათ როგორც პოსტკოლონიური ომების დამრტყმელ ძალად იყენებდნენ.

ალჟირის ომის შემდეგ ყველაზე დიდი ოპერაცია იყო სამოქალაქო ომი ჩადში, სადაც ლეგიონის პარაშუტისტების მეორე პოლკი (2REP) და 1REC-ი სამთავრობო ჯარებს უჭერდნენ მხარს ლიბიელების მიერ შეიარაღებული აჯანყებულების წინააღმდეგ. ოპერაცია 1969 წლიდან 1988 წლამდე გაგრძელდა.

ყველაზე დრამატული ლეგიონის ბოლო საჰაერო-სადესანტო ოპერაცია, 1978 წელს ზაირში ქალაქ კოლვეზის გათავისუფლება იყო.

2REP-ის ლეგიონერები ეხმარებოდნენ პრეზიდენტ მობუტუ სესე სეკოს, რომელიც ცდილობდა კომუნისტების მიერ შეიარაღებული რებელიანტების შეჩერებას. აჯანყებულებმა კოლვეზი აიღეს, რომლიდანაც თეთრკანიანმა მოსახლეობამ გასვლა ვერ მოასწრო. რებელიანტები დაუნდობლად გაუსწორდნენ მოსახლეობას. ლეგიონერები თავიდან კინშასის აეროპორტში დასხდნენ და შემდეგ პარაშუტებით პირდაპირ კოლვეზში ჩახტნენ. მიწაზე ფეხის დადგმისთანავე ჩაებნენ ბრძოლებში. ქალაქი მალე გაათავისუფლეს და რებელიანტები ჯუნგლებში გარეკეს. ამ ოპერაციის დროს მხოლოდ ათი ლეგიონერი დაიღუპა.

1983-84 წლებში ლეგიონი ბეირუთში იმყოფებოდა, სადაც პოლიციურ ოპერაციებში მონაწილეობდა. სამუშაო ლეგიონს საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ გამოუჩნდა. 90-იანი წლების პირველი ოპერაცია „უდაბნოს ქარიშხალი“ იყო (ერაყი), რომელშიც 2500 ლეგიონერი მონაწილეობდა. ომის დამთავრების შემდეგ ლეგიონმა პირადად ნორმან შვარცკოფის მადლობა დაიმსახურა, მას ლეგიონის კაპრალის საპატიო წოდება მიენიჭა. 1991 წლიდან ლეგიონი მონაწილეობდა სამშვიდობო მისიაში ყოფილ იუგოსლავიის რესპუბლიკაში. სამშვიდობო ჯარებს შორის ლეგიონმა ყველაზე დიდი დანაკარგი განიცადა.

90-იან წლებში ლეგიონი იმყოფებოდა კამბოჯაში, სომალიში, რუანდასა და ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში, სადაც მშვიდობის შენარჩუნებას უწყობდა ხელს.

21-ე საუკუნეში ლეგიონმა იუგოსლავიის შემდეგ ყველაზე დიდ სამხედრო ოპერაციაში მიიღო მონაწილეობა. ეს იყო ოპერაცია- LICORN-ი სპილოს ძვლის სანაპიროზე (cote d ivoare), სადაც ლეგიონერებს ურთულესს პირობებში მოუწიათ მშვიდობის შენარჩუნება, – ზოგჯერ ჯანმრთელობისა და სიცოცხლის ფასად, ხანდახან ხელჩართულ ბრძოლაში ნარკოტიკებით გაბრუებულ მოწინაალმდეგესთან, მაგრამ ეს უკვე ცალკე ისტორიაა...

# ფხენიანი ატომურ ბომბებს ქართულ „სუ-25"-ებზე ჩამოჰკიდებს?!

## ჩრდილოეთ კორეა ვაშინგტონისთვის საშიშ ანგარიშგასაწევ ძალად იქცა

1994 წელს, პრეზიდენტ ბილ კლინტონის დავალებით, აშშ-ის შეიარაღებული ძალების შტაბების უფროსების გაერთიანებული კომიტეტის თავმჯდომარემ, ოთხვარსკვლავიანმა გენერალმა ჯონ-მალხაზ შალიკაშვილმა წინასწარ გათვალა ამერიკელთა ის შესაძლო დანაკარგები, რომელიც ჩრდილო კორეასთან ომის დაწყების შემთხვევაში შეიძლებოდა ჰქონოდათ.

გენერალ შალიკაშვილის გამოთვლით, ომის დაწყებიდან პირველ 90 დღეში ჩრდილო კორეაში გადასმულ ამერიკულ სამხედრო კონტინგენტს არანაკლებ 52 ათასი ოფიცერი და ჯარისკაცი დაეღუპებოდა და დაეჭრებოდა, ხოლო ჩრდილოკორეელთა დანაკარგი თითქმის ნახევარ მილიონ სამხედროს შეადგენდა. ომის ეს პერიოდი კი ამერიკელ გადასახადის გადამხდელებს არანაკლებ 61 მლრდ დოლარი დაუჯდებოდათ.

ასეთი, არცთუ სახარბიელო, პროგნოზის შემდეგ პრეზიდენტმა კლინტონმა თავი შეიკავა ჩრდილო კორეაში სამხედრო ქმედებების დაწყებისგან.

განვლილი 12 წელიწადი კი სავსებით საკმარისი გახდა ფხენიანისთვის, რომ შეექმნა ფუნქციონირებადი ატომური ასაფეთქებელი მოწყობილობა და ა.წ. 9 ოქტომბერს მიწისქვეშა შახტში გამოეცადა. ძნელი სათქმელია, რას წარმოადგენს ეს ატომური ასაფეთქებელი მოწყობილობა და შეიძლება თუ არა მისი მოწინააღმდეგის ტერიტორიამდე გადატანა თვითმფრინავითა თუ ბალისტიკური რაკეტით, მაგრამ მთავარი ის არის, რომ ჩრდილო კორეამ პროექტი მაინც მიიყვანა ლოგიკურ შედეგამდე, — ატომური აფეთქებისთვის საჭირო ჯაჭვური რეაქცია მოახდინა.

სხვადასხვა მონაცემით, 9 ოქტომბერს ფხენიანმა ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილში 400-800 ტონა ტროტილის სიმძლავრის ატომური მოწყობილობა ააფეთქა; ეს ბევრად ნაკლებია ხიროსიმაში 61 წლის წინ ჩამოგდებული პირველი ამერიკული ბომბის სიმძლავრეზე (20 ათასი ტონა ტროტილის ეკვივალენტი), თუმცა ჩრდილო კორეას შეუძლია დროთა განმავლობაში გაზარდოს ატომური იარაღის სიმძლავრე და, ამასთან, შეამციროს მისი ფიზიკური მასა და გაბარიტები. ეს აუცილებელია იმისთვის, რომ ატომური იარაღი ბალისტიკური რაკეტის ქობინში განთავსდეს ან საბრძოლო თვითმფრინავზე ჩამოიკიდოს.

შედარებით ადვილია თვითმფრინავზე ჩამოსაკიდი ბომბის ფორმის მიცემა ატომური მოწყობილობისთვის. ყველაზე თანამედროვე საბრძოლო თვითმფრინავები, რაც კი დღეს ჩრდილო კორეის შეიარაღებაშია, გინდ დაიჯერეთ, გინდ არა, ჩვენებური Су-25 ტიპის მოიერიშეებია!

1987-89 წლებში ფხენიანმა საბჭოთა კავშირში შეიძინა 32 მოიერიშე Су-25К და 4 სასწავლო-საბრძოლო Су-25УБК. ოთხი სასწავლო თვითმფრინავი ულან-უდედან მიაწოდეს კორეელებს, 32 საბრძოლო Су-25К კი ჩრდილო კორეაში თბილისის საავიაციო ქარხნიდან გაიგზავნა.

საქართველოდან ჩატანილი მოიერიშე თვითმფრინავები კორეელმა გენერლებმა ფხენიანთან 80 კმ-ში მდებარე სანჩხონის სამხედრო აეროდრომზე განათავსეს.



საინტერესოა, რუსეთი თბილისში გამოშვებულ კორეულ Су-25-ებსაც გამოაბამს კუდს ჩვენი „ბლოკადის" დასასაბუთებლად?..





**თავმჯდომარე კიმ ჩენ ირი და მთელი ჩრდილოკორეელი ერი... ბედნიერია!**

მოიერიშე თვითმფრინავების საავიაციო პოლკი სამი ესკადრილიისგან შედგება და ისინი მთის ქვეშ არსებულ სპეციალურ ანგარებში დგანან. აქ მათ ტაქტიკური ატომური ბომბის აფეთქების გაძლებაც კი შეუძლიათ.

Су-25-ის პილონებზე 500 კგ-იანი ბომბი თუ რაკეტა იკიდება. კორეელ ინჟინრებს შეუძლიათ რამდენიმე წელში პირველი კორეული ატომური ბომბის გაბარიტები და მასა ამ პარამეტრამდე მიიყვანონ. თბილისში აგებული მოიერიშე თვითმფრინავები იქნებიან ფხენიანის ატომური ბომბების მთავარი გადამტანი საშუალებები.

რა თქმა უნდა, Су-25 ჩრდილო კორეიდან ჩრდილო ამერიკის კონტინენტამდე ვერაფრით მიაღწევს, თუმცა ვერც იაპონია და, მით უმეტეს, ვერც სამხრეთ კორეა მშვიდად ველარ დაიძინებენ.

*ირაკლი ალადაშვილი*

## როგორ უნდა გააკეთო ატომური ბომბი

**I ეტაპი.** უნდა მოიპოვო და გაასუფთავო ურანის მადანი. ბუნებაში ურან-235-ის შემცველობა არ აღემატება 0,7 პროცენტს. ატომური ელექტროსადგურების რეაქტორებში გამოსაყენებლად საჭიროა ურანის მცირედ გამდიდრება, ისე, რომ ურან-235-იზოტოპის შემცველობამ 20 პროცენტს მაინც მიაღწიოს. ატომური ბომბის დასამზადებლად, ისე, რომ ჯაჭვური რეაქცია წარიმართოს, ურან-235-ის იზოტოპის შემცველობამ 90 პროცენტს უნდა გადააჭარბოს. ამისთვის კი საჭიროა ურანის მნიშვნელოვნად გამდიდრება.

**II ეტაპი.** ურანის გამდიდრება, ძირითადად, ორი გზით: აირცენტრიფუგებით ან ლაზერული გაწმენდით ხდება. პირველი ატომური ბომბების შექმნისას, ბუნებრივია, ლაზერული ტექნოლოგიები არ არსებობდა, ამიტომაც თითოეული ცენტრიფუგიდან მხოლოდ რამდენიმე გრამ მაღალ გამდიდრებულ ურანს თუ იღებდნენ, არადა კილოგრამობით ურანი არის საჭირო.

**III ეტაპი.** ატომური თუ ბირთვული ასაფეთქებელი მოწყობილობის შესაქმნელად უამრავი ექსპერიმენტის ჩატარებაა საჭირო, ოღონდ ატომური მუხტის გარეშე. ექსპერიმენტებით დაადგენენ, რამდენად ეფექტიანად იმუშავებს ასაფეთქებელი მოწყობილობა ჯაჭვური რეაქციის დასაწყებად ატომურ ბომბში.

ადრე ექსპერიმენტებს პოლიგონებზე ატარებდნენ, დღეს კი კომპიუტერული ტექნოლოგიებითაც შეიძლება სასურველი შედეგის მიღება.

**IV ეტაპი.** ატომური ასაფეთქებელი მოწყობილობის შექმნა და საბოლოო აწყობა. იგი შეიძლება ორი ტიპისა იყოს: პირველს განეკუთვნებოდა ნაგასაკიში ჩამოგდებული ატომური ბომბი. ფაქტობრივად, ის ცილინდრული ფორმის მოწყობილობას წარმოადგენს. ურანის ბირთვის გარშემო ჩვეულებრივი ასაფეთქებელი ნივთიერებებია განთავსებული. მთავარია, ტროტილის აფეთქება ერთდროულად მოხდეს, რათა ურანის იზოტოპი კრიტიკულ მასამდე მივიდეს და ჯაჭვური რეაქციაც დაიწყება. ასეთი ატომური ბომბისთვის საკმარისია 6-8 კგ მაღალგამდიდრებული ურანი. მეორე ტიპის ატომურ ბომბში (იგი ხიროსიმაში აფეთქდა) კი 40-45 კგ გამდიდრებული ურანი მაინც უნდა იყოს, რადგან ეს ბომბი ორი ნაწილისგან შედგება და ამოქმედებისას ერთიმეორეში გაიტყორცნება ჯაჭვური რეაქციის დასაწყებად.

**V ეტაპი.** თავად ატომური ბომბის გამოცდა. თავიდან ასეთ გამოცდებს ყველგან – მიწაზე, ჰაერში, წყალზე და წყალქვეშ – ატარებდნენ, რაც დიდ ზიანს აყენებდა დედამიწის ფლორასა და ფაუნას, ასევე ადამიანთა ჯანმრთელობას. 1962 წლიდან ატომური გამოცდები მხოლოდ მიწის ქვეშ ტარდება. დღემდე ამერიკელებმა 1300 ამგვარი გამოცდა ჩაატარეს, მოსკოვმა – 715, ბრიტანეთმა – 45, საფრანგეთმა – 21, ჩინეთმა – 45, ინდოეთმა – 6, პაკისტანმა – 5 და ჩრდილო კორეამ – 1.

# სამხედრო ლექსიკონი

**მოგეხსენებათ, ხშირია შემთხვევები, როდესაც ქართველი სამხედრო თუ სამოქალაქო პირები რუსულ სამხედრო ტერმინოლოგიას იყენებენ. ეს იმიტომ ხდება, რომ მათ ამ სიტყვების ქართული შესატყვისი არ იციან. ამ ხარვეზის გამოსასწორებლად „არსენალი“ აგრძელებს რუსული სამხედრო ტერმინების ქართული შესატყვისების გამოქვეყნებას.**

Килевой – გრძივი
Киль судна – გემის კილი
Кинжальный – ხანჯლისა, ხანჯლისებრი
Кирка-мотыга – თოხ-წერაქვი
Кислота – მჟავა
Кладовка – საკუჭნაო, საწყობი
Кладовщик – მეკუჭნავე, საწყობის გამგე
Клапан – სარქველი
Клапан предохранительный – მცველი სარქველი
Клеймо – დაღი, დამღა
Клеймение – დადაღვა, დაღის დასმა
Клещи – მარწუხი
Клин – სოლი
Клиновый – სოლური
Клинок – (მჭრელი) პირი
Кожно-нарывной – კანმაჩირქებელი
Кожух – გარსაცმი
Кожух орудия – ქვემეხის გარსაცმი
Кожух ствола – ლულის გარსაცმი
Колебание – რხევა, რყევა
Колесный – ბორბლ(ებ)იანი
Колодка – კალაპოტი, ხუნდი
Колонна – რაზმეული, კოლონა
Колпак – ხუფი, თალფაქი
Колпак броневой – ჯავშანხუფი
Колпачок взрывателя – ამფეთქის ხუფი
Кольцевой – რგოლისებრი, წრიული
Кольцо – რგოლი
Кольцо вытяжное – ამომწევი რგოლი
Кольцо ложевое – სალტე (თოფისა)
Колючий – საჩხვლეტი, ეკლიანი
Команда – რაზმი, გუნდი
Команда – კომანდა, (ზეპირი) ბრძანება
Командование – სარდლობა
Конвой – ბადრაგი
Конечный – საბოლოო
Конница – ცხენოსანი ჯარი
Контингент призывной – გასაწვევი კონტიგენტი
Контратака – კონტრშეტევა
Контрманевр – კონტრმანევრი, საპასუხო მანევრი







მიმინომ მტრედი მოინადირა...

# მიმინო მყავდა... მიყვარდა

22 ოქტომბერს თბილისის იპოდრომზე გახურებული ნადირობა მიდიოდა. საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული ბაზიერები თავიანთი დაგეშილი შევარდნების, ქორებისა და მიმინოების ოსტატობას უჩვენებდნენ მაყურებელს.

„თბილისობის“ დღესასწაულზე ეს სანახაობა დედაქალაქის მერიამ და მონადირეთა კავშირმა გამართა. როგორც ამბობენ, წარმოდგენა ამიერიდან ყოველწლიურად ჩატარდება. იმედია, მომდევნო ღონისძიებები უკეთესად ორგანიზებული იქნება და მართლა შეუწყობს ხელს ამ უძველესი სანადირო სახეობის პოპულარიზაციას. დასანანია, რომ დღეს მტაცებელი ფრინველებით დასავლეთ საქართველოს მხოლოდ რამდენიმე კუთხეში ნადირობენ. ცივილიზაციის პროდუქტმა, თოფმა, თითქმის განდევნა ქორ-შევარდნებით ნადირობა. არადა, ძველთაგანვე ამ საქმით მეფეები და დიდებულები ყოფილან გატაცებული. ალბათ, ამიტომაც უწოდებენ მტაცებელი ფრინველით ნადირობას რაინდულს.

იპოდრომზე გამართული სანახაობა ნამდვილად არ იყო რაინდული. ბაზიერი, მაყურებელი და პოლიცია ერთმანეთში არეულიყო. სანახაობის საცქერლად მოსახერხებელი ადგილის ძებნაში მობორიალე ხალხთან ვერაფერს ხდებოდნენ სამართალდამცველები, ამიტომ სანახაობა რამდენჯერმე კინალამ ჩაიშალა.

ქეთი შეყრილაძე: „შთამბეჭდავი სანახაობაა; ძალიან ლამაზები არიან მტაცებელი ფრინველები, როგორ დანავარდობენ ჰაერში. დასანანია, რომ აქ ასეთი არეულობაა, წარმოდგენას ხიბლი ეკარგება. უკეთესი იქნებოდა, ტრიბუნებზე მჯდარიყო ხალხი. ასე არც მაყურებელი დაიტანჯებოდა, არც პოლიცია ირბენდა თავქუდმოგლეჯილი და ფრინველი და ბაზიერიც უკეთ წარმოაჩენდნენ თავიანთ ოსტატობას“.

ბაზიერობა ზოგიერთი ქალისთვის მხოლოდ სანახაობა არ გახლავთ. სამეგრელოში ბევრი ქალბატონი მონაწილეობს ხოლმე ბაზიერების შეჯიბრებაში. მათ რომ ჰკითხოთ, ეს ნადირობის ყველაზე უწყინარი სახეობაა, მიმინო-შევარდნებით ნადირობისას ხომ ტყვია არ ვარდება. სანამ იარაღს გამოიღებ და ისვრი, მანამდე მიმინო თავის საქმეს გააკეთებს.

ბაზიერებს შორის შეჯიბრი რამდენიმე ეტაპად გაიმართა. დაგეშილი ფრინველები ნადირობდნენ მწყერზე, მტრედებზე, ხოხობსა და კურდღელზე. სიცხის და გადაღლილობის გამო, როგორც ჩანს, ზოგიერთ ფრინველს (მტაცებელს) ძალა გამოელია და თავიც ვერ გამოიჩინა.



მონადირეთა კავშირის წარმომადგენლის ოთარ ქურდიანის თქმით, არ შეიძლება მიმინოების, ქორებისა და შევარდნების სანადიროდ ერთდროულად გამოყვანა. ქორი და შევარდენი მიმინოზე ნადირობენ და შესაძლოა, შეჯიბრების დროს სამსხვერპლო ფრინველზე კი არა, სწორედ ბაზიერის დაგეშილ მიმინოებზე გაიწიონ.

შეჯიბრების დროს გაუთვალისწინებელი, მაგრამ საინტერესო შემთხვევის მომსწრე გავხდით. ჯერ იყო და, შეჯიბრების დაწყებისთანავე იპოდრომს ყვავების გუნდი მოადგა (ალბათ, იგრძნეს სისხლის სუნი) და თავს დააცხრა ცაში აჭრილ მიმინოს. როგორც ამ საქმის მცოდნეებმა ამიხსნეს, თურმე ყვავებს მიმინოსი ეშინიათ და ამიტომაც უტევენ ჯგუფურად.

მაყურებელი რამდენიმე საათის განმავლობაში ადევნებდა თვალს მტაცებელი ფრინველების ნადირობას. თითოეულის ოსტატობა იმით იზომებოდა, რამდენად სწრაფად და მოქნილად მოქმედებდა ბაზიერი. რამდენიმე ფრინველმა მართლაც შთამბეჭდავი ირაოები შეკრა, ზოგმა კი საერთოდ, საბურთალოს ქუჩისკენ გაფრენა და გაქალაქელება არჩია...

ამბობენ, რომ საქართველოში ბაზიერობა ჯერ კიდევ ძველი წელთაღრიცხვის მეხუთე










საუკუნეში იყო პოპულარული. მონადირეები ამის დამადასტურებლად მიიჩნევენ ტირძნისში არქეოლოგიური გათხრების დროს ნაპოვნ უნიკალურ ოქროს ბეჭედს, რომელზეც გამოსახულია ცხენი და შევარდენი. სანამ აჭარის, გურიისა და სამეგრელოს რაიონების წარმომადგენლებისა და თბილისელი ბაზიერების ერთი ნაწილი ერთმანეთს ეჯიბრებოდა, მეორე ნაწილი ისვენებდა, ცერზე მტაცებლებს აყელყელავებდნენ და მაყურებლის კითხვებს პასუხობდნენ. მეც მათ შორის გახლდით.

როგორც გავიგე, მიმინო და ქორი ცოტა ზარმაცები ყოფილან. გაეკიდებიან მსხვერპლს და თუ ვერ დაეწივნენ, ხეზე დასხდებიან და დაისვენებენ, შევარდენი კი დაუღალელია, მსხვერპლს შეუჩერებლივ მისდევს. ეს ულამაზესი ფრინველი თურმე დიდხანსაც ცოცხლობს (ერთს 150 წელიწადსაც უცოცხლია). შევარდნის ირაო შეუდარებელია. შეუძლია ერთდროულად ათამდე მტრედი მოინადიროს. მიუხედავად იმისა, რომ მტრედებით იკვებება, მის ბუდეს არ ერჩის; მეტიც, სხვა მტაცებლისგანაც იცავს. ძნელი ყოფილა შევარდნის ბუდიდან ბარტყის ამოყვანა. თუ დედამ მიუსწრო მპარავს, შავ დღეს დააყრის. წესი ყოფილა, ბუდიდან ბარტყებთან ერთად ლაყე კვერცხიც უნდა ამოიღო, თორემ შვილებწართმეული დედალი მას დააკვდება გამოსაჩეკად. თუ ლაყეს ამოაცლი, ახალ კვერცხს დადებს და ბარტყს გაჩეკს.

ქორი ხარბი ყოფილა. ერთხელ ხუთკილოგრამიანი თევზი დაუჭერია, ფეხი არ გაუშვია და მტკვარში დამხრჩვალა.

აფხაზეთიდან დევნილი გიორგი ისიავა: „მიმინოს ძალიან შეჩვევა იცის. დილით რომ ადგები, პირველად მასთან მიდიხარ. თითქოს მასაც უხარია პატრონის დანახვა. სანადიროდ რომ მივდივარ მიმინოსთან ერთად, თოფიც მიმაქვს, მაგრამ თოფით ათი მწყრის მოკვლას მიმინოთი ორის დაჭერა მირჩევნია. სულ სხვა ეშხი აქვს ბაზიერობას“.

აჭარელ გივი გათენაძეს ამ საქმეში 50-წლიანი გამოცდილება აქვს. როგორც ამბობს, თოფით ნადირობას ბაზიერობა სჯობია, რადგან მიმინო არც ერთ მსხვერპლს არ გაუშვებს; ერთ გასვლაზე 80 ცალი მწყრის დაჭერა შეუძლია.

აჭარლები მიმინოს ისე არჩევენ, როგორც ქალს; თუ მიმინო ლამაზი არ არის, მის მიმართ ინტერსს ვკარგავთო, — ამბობს აჰმედ შარაბიძე. ამიტომაც აჭარლები ერთი წლის მიმინოს ტყეში აბრუნებენ და ახალ ბარტყს წვრთნიან.

**P.S.** ბაზიერობაზე ჩვენი ჟურნალი უახლოეს მომავალში აუცილებლად შესთავაზებს მკითხველს საინტერესო სტატიას.

*ეკა ლომიძე*

# „ბედნიერია ის, ვისაც ჰყავს კარგი ცხენი, უკეთესი ძაღლი და საუკეთესო მიმინო“

„არსენალი“ აგრძელებს რუბრიკას მონადირეებისა და ნადირობის შესახებ და ვიმედოვნებთ, დროდადრო საინტერესო ინფორმაციასა და რეპორტაჟებს შემოგთავაზებთ უძველესი პროფესიის შესახებ, რომელსაც დიდი ხნის ისტორია აქვს საქართველოში. ამაზე მეტყველებს თუნდაც თრიალეთის მცირე ხრამის კლდის 140 საუკუნის წინანდელი მხატვრობის ერთი ფრაგმენტი, სადაც ნადირობის სცენებია ასახული.

ძველი ქართული საბრძოლო ხელოვნების მკვლევარებისა და ისტორიკოსების განმარტებით, ნადირობას საქართველოში არ ჰქონია მხოლოდ ყოფითი დანიშნულება. იგი ფიზიკური აღზრდის ერთ-ერთი უმთავრესი ნაწილიც ყოფილა.

ქართველი მეფეები ეკლესიისთვის მიწებთან ერთად გადაცემულ ყმა გლეხებს ყველანაირი ბეგარისგან ათავისუფლებდნენ ერთის გარდა: სანადიროდ მიმავალ მეფეს ყმები აუცილებლად თან უნდა ხლებოდნენ.

ვახტანგ მეექვსეს გარეჯის უდაბნოსთვის შეუწირავს სამი სოფელი, ოღონდ ერთი პირობით: გლეხები „ლაშქარსა და ნადირობას გვეახლებოდნენ. ლაშქრობა ქვეყნის სიმაგრე არის და ნადირობა ლაშქრობის მასწავლებელი.“ ქართველი ომიდან ომამდე ნადირობაში უნდა გაწვრთნილიყო და შეეთვისებინა საბრძოლო უნარ-ჩვევები: ჩასაფრება, თავის დავლა, გამოკიდება და სხვ. სამეფო ნადირობებში თანხლებით ერი საბრძოლო ფორმას ინარჩუნებდა. ამიტომაც ფეოდალურ საქართველოში ნადირობა ვასალური მოვალეობაც ყოფილა. ნადირობაზე გამსვლელები სადროშოებად იყოფოდნენ. მონადირეთა ლაშქარს ისე იძახებდნენ, როგორც ჯარს და მთელ რიგ საბრძოლო რიტუალებს იცავდნენ. ივანე ჯავახიშვილი წერს: „ისტორიულად საქართველოში ნადირობას მარტო კერძო გასართობის თვისება არ ჰქონდა, არამედ სამხედრო ვარჯიშის მაგიერი იყო და ბეგარასავით სამხედრო ვალდებულებას წარმოადგენდა.“

ახალგაზრდები ნადირობისას ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ არა უბრალოდ ნადირის



ეროვნული ბიბლიოთეკა

მოკვლაში, არამედ ისრის მარჯვედ სროლაშიც. ნადირის სხეულს ყოფდნენ სხვადასხვა სირთულის სამიზნედ, რომლებიც სხვადასხვა ქულით ფასდებოდა. ყველაზე მაღალქულიანი, ყველაზე ძნელად დასამიზნებელი ადგილი იყო. მაგალითად, ირმის ფეხი და ა.შ.

ნადირობა დიდ როლს თამაშობდა მოზარდთა, როგორც მებრძოლთა ფიზიკურ მომზადებაში, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ყმაწვილებს ბუნებრივ პირობებთან შეგუებას ასწავლიდნენ. არქანჯელო ლამბერტი წერს: „სამეგრელოში პატარებსა და ნორჩებს სასტიკ ზამთარშიც კი ფეხთ არ აცმევდნენ და თოვლში სიარულს აჩვევდნენ; საშინელ ჰაპანაქებაში სანადიროდ მიჰყავდათ; უდიდეს მდინარეებში კი ხშირად შიშვლები გადიოდნენ და ეს ყველაფერი ხდებოდა იმისთვის, რომ ბავშვები ცქვიტები და მარდები გამხდარიყვნენ და ასე შეჩვეოდნენ იმ გასაჭირს, რომელიც ომიანობას მოჰქონდა“. ადრეული ასაკიდან დაწყებული წვრთნა, ძირითადად, ბუნებრივი დაბრკოლებების გადალახვისკენ იყო მიმართული. ბავშვები ნადირობისას სწავლობდნენ ოღროჩოღროზე სირბილსა თუ სიპ ქვებზე წონასწორობის დაცვას; სიმაღლეში ხტომისას კაცს უნდა გადავლებოდნენ თავზე და არა თამასას, ხოლო სიგრძეზე ჭოკით ხტომისას ხევსა და მდინარეს, რათა საბრძოლო ვითარებასთან უკიდურესი მიახლოებით გაწვრთნილიყვნენ.

ჩვენს დროში ნადირობამ წინანდელი ფუნქცია დაკარგა და ერთგვარი სპორტული სახეობა გახდა. დასანანია, რომ საქართველოში ნადირობა, ფაქტობრივად, ყველაფერზეა აკრძალული და ამ უძველეს პროფესიას მომხიბლაობა ეკარგება. ამიტომაც ქართველი მონადირეების ერთი ნაწილი სანადირო მეურნეობების შექმნასა და სანადირო ტურიზმის აღორძინებაზე ოცნებობს, მეორე ნაწილი კი საქართველოს საზღვრებს გარეთ დადის მონადირული ჟინის მოსაკლავად; ჩვენებურები აფრიკასაც კი სტუმრობენ ანტილოპებზე სანადიროდ.

ერთ-ერთი ასეთი ქართველიც ამჟამად აფრიკაშია სანადიროდ და ჩვენ მის მეგობრებს, ოთარ საბაშვილს, ირაკლი თოდუასა და ვახტანგ მჭედლიშვილს შევხვდით. მათ არაერთხელ უნადირიათ საქართველოს მეზობელ ქვეყნებსა და ევროპაში, მაგრამ მაინც მიიჩნევენ, რომ არაფერი სჯობია ტრადიციულ ველურ ნადირობას, როდესაც მსხვერპლს სანადირო მეურნეობაში კი არა, ტყე-ღრეში დასდევ.

ერთი ძველი მეგრული ანდაზა ამბობს: „ბედნიერია ის, ვისაც ჰყავს კარგი ცხენი, უკეთესი ძაღლი და საუკეთესო მიმინო.“ დღეს შეიძლება ითქვას, რომ ბედნიერია ის, ვისაც ჰყავს კარგი მანქანა, უკეთესი ძაღლი და საუკეთესო თოფი.

სამივე რესპონდენტი სანადირო თოფების კოლექციონერია. ამ კოლექციის შემხედვარე ვეხუმრები, ეს არსენალი რომ ცალი თვალით დაანახვათ აფხაზ სეპარატისტებს, გაეროს წარმომადგენლებს თქვენს ოჯახებში მონიტორინგის ჩატარებას მოსთხოვდნენ-მეთქი. ხუმრობა იქით იყოს და, რას არ ნახავთ აქ: გერმანული, ინგლისური და ბელგიური წარმოების „გალიონს“, სამლულიან „კესლერს,“ კარაბინს „ანტონიო ძოლი,“ რომელსაც ოთარი მოფერებით ანჯელინა ჯოლის ეძახის; „პერდეს“, „ავგუსტ ლებოს“, „მერკელს“, „ფორჟერონს“. ზოგიერთი ძველი მონადირეებისგან შეუძენიათ ბიჭებს, ზოგიც რუსეთში უყიდიათ საბჭოთა გენერლების ქვრივებისგან.

ვახტანგი: „ყველაზე მაგარი სანადირო თოფია „პერდე“. მიუხედავად იმისა, რომ მისი კონსტრუქცია 100 წელზე მეტი ხანია უცვლელია, ის დღესაც ყველაზე მაღალი კლასის იარაღად ითვლება. მდგომარეობის მიხედვით, 10 ათასი დოლარი და მეტიც ღირს. ეს თოფები მეორე მსოფლიო ომში მონაწილე მებრძოლებმა ჩამოიტანეს; კიდევ რუსეთში საბჭოთა გენერლებს ჩუქნიდნენ ბელგიურ თოფებს, რომელთაც ქმრების გარდაცვალების შემდეგ ცოლები ყიდდნენ. რა თქმა უნდა, არა ისე ძვირად, როგორც ევროპაში. 1970 წლიდან რუსეთიდან საქართველოში ძალიან ბევრი მაღალი დონის თოფი შემოვიდა. ახლა პირიქით, აქედან გაედინება რუსეთშიც და ევროპაშიც. მე ერთი თოფი მაქვს რუსეთში შეძენილი, გერმანული „ზალპეი“, კომუნისტების დროს ვიყიდე მოსკოვში“.

ოთარი: „ყველას ვხმარობთ სანადიროდ. მე უფრო „მერკელით“ ვნადირობ. იარაღი შეჩვევაზეა, რაც უნდა დიდი კოლექცია გქონდეს, მაინც ერთ თოფს ეჩვევი. თოფი შენს აღნაგობას უნდა ერგებოდეს. ერთს რომ შეეჩვევი, სხვაზე გადაწყობა გიჭირს, მაგრამ ყველაფერზე სანადიროდ ერთი თოფი არ გამოგადგება“.

ირაკლი: „თოფი შესრულების ხარისხით ფასდება. ყველა ეს იარაღი ხელით არის გაკეთებული. სერიულად არ იწარმოება. ნახეთ, ფოლადზე რა გრავიურა, რა ჩუქურთმაა, მთელი სული და გულია ჩაქსოვილი. ამ თოფებიდან არც ერთი არ მეორდება და თითოეულის შექმნას ძალიან დიდი დრო სჭირდება“.

ნადირობის დროს დიდი მნიშვნელობა აქვს ჩაცმულობასაც. ხელის მოცარვის ერთ-ერთი მიზეზი მოუხერხებელი ტანსაცმელი ან ფეხსაცმელიც შეიძლება გახდეს.

ოთარი: „ყოფილა შემთხვევა, როდესაც ახალმა ფეხსაცმელმა ფეხი მატკინა და ვერ ვიარე. ამიტომ მონადირემ უფრო კომფორტულად უნდა ჩაიცვას ნადირობისას. ისე კი, თუ ვინმეს ნადირობის დაწყება სურს, ვურჩევთ პირველად კარგ მასწავლებელს მიებაროს და, რაც მთავარია, ძალიან უნდა უყვარდეს ბუნება. კარგი თოფისა და სხვა აქსესუარების შეძენა თანდათანობითაც შეიძლება“.

ვახტანგი: „მონადირეს ბევრი სხვა აქსესუარიც სჭირდება. მაგალითად, ბინოკლი, პატრონტაში ან ჩანთა; დანა, რომელსაც იმის მიხედვით გამოიყენებს, რაზეც ინადირებს. თუ ფრინველზე ნადირობ, დანა მხოლოდ პომიდვრის დასაჭრელად დაგჭირდება; თუ ნადირს მოკლავ, ნანადირევის გასატყავებლად გამოიყენებ. მონადირეს საგზალში აუცილებლად უნდა ჰქონდეს არაყი და ნიორი. საჭიროების შემთხვევაში, არაყს სამედიცინო დანიშნულებაც აქვს, ნიორი კი უნიკალური ბაქტერიციდული საშუალებაა“.

ოთარი: „არიან მონადირეები, საგზალი რომ არ მიაქვთ, თუ ვერაფერს მოვკლავთ, ჭამის ღირსებიც არ ვყოფილვართო. ერთხელ ასეთებთან ერთად სანადიროდ წასულმა ორი დღე მშიერმა ვიარე“.

ვახტანგი: „ნადირობა რიტუალია და არა აუცილებლობა, რომ რაღაც მოკლა. ამიტომ საგზალი უნდა გქონდეს. ჩვენ ზოგჯერ სამწვადე ხორციც მიგვაქვს. საერთოდ ტკბილეულს არ ვეტანები, მაგრამ ტყეში სიამოვნებით შევექცევი. თუ ნადირობისას ბევრი გაქვს სასიარულო, მაშინ დაბალწონიანი და მაღალკალორიული საკვები უნდა წაიღო. „სნიკერსმა“ მონადირეებს საქმე ძალიან გაგვიადვილა. წინათ ჩურჩხელა და გოზინაყი მიჰქონდათ“.

ერთადერთი, რაც მონადირეს უხსოვარი დროიდან დღემდე უცვლელად სჭირდება, ძაღლია. ჩემს რესპონდენტებს მონადირე ძაღლების სასაფლაოც კი აქვთ, სადაც მონადირე ძაღლებს მარხავენ.

ოთარი: „როდესაც ვქეიფობთ, ხშირად ვამბობთ სადღეგრძელოს, თოფით ხელში მოგვკლას ღმერთმა-თქო. ეს დაახლოებით ისეთი ნატვრაა, მებრძოლი, რომ ბრძოლის ველზე სიკვდილს ნატრობს. ჩვენი ერთ-ერთი მეგობრის ძაღლი სწორედ ბრძოლის ველზე დაიღუპა. იგი საქართველოში შემოყვანილი პირველი იაგდტერიერი იყო. ეს ძაღლი, ძირითადად, მელიებზე სანადიროდ იგეშება. შედის სოროში და ეჩხუბება მელიას, რომ გარეთ გამოაგდოს. თუ ვერ გამოაგდო, მოახრჩობს და ისე გამოიტანს. მოკლედ, ძაღლი მაგარი მონადირე გამოდგა. 13 წლისას აღარც ერთი კბილი აღარ ჰქონდა, მაგრამ მაინც ნადირობდა. ერთ დღესაც შევიდა სოროში, სადაც ორი მელია ყოფილა. ერთი გამოაგდო თუ არა, მოვკალით; მეორემ დაგვინახა და უკან შევარდა. ძაღლიც არ ეშვებოდა, მაგრამ თვითონაც დაიღუპა ჩხუბში. დრუნჩი სულ დაგლეჯილი ჰქონდა. ის ძაღლი იყო პირველი, რომელიც პატივით დავმარხეთ, თოფიც გავისროლეთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ასე გავხსენით ძაღლების სასაფლაო.

საოცარი რამ არის ნადირობა. თუ ჩვენსავით ბავშვობიდანვე შეისისხლხორცებ, მერე ცხოვრების ნაწილად გექცევა. 4-5 წლის წინ არხოტში მოვხვდი სანადიროდ. ფეხით უნდა გადაგვევლო 7-8-საათიანი გზა. გზად 70 წელს მიტანებული ხევსური შეგვხვდა. განთქმული ჯიხვებზე მონადირე ყოფილა. ხევსურს ხელი რომ მოაჭრან, ცრემლს არ გადმოაგდებს, მაგრამ ის კაცი კი მოდიოდა და ტიროდა. მიზეზი ვკითხეთ. ჩემს თავს დავტირი, დღეს დავრწმუნდი, რომ ცოცხალი აღარვარო. ერთი წელი უავადმყოფია, გამოკეთებულა თუ არა, გულს სანადიროდ გაუწევია, მაგრამ ველარ უვლია. ჩვენმა ერთმა მეგზურმა, რომელიც ასევე ხევსური იყო, უთხრა, ნუ ტირი, არავინ დაგინახოსო. პაპამ უპასუხა, ახლა რაღა აზრი აქვს, გინდ დამინახონ, გინდ არა, ჩემი ცხოვრება დამთავრდაო. მალე გარდაცვლილა კიდეც. როგორც კი თავს შეატყობ, რომ მაგ საქმისთვის ველარ ხარ, ცხოვრებას თითქოს აზრი ეკარგება"...

ვახტანგი: „გერმანიაში ყველაზე მეტად ნადირობა მენატრებოდა. ღამით რომ ვწვებოდი, 2-3 საათს ვერ ვიძინებდი. დღისითაც ვერაფრით ვიქარვებდი მონატრებას. სამონადირეო მაღაზიაში შევდიოდი ხოლმე ხშირად. ეტყობა, ისე გატანჯული სახე მქონდა, რომ იარაღს გადმოიღებდნენ და მაჭერინებდნენ. წამლის სუნი მენატრებოდა, ისეთი, ტყვიის გასროლისას რომ ამოვარდება...

ერთხელაც სიზმარი ვნახე, ქალი გამომეცხადა და მთხოვა, სანადიროდ წამიყვანეო. მონადირეებს სიზმარში ქალის ნახვა კარგად გვაქვს დაცდილი. ძილში ნანახი არ უნდა გაამხილო და ხელი მოგემართება. სიზმრის ქალს ვუთხარი, საქართველოში არ ვარ და ვერსადაც ვერ წაგიყვან, ჩემს ძმაკაც ოთარას მიაკითხე-მეთქი. დილით ოთარას იმეილი მივწერე, სანადიროდ წადი, აუცილებლად რაღაცას მოკლავ-მეთქი. ერთი კვირა პასუხი არ მომსვლია. თურმე მე რომ სიზმარი ვნახე, იმ საღამოს ოთარა რუსეთში წასულა დათვზე სანადიროდ. მოუკლავს კიდეც დათვი.

მონადირეები ამბობენ, რომ ქალი და თოფი ერთ რამეში ჰგვანან ერთმანეთს, ორივეს კარგი პატრონი და კარგი მოვლა სჭირდება. თუ არ მოუარე, ორივე გიღალატებს, თანაც საბედისწეროდ". ნადირობის ქალღმერთ დალის ღალატი ხომ საბედისწერო იყო. ალბათ, მონადირეს ქალის შიში მითოლოგიური წარსულიდან მოსდევს.

ჩემმა რესპონდენტებმა ისიც ამიხსნეს, რატომ აქვთ მონადირეებს მატყუარების სახელი და ერთი ამბავი გაიხსენეს.

ოთარი: „მეგობარი გვყავს, ლევანა. დიდი უკულმართი ვინმეა. ერთხელ ორი მანქანით წავედით მწყერზე სანადიროდ. დავითგარეჯის მონასტერთან ახლოს, ტბასთან, ღამით გავიარეთ. უკან ლევანა მოგვდევდა მანქანით; იხვები დაუნახავს. მოუკლავს ერთი და წამოუღია. ცოტა ხანში სანადიროდ ნამკალში გავედით, სადაც იხვი არ არის ხოლმე. ლევანას მოკლული იხვი მალულად ტბასთან დაუგდია. სროლა რომ დავიწყეთ, ლევანა აყვირდა, ნახეთ, იხვი მოვკალიო. ნანადირევი თბილი იყო და ამიტომაც ყველამ დავუჯერეთ. მერე ამ ამბავს ყველას ვუყვებოდი და მონადირეები დამცინოდნენ, აბა იხვი ნამკალში ვის მოუკლავს, რას ამბობო. მე კიდევ გავიძახოდი, ვიცი, რომ დაუჯერებელი ამბავია, მაგრამ ჩემი თვალით ვნახე-მეთქი. კარგა ხნის შემდეგ გამოგვიტყდა ლევანა, მოგატყუეთო...

ერთხელაც ლევანამ ტბის პირას აფრენილ იხვებს ესროლა და ერთი მოკლა. ნანადირევს პირში ცოცხალი თევზი ჰქონდა. წყალში გავუშვით. რა იღბალი ჰქონია იმ თევზს"...

ნამდვილი მონადირე არც კანონს უღალატებს და არც დაუწერელ წესებს... ერთ-ერთის მიხედვით, დაუშვებელია ნადირობა გაზაფხული-ზაფხულის პერიოდში.

ვახტანგი: „ცხოველებისგან უამრავ რამეს ისწავლი. იციან, როგორ უნდა გაუფრთხილდნენ ბუნებას, თავიანთ ჯიშსა და მოდგმას. უნდა ნახოთ, როგორ იცავენ ხარირემს ფურები. მყვირალობისას ხარს საფრთხის შეგრძნება უჩლუნგდება, მტერს ნაკლებად ერიდება. როგორც კი საფრთხეს იგრძნობენ, ფურები კედელს უკეთებენ ხარს და ისე გარბიან. თავს სწირავენ ჯიშის გადარჩენისთვის...

ოთარი: „აფრიკაში ხშირად ნადირობა მკვლელობას ჰგავს. არსებობს ისეთი სანადირო მეურნეობები, სადაც ველური, ტრადიციული მეთოდებით განადირებენ, მაგრამ ძალიან ძვირი ღირს, დაახლოებით 20 ათასიდან 50 ათას დოლარამდე. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში ან ნამიბიაში ანტილოპაზე სანადიროდ შემოსაზღვრული ტერიტორია აქვთ. 200-300 მეტრზე გამოჩნდება ნადირი და უნდა ესროლო. ტირია, რა. ნადირობის შედეგი ამ შემთხვევაში არ არის დამოკიდებული იმაზე, რამდენად კარგი მონადირე ხარ, მთავარია, რამდენად კარგად ისვრი. ჩვენი მეგობარი ირაკლი იყო აფრიკაში და არ მოეწონა იქაური წესები. სლოვაკეთში არის ხოხბებზე სანადირო მეურნეობები, სადაც თითო მონადირე დღეში 200-300 ფრინველს კლავს, მაგრამ იქ ინტერესი ეკარგება ნადირობას, რადგან ხოხობი ფერმაში გაზრდილივით არის, არ გერიდება. ჟინიც გიქრება. გარეული კი გიფრთხის და შენში მადევრის ინსტინქტი ილვიძებს. ველური ნადირობა სულ სხვაა. თუმცა ჩვენთან ნადირობის უფლება თითქმის არაფერზე გვაქვს. საქართველოში დაბალ დონეზე დგას ნადირობის ორგანიზაცია. ჩვენ მონადირეთა კავშირის წევრები კი ვართ, მაგრამ კავშირს ფუნქცია დაკარგული აქვს. ნადირობის უფლების მოსაპოვებლად უკვე აღარავის აქვს საკანონმდებლო ვალდებულება, მონკავშირის წევრი იყოს. შეგიძლია შინაგან საქმეთა სამინისტროში აიღო იარაღის ტარების ნებართვა, გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში კი ნადირობის ლიცენზია და მშვენივრად ინადირებ.

ფუნქცია უნდა შეიძინოს მონადირეთა კავშირმა, მისი წევრისთვის რაღაცის მომტანი უნდა გახდეს".

**P.S.** ფრინველებზე ნადირობის სეზონის დამთავრებამდე „არსენალიც" აპირებს ნადირობას. რას მოვინადირებთ და როგორ, აუცილებლად ვუამბობთ ჩვენს მკითხველს.

*ეკა ლომიძე*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვინ არიან სეპარატისტების მხარდამხარ მეომარი „მოხალისეები“

## ვინ არის დაინტერესებული მათი წახალისებით?!

ცნობილი რუსი მეცნიერი და გენერალი პაველ ზოლოტარიოვი ერთ-ერთ თავის სტატიაში წერდა: „სამხრეთ ოსეთში ქართული სპეცნაწილების შესვლას ჩრდილო კავკასიაში ბანდფორმირებები ელოდებიან. როგორც 2004 წელს, მათ მთელ რეგიონში დესტაბილიზაციის იმედი აქვთ. ექსტრემისტებისათვის ეს არის ხსნა“.

რუსი გენერლის სიტყვებში სიმართლის მარცვალი არის. მიმდინარე წლის დასაწყისში გაჩნდა ინფორმაცია, რომ ე. წ. აფხაზეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ალექსანდრე ანქვაბი კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაციის ყოფილ პრეზიდენტ მუსა შანიბოვს შეხვდა, 29 იანვარს კი სოხუმში კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაციის ვეტერანთა კავშირი დაფუძნდა.



მუსა შანიბოვი 1992-93 წლებში კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაციას სათავეში ედგა და ჩრდილოკავკასიელებისაგან ჩამოყალიბებულ შეიარაღებულ რაზმებს საქართველოში საომრად აგზავნიდა. მან 1992 წლის 21 აგვისტოს თბილისი უბედურების ზონად გამოაცხადა და საქართველოს დედაქალაქში ტერორისტული აქტების ჩატარების მოწოდებით გამოვიდა.

რუსეთის ხელისუფლება, ნაცვლად იმისა, ამ საშიშ პირსა და მის უკან მდგომ ძალებს იზოლირება გაუკეთოს, პირიქით, თავისუფალი გადაადგილების საშუალებასა და თან ნალჩიკის უნივერსიტეტში ლექციების წაკითხვის უფლებას აძლევს.

1990-93 წლებში რუსეთის სპეცსამსახურებმა მუსა შანიბოვი და მთიელ ხალხთა კონფედერაცია საქართველოს წინააღმდეგ კარგად გამოიყენეს. კონფედერაციას ჩრდილო კავკასიის ქალაქებში ანტიქართული საქმიანობისათვის დაუფარავად მოქმედებისა და მრავალდღიანი მიტინგების ჩატარების საშუალება მიეცა. გაისმოდა უბრალო ხალხის მოსატყუებელი „პატრიოტული“ ლოზუნგები: „გადავარჩინოთ აფხაზი ხალხი!“, „შევაჩეროთ ქართველების აგრესია!“ და ა.შ. გაისმოდა ორიგინალური მოწოდებაც: „ჩვენ გადავარჩენთ აფხაზეთს, ისევე როგორც გადავარჩინეთ გრენადა, ესპანეთი, ვიეტნამი და ქუვეითი!“

ასეთმა პოლიტიკამ სასურველი შედეგი სწრაფად მოიტანა და ჩრდილო კავკასიაში ძლიერი ანტიქართული ატმოსფერო შეიქმნა, რომლის გავლენის ქვეშ ათასობით კაცი აღმოჩნდა.

მოხალისეთა შეგროვება პირდაპირ მიტინგებზე მიმდინარეობდა, თითოეული მათგანი ფიცს დებდა: „მე, მოხალისე, საკუთარი გულის ძახილით, ჩემი სურვილით ვუერთდები აფხაზეთში წამსვლელებს, ვისაც მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ საქართველოს აგრესიის შეჩერება სურთ, ვინც აფხაზ ხალხთან ერთად იცავს პატარა სამშობლოს — აფხაზეთის დამოუკიდებლობას. აფხაზეთის დაცვა — ჩვენი განუყოფელი უფლება-ვალდებულებაა. ჩვენთვის ახლა აფხაზეთი სამშობლოა!“

აფხაზეთში ბრძოლის მოსურნე მოხალისეებთან ერთად, იყვნენ ბოევიკებიც, ვისთვისაც ომი ერთგვარი გასართობი გახდა.

მოხალისეები ცალ-ცალკე, ჯგუფებად ან ორგანიზებულ რაზმებად, ზოგი იარაღით, ზოგიც უიარაღოდ, აფხაზეთისაკენ დაიძრნენ. კავკასიონზე გამავალი საცალფეხო ბილიკებით, რიწის ტბის გავლით, ბზიფის ხეობას მიუყვებოდნენ და ახალი ათონი-გუდაუთის რაიონში გროვდებოდნენ.

კონფლიქტის პირველ დღეებში ჩამოსული მოხალისეები შეიარაღების ნაკლებობას განიცდიდნენ, მაგრამ ჩეჩნეთიდან გადმოსული რაზმებისათვის იარაღის პრობლემა არ არსებობდა.

ჩეჩნეთი მაშინ იარაღის უზარმაზარ არსენალს ფლობდა. 1992 წლის მაისში რუსეთის თავდაცვის სამინისტრომ ჯოჰარ დუდაევს ათეულობით თვითმფრინავი, ტანკი, საარტილერიო სისტემა, 50 ათასზე მეტი ცეცხლსასროლი იარაღი, 27 ვაგონი საბრძოლო მასალა, 600-მდე სხვადასხვა სახის ტანკსაწინააღმდეგო საშუალება და სხვა შეიარაღება დაუტოვა.

მთიელ ხალხთა კონფედერაცია დუდაევს 17 აგვისტოს აფხაზეთში გასაგზავნი რაზმებისათვის ცეცხლსასროლ იარაღს, საჰაერო თავდაცვის საშუალებებსა და შვეულმფრენებს სთხოვდა.

რუსეთის გენპროკურატურის ინფორმაციით, კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაცია რეგისტრირებული საზოგადოებრივი ორგანიზაცია არ იყო და საქართველოს წინააღმდეგ არც ომის წარმოების უფლება ჰქონდა. ძალადობაზე მოწოდებებისათვის სისხლის სამართლის საქმე აღიძრა და მუსა შანიბოვი როსტოვის იზოლატორში აღმოჩნდა, საიდანაც მალე გამოიპარა და მოსკოველი მფარველების დახმარებით აფხაზეთში საქმის ბოლომდე მიყვანის საშუალება მიეცა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განსაკუთრებული აქტიურობით ყაბარდოელები გამოირჩეოდნენ. მოხალისეთა პირველი 14-კაციანი ჯგუფი ეროვნებით ყაბარდოელმა, პოლკოვნიკმა სულთან სოსნალიევმა, 1992 წლის 16 აგვისტოს, კონფლიქტის მეორე დღეს გუდაუთაში გადმოიყვანა.

სულთან სოსნალიევი სამხედრო მფრინავია; საბჭოთა არმიაში სამსახურის ბოლოს საავიაციო პოლკს მეთაურობდა; 1993 წლის მაისიდან 1996 წლის აგვისტომდე აფხაზეთის თავდაცვის მინისტრი იყო; გენერალ-ლეიტენანტი სოსნალიევი 2005 წლის თებერვლიდან ისევ აფხაზეთის თავდაცვის მინისტრია; არის აფხაზეთის გმირი.

ყაბარდოელებმა 4 ქვედანაყოფი ჩამოაყალიბეს და მათი მონაწილეობის გარეშე არც ერთ ოპერაციას არ ჩაუვლია.

სეპარატისტთა არტილერიას საფუძველი 1992 წლის აგვისტოში ყაბარდოელების მიერ ჩრდილო კავკასიიდან გადმოტანილმა „ალაზანის" ორმა დანადგარმა ჩაუყარა. 31 აგვისტოს გაგრასთან „ალაზნები" გამოიცადა, მაგრამ სეტყვასაწინააღმდეგო დანადგარი ქვემეხს ვერ შეცვლიდა, ის სეპარატისტებს უფრო მორალურ მხარდაჭერას უწევდა.

აფხაზმა სეპარატისტებმა 14 ყაბარდოელს „აფხაზეთის გმირობა", ხოლო 50-ს კი — „ლეონის" ორდენი უბოძეს; 161 კაცი დაჯილდოვდა მედლით „მამაცობისათვის". ყაბარდოელთა ქვედანაყოფებში დანაკარგმა 64 კაცი შეადგინა.

აფხაზეთში ყაბარდოელები კიდევ ერთხელ, 1998 წლის მაისში, გალის მოვლენების დროს ჩამოვიდნენ და ქართველებთან შეტაკებებში 35 ყაბარდოელი დაიღუპა.

მოხალისეთა შორის მრავლად იყვნენ ადიღელები, ხოლო კონფედერატთა ოპერატიულ შტაბს ორჯერ ადიღელი ამინ ზეხოვი მეთაურობდა. ადიღელებმა აფხაზეთში 71 თანამემამულე დაკარგეს; 11 მათგანი კონფლიქტის დასრულების შემდეგ, 1994-1998 წლებშია დაღუპული.

ჩეჩნებისათვის აფხაზეთის კონფლიქტს პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონდა. რამდენიმე ათასმა ჩეჩენმა მებრძოლმა საბრძოლო გამოცდილება შეიძინა, რომელიც შემდგომში რუსეთის არმიის წინააღმდეგ წარმატებით გამოიყენა. თითქმის ყველა ცნობილი ჩეჩენი საველე მეთაური აფხაზეთშია ნაბრძოლი.

ომის პირველივე დღეებში ჩეჩნეთის პრეზიდენტმა ჯოხარ დუდაევმა დამოუკიდებლად მიიღო გადაწყვეტილება და მისი უშუალო ხელმძღვანელობით შექმნილი, იარაღითა და საბრძოლო მასალებით უზრუნველყოფილი საექსპედიციო ბატალიონი, რომელსაც შამილ ბასაევი მეთაურობდა, გუდაუთაში 19 აგვისტოს გამოჩნდა. ბასაევი მაშინ დაუფარავად ამბობდა: „ჩვენ აქ მოვედით მოძმე აფხაზების დასახმარებლად, რომ შევაჩეროთ გენოციდი, ქართველი ფაშისტების შემოსევა, რომელსაც სხვას ვერაფერს დავარქმევ".

ჩეჩნები სხვადასხვა ქვედანაყოფშიც იბრძოდნენ, მაგრამ მათში გამორჩეული შამილ ბასაევის ბატალიონი იყო. გავრცელებული ინფორმაცია, რომ ბასაევის ბატალიონი 500 კაცს ითვლიდა, მცდარია. ის ბევრად მცირერიცხოვანი იყო, მაგრამ საგულდაგულოდ დაგეგმილი რეიდების, თავდასხმებისა თუ ჩასაფრებების წყალობით უმნიშვნელო დანაკარგს განიცდიდა. რუსული მედია მას ნიჭიერ საველე მეთაურად მოიხსენიებდა. პირადი შემადგენლობა 3-4 კვირაში ერთხელ იცვლებოდა და მის რიგებში ჩეჩნებთან ერთად აფხაზები, ინგუშები, თურქი აფხაზები და ადიღელები იბრძოდნენ. მოგვიანებით ბასაევმა აღიარა, რომ ბრძოლა აფხაზეთში ისწავლა.

1993 წლის იანვრიდან შამილ ბასაევი კონფედერაციის ძალების სარდალია. მის მოვალეობაში შედიოდა ჩამოსულ მოხალისეთა კოორდინაცია, საჭირო მიმართულებით გაგზავნა და გაკონტროლება. ჩეჩნურ ბატალიონს კი სათავეში ჰამზატ ჰანკაროვი ჩაუდგა და ომის სიმძიმემ მის კისერზე გადაიარა.

ქართულ მშვიდობიან მოსახლეობაზე მოხალისეთა ძალადობის არაერთი ფაქტია ცნობილი. ახლა დამნაშავეთა ეროვნული ნიშნებით დაყოფა შეუძლებელია, რადგან ყველას ჩეჩნებს ეძახდნენ, მაგრამ ისიც ცნობილია, რომ ზოგჯერ ჩეჩნები ქართველებს ეხმარებოდნენ.

სოხუმის ხელისუფლებამ 2003 წელს, გამარჯვების მე-10 წლისთავზე, მადლიერებით მოიხსენია რუსეთისათვის საერთაშორისო ტერორისტად აღიარებული შამილ ბასაევი, ხოლო მისი თანამებრძოლი რუსლან გელაევი კი დაივიწყა, — არ აპატია 2001 წლის შემოდგომაზე აფხაზეთში ჩატარებული რეიდი.

კონფედერატთა შორის იბრძოდა სამხრეთოსური ბატალიონიც. ცხინვალელი მოხალისეები ჯერ ოსეთ-ინგუშეთის კონფლიქტში მონაწილეობდნენ. 1992-93 წლის ზამთარში კი აფხაზეთში გამოჩნდნენ. ბატალიონი დაახლოებით 200-300 კაცს ითვლიდა.

მოხალისეებიდან ყველაზე მრავალრიცხოვანი ფორმირებები დონისა და ყუბანის კაზაკებს ჰყავდათ. ერთ-ერთი პირველი, ვინც აფხაზეთში შემოვიდა, იყო კაზაკთა ატამანის, ევგენი ვასილიევის 15-კაციანი ჯგუფი, რომელიც 10-12 ოქტომბერს ტყვარჩელის ფრონტზე გამოჩნდა.

კრასნოდარის კაზაკთა 200-კაციანი რაზმი, ნიკოლაი პუტკოს მეთაურობით, 1993 წლის სექტემბერში სოხუმის აღებაში მონაწილეობდა.

სომხეთის თავდაცვის მინისტრმა სერჟ სარქისიანმა 2001 წლის ოქტომბერში თბილისში განაცხადა: „აფხაზეთში საომარი მოქმედებებისას სომხურ მოსახლეობას ნეიტრალური პოზიციის დაკავება არ შეეძლო"(!..)



აფხაზეთში ამჟამადაც არის ყუბანის კაზაკთა სათვისტომო თავისი ბატალიონითურთ. ბატალიონი, თავის მხრივ, ყუბანის კაზაკთა პოლკში შედის. ყუბანელ კაზაკებს სამხედრო ფორმირების სტატუსი აქვთ და ისინი რუსეთიდან აფხაზეთის არმიის სწავლებებში მონაწილეობის მისაღებად სპეციალურად ჩამოდიან.

რუსეთის ნაციონალური პარტიის ანცუპოვის სახელობის რაზმი 150-მდე კაცს აერთიანებდა და მას პოდპოლკოვნიკი ანატოლი სიდორენკო მეთაურობდა. რაზმი რუსი ჟურნალისტისა და ამავე დროს ერთ-ერთი საბრძოლო ჯგუფის მეთაურის, ვლადიმირ ანცუპოვის სახელს ატარებდა. ანცუპოვი სოფელ საკენთან 1992 წლის 18 ივლისს ჩამოგდებულ შვეულმფრენში დაიღუპა.

რაზმი რუსეთის არმიისა და მილიციის ყოფილი ოფიცრებისგან შედგებოდა. ჩამოსვლის მიზანი აფხაზეთში რუსეთის ინტერესებისა და აფხაზი ხალხის ქართველთა „აგრესიისაგან" დაცვა იყო. პროფესიული გამოცდილებიდან გამომდინარე, რაზმი მხოლოდ სპეცდავალებებს ასრულებდა და სეპარატისტთა ქვედანაყოფებს წვრთნიდა. რაზმის ზოგიერთმა წევრმა აფხაზეთში მიღებული გამოცდილება მოგვიანებით იუგოსლავიაში, მუსლიმანთა წინააღმდეგ ბრძოლის დროს გამოიყენა.

სეპარატისტთა ფორმირებებში ერთ-ერთ საუკეთესოდ საბჭოთა კავშირის მარშალ ბაგრამიანის სახელობის ცალკეული მოტომსროლელი ბატალიონი ითვლებოდა. ის სომხური დროშით იბრძოდა, რითაც ოფიციალურ ერევანს უხერხულობას უქმნიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბატალიონი სხვადასხვა ქვედანაყოფში მებრძოლი სომხებისაგან 1993 წლის დასაწყისში ჩამოყალიბდა და დაახლოებით 500 კაცს ითვლიდა. მასში სომხებთან ერთად ქართველები, რუსები და სხვა ერთა წარმომადგენლები მსახურობდნენ. ბატალიონის დანაკარგებმა 58 კაცი შეადგინა და მისი დიდი ნაწილი სომხებზე მოდის.

ბატალიონის ქვედანაყოფები მონაწილეობდნენ 1993 წლის 15-16 მარტს ზემო ეშერის მიმართულებით განხორციელებულ შეტევაში, სექტემბერში სოხუმის შტურმში, კოდორის ხეობაში გვირაბების დაკავებაში.

ბაგრამიანის ბატალიონზე საზოგადოებაში სხვადასხვა მოსაზრება გამოითქმის. ცხადია, აფხაზეთში მცხოვრები სომხები სეპარატისტთა ძლიერი ზეწოლის ქვეშ იქნებოდნენ და კონფლიქტის შორიდან მაყურებლის როლში ვერ დარჩებოდნენ. როგორც სომხეთის თავდაცვის მინისტრმა სერჟ სარქისიანმა 2001 წლის ოქტომბერში თბილისში განაცხადა: „საომარი მოქმედებებისას სომხურ მოსახლეობას ნეიტრალური პოზიციის დაკავება არ შეეძლო".

შორეული მოლდავეთის დნესტრისპირეთის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეცდანიშნულების ჯგუფი „დელფინი" დნესტრისპირეთის სპეცდანიშნულების ბატალიონ „დნესტრის" შემადგენლობაში შედიოდა და 8 კაცს ითვლიდა. მას კაპიტანი ანდრეი ტერენტიევი მეთაურობდა. 1993 წლის მაისში ჯგუფი ტყვარჩელში გადაიყვანეს და სეპარატისტთა მე-3 ბრიგადას დაექვემდებარა. რაზმის მოვალეობაში შედიოდა: დაზვერვა, დესანტი, დივერსიული ოპერაციები, მნიშვნელოვანი ობიექტების დაცვა, რუსეთიდან შვეულმფრენების მიღება. ჯგუფის ანგარიშზეა 1993 წლის ივნისში ხელით გადასატანი საზენიტო კომპლექსით ქართული სამგზავრო Ту-134-ის დაზიანება, ელექტროგადამცემი ხაზების მწყობრიდან გამოყვანა და ა.შ. ჯგუფ „დელფინის" შტაბის უფროსი, მილიციის კაპიტანი იური პიმენოვი 1993 წლის ოქტომბერში მოსკოვში სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის დროს მოკლეს.

თურქეთიდან ჩამოსული აფხაზთა 38-კაციანი ჯგუფი ბასაევის ბატალიონის შემადგენლობაში იბრძოდა. 1992 წლის ბოლოსთვის სეპარატისტთა ფორმირებებში თურქეთის მოქალაქე აფხაზთა რაოდენობა 70-მდე. გაიზარდა.

ერთ-ერთი მათგანი, ზუკფი აჩუსბა, ამბობდა: „სტამბოლიდან სოჭისაკენ 25 აგვისტოს გამოვფრინდი. მოვფრინავდი ჩემი წინაპრების ქვეყანაში, რომელიც მუხანათური აგრესიის მსხვერპლი გახდა და ასეთ მძიმე დროს მე, რადაც უნდა დამჯდომოდა, ჩემი ხალხის გვერდით ყოფნა მევალებოდა".

თურქი აფხაზები ტურისტულ ვიზებს რუსეთის გენსაკონსულოში ყიდულობდნენ; თვითმფრინავით ადლერამდე მგზავრობდნენ, შემდეგ კატარღებით გუდაუთისკენ მიემართებოდნენ.

სოხუმის ხელისუფლებამ 2002 წელს ომის მონაწილე თურქებსა და სირიელებს აფხაზური ჯილდოები დაურიგა.

რუსული მონაცემებით, მარტო 1992 წლის შემოდგომაზე აფხაზეთში რუსეთიდან 4000-დან 7000 ჩრდილოკავკასიელი შემოვიდა. არაოფიციალური მონაცემებით, აფხაზეთში სეპარატისტთა მხარეს დაახლოებით სხვადასხვა ეროვნების 12-დან 15 ათასამდე მოხალისე იბრძოდა.

საქართველოს ტერიტორიაზე მიმდინარე კონფლიქტში სხვა ქვეყნების მოქალაქეები მასობრივად ვერ შემოვიდოდნენ, მოსკოვს ფსოუზე საზღვარი საიმედოდ რომ ჩაეკეტა. რუსეთის პრეზიდენტი ბორის ელცინი 1992 წლის სექტემბერში პირობას დებდა, რომ ყველა ღონისძიება გატარდებოდა საქართველოს ტერიტორიაზე შეიარაღებულ მოხალისეთა რაზმების შემოღწევის ასაცილებლად. როგორც ხშირად ხდება, რუსეთის დაპირება დაპირებად დარჩა და პრაქტიკულად ღია საზღვარს მდინარე ფსოუს ჩრდილოეთის მხრიდან ათასობით ბოევიკი მოაწყდა.

ჩრდილოკავკასიელმა მოხალისე-ბოევიკებმა დიდი როლი ითამაშეს 1992 წლის 1-ელ ოქტომბერს გაგრაზე დაწყებულ შეტევაში. შემტევთა რიგებში იბრძოდა ყაბარდოელთა 40-კაციანი, ბასაევის 80-კაციანი, ჩეჩენთა მეორე 60-კაციანი და ყარაჩაეთ-ჩერქეზთა 27-კაციანი რაზმები.

5 ოქტომბერს ხოლოდნაია რეჩკას რაიონში იაგანოვის ყაბარდოელთა რაზმი ზღვიდან იქნა გადმოსხმული, ხოლო ბასაევის რაზმმა 80-კილომეტრიანი გადასვლის შემდეგ შეტევა მთებიდან დაიწყო.

1992 წლის 3 ოქტომბერს სოხუმს უტევდა ბასაევის აფხაზურ-ჩეჩნური ბატალიონი, ყაბარდოელთა ბატალიონი და ჩრდილოკავკასიელთა სხვა ქვედანაყოფები.

ქართული მხარის მონაცემებით, 1993 წლის 16-18 მარტს სოხუმზე დაწყებულ შეტევაში სეპარატისტთა რიგებში ირიცხებოდა: დაახლოებით 2000 ჩრდილოკავკასიელი, 1000-1500 რუსი, 200-300 სომეხი, 200-300 ინგუში და 4500 აფხაზი. როგორც ცნობილია, მარტის შეტევა მოწინააღმდეგისათვის დიდი დანაკარგით დასრულდა, რომელმაც 800-მდე მოკლული და 1200-მდე დაჭრილი შეადგინა.

აფხაზთა მონაცემებით, 13-თვიან კონფლიქტს მათი მხრიდან 2700 მებრძოლი შეეწირა, რომელთაგან 853 არააფხაზი იყო.

ბრძოლისას ჩრდილოკავკასიელები გამოირჩეოდნენ სიმტკიცით, ცდილობდნენ ინიციატივის ხელში აღებას, არსებული რესურსებისა და ძალების მაქსიმალური ეფექტიანობით გამოყენებას, მოულოდნელობის ეფექტის მიღწევას, დივერსიულ-სადაზვერვო ოპერაციების ჩატარებას და ა.შ.

საქართველოს შინაურ საქმეებში სხვა ქვეყნების მოქალაქეთა ჩარევა კვლავინდებურად გრძელდება. რუსეთი ხელს არ უშლის კონფლიქტურ რეგიონებში ბოევიკთა შესვლას. რუსეთის მოქალაქეები რეგულარულად მონაწილეობენ აფხაზეთის არმიის სწავლებებში. 2004 წლის აგვისტოში სამხრეთ ოსეთში ვითარების გართულებისთანავე აფხაზეთიდან 55 ბოევიკი ჩავიდა.

რუსულ-ქართული დაძაბული ურთიერთობების გამო კონფლიქტების განახლების შემთხვევაში, მოსკოვი ჩრდილოკავკასიელების გამოყენებას ისევ შეეცდება. ამჯერად მოსკოვს ამ მიზნით რუსეთის არმიაში ეროვნული ნიშნით ჩამოყალიბებული და მომზადებული ქვედანაყოფები შეუძლია გამოიყენოს.

ბესლანის ტრაგედიის შემდეგ ჩრდილო ოსეთს გლუვლულიანი ცეცხლსასროლი იარაღით აღჭურვილი შეიარაღებული ჯგუფების ჩამოყალიბების უფლება მიეცა. გარდა ამისა, ცხინვალის რეგიონში დისლოცირებულია ოსებისაგან ჩამოყალიბებული 500-კაციანი ჩრდილო ოსეთის სამშვიდობო ბატალიონი. ჩეჩნებისაგან დაკომპლექტებულია ჩეჩნეთში განთავსებული რუსეთის არმიის 42-ე მოტომსროლელი დივიზიის ბატალიონები „ვოსტოკი" და „ზაპადი". თითოეულში დაახლოებით ათასათასი კაცი მსახურობს და გაძლიერებულია ნაღმსატყორცნების ბატარეებით, სნაიპერთა რაზმებით. ბატალიონების ქვედანაყოფები ხშირად ასრულებენ რუსეთის არმიის გენშტაბის მთავარი სადაზვერვო სამმართველოს სპეცდავალებებს, როგორც ჩეჩნეთში, ასევე მეზობელ ტერიტორიებზე. ამჟამად 54 ჩეჩენი მებრძოლი ლიბანშია მივლინებული რუს მესანგრეთა ბატალიონის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

შინაგანი ჯარის 46-ე ოპერატიული დანიშნულების ცალკეული ბრიგადის ბატალიონები „სევერი" (500 კაცამდე) და „იუგი" (700 კაცამდე) ასევე ჩეჩნებით არის შევსებული და სპეცდავალებებთან ერთად საზღვრების დასაცავად გამოიყენება.

დასახელებულ ქვედანაყოფებში მხოლოდ კონტრაქტით მსახურობენ. აღინიშნება პირადი შემადგენლობის კარგი მომზადება და გამოცდილება, რომელიც სპეცოპერაციებში მონაწილეობებით დაგროვდა.

*თემურ ჩაჩანიძე*

**ყურადღება! ახლო მომავალში რედაქცია შემოგთავაზებთ პუბლიკაციას აფხაზურ-ქართულ კონფლიქტში მონაწილე „ბაგრამიანის ბატალიონის" შესახებ.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შავი და კასპიის ზღვის ქვეყნების სამხედრო-საზღვაო სიახლეები



## ბულგარეთი

ბულგარეთის შეიარაღებულმა ძალებმა AS.532 AL „კუგუარის“ ტიპის პირველი შვეულმფრენი მიიღო. ბულგარეთმა 2005 წლის იანვარში „ევროკოპტერს“ 360 მილიონ ევროდ ღირებული 12 „კუგუარი“ და 6 AS.565 MB „პანტერი“ შეუკვეთა.

„პანტერი“ მსუბუქი შვეულმფრენია და საზღვაო ძალებისთვის არის განკუთვნილი; გამოიყენება წყალქვეშა ნავების წინააღმდეგ, ხოლო წყალზედა ხომალდებთან ბრძოლისათვის „ეკზოსეტის“ ტიპის ფრთოსან ხომალდსაწინააღმდეგო რაკეტებს ატარებს. „პანტერის“ საფრენოსნო წონა 4,25 ტონაა; შვეულმფრენს სატრანსპორტო ვარიანტში შეუძლია 10 მგზავრის ან 1700 კილოგრამი ტვირთის მიღება. სიჩქარე 300 კმ/სთ-ში, ხოლო ფრენის სიშორე 420 კილომეტრს შეადგენს. „პანტერების“ მიწოდება 2011 წლისათვის უნდა დამთავრდეს.

## თურქეთი

აშშ თურქეთს უსასყიდლოდ გადასცემს ნაღმსაწინააღმდეგო ძალებში შემავალ 2 მტრალავ ხომალდს MHC 58 „ბლექ ჰოკს“ (მწყობრში შევიდა 1996 წლის 11 მაისს) და MHC 62 „შრაიკს“ (მწყობრში შევიდა 1999 წლის 31 მაისს). ხომალდები „ოსპრეის“ პროექტს მიეკუთვნება, რომლის წყალწყვა 918 ტონაა და განნაღმვის თანამედროვე საშუალებებით არის აღჭურვილი. აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ძალების რეფორმირებასთან დაკავშირებით ხომალდები საბრძოლო შემადგენლობიდან გამოყვანილია და აშშ-ის 2007 წლის სამხედრო ბიუჯეტის დახმარების პროგრამებშია ასახული, რომელიც კონგრესის გადაწყვეტილებას ელოდება.



## უკრაინა

უკრაინის სამხედრო-საზღვაო ძალების ერთადერთი წყალქვეშა ნავი „ზაპოროჟიე“ (641-ე პროექტი) გარემონტების შემდეგ გაიყიდება. თავდაცვის მინისტრის განმარტებით, „უკრაინას ისეთი საშიშროება არ ემუქრება, რომლისთვისაც წყალქვეშა ფლოტის არსებობა იქნებოდა საჭირო“. წყალქვეშა ნავი „ზაპოროჟიე“ (ყოფილი Б-435) საბჭოთა სამხედრო-საზღვაო ფლოტის შემადგენლობაში 1970 წლის 6 ნოემბერს შევიდა. შავი ზღვის ფლოტის გაყოფის შემდეგ Б-435 უკრაინას გადაეცა და 1997 წლის 1-ელ აგვისტოს „ზაპოროჟიეზე“ ყვითელ-ცისფერი დროშა აღიმართა. წყალქვეშა ნავის წყალწყვა 2500 ტონაა და 10 სატორპედო აპარატით არის აღჭურვილი; 2003 წლის ზაფხულში რემონტი გაიარა; შეკეთდა მსუბუქი კორპუსი და ახალი აკუმულატორების ბატარეები დაიდგა. მისი საორიენტაციო ფასი დაახლოებით 50-70 მილიონი დოლარია.

## BLACKSEAFOR-ის სწავლება

შავი ზღვის ქვეყნების სამხედრო-საზღვაო თანამშრომლობის ტაქტიკურმა ჯგუფმა (BLACKSEAFOR) პირველი ფაზის მეექვსე აქტივიზაციის ფარგლებში ფუნქციონირება 11 აგვისტოს დაიწყო. სევასტოპოლში თავი მოიყარეს ტაქტიკურ ჯგუფში შემავალმა ხომალდებმა: სარაკეტო ფრეგატმა „ტურგუტრეისმა“ (თურქეთი), კორვეტმა „სმელიმ“ (ბულგარეთი), ფრეგატმა „სებასტიანმა“ (რუმინეთი), მართვის ხომალდმა „სლავუტიჩმა“ (უკრაინა) და დიდმა სადესანტო ხომალდმა „ცეზარ კუნიკოვმა“ (რუსეთი). 18 აგვისტოს ხომალდების ჯგუფი საქართველოს ტერიტორიულ წყლებში შემოვიდა, სადაც საქართველოს სამხედრო-საზღვაო ძალების საპატრულო კატარღა „ივერია“ შეუერთდა. ერთობლივი ცურვისას დამუშავდა სტიქიური უბედურების დროს ჰუმანიტარული დახმარების აღმოჩენის ამოცანა. ამით 22 აგვისტოს ბათუმში პირველი ფაზის მეექვსე აქტივიზაცია დასრულდა. მომდევნო ფაზა 2007 წლის გაზაფხულისათვის არის დაგეგმილი. მომავალი წლიდან შავი ზღვის ქვეყნების სამხედრო-საზღვაო ჯგუფის მეთაური რუსეთის წარმომადგენელი I რანგის კაპიტანი მიხეილ სუხვალი იქნება.

**მარცხნივ:** უკრაინული წყალქვეშა ნავი „ზაპოროჟიე“ იყიდება;
**ქვემოთ:** ბულარეთმა პირველი „კუგუარი“ მიიღო;
**მარჯვნივ:** კასპიის ზღვაში ახალი რუსული ხომალდი (პ.21630) „ასტრახანი“ შევიდა



## აზერბაიჯანი

ბაქო თავს იკავებს KASFOR-ის ძალებში მონაწილეობისაგან, რომლის შექმნის ინიციატივით 2005 წლის ზაფხულში რუსე-



თის პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი გამოვიდა. ამ საკითხზე არც თურქმენეთის პოზიციაა გამოკვეთილი. მიზეზი კასპიის ზღვის სამართლებრივ სტატუსთან დაკავშირებული პრობლემებია. აზერბაიჯანს კასპიის ზღვაში თურქმენეთსა და ირანთან საზღვრები შეთანხმებული არ აქვს. ყაზახეთმა და ირანმა KASFOR-ში მონაწილეობაზე თანხმობა უკვე განაცხადეს.

აშშ-ის ტექნიკური დახმარებით წლის ბოლომდე აზერბაიჯანის სამხედრო-საზღვაო ძალები აშშ-დან ჰიდროლოკაციურ სადგურებსა და 3 საპატრულო კატარღას მიიღებს. გარდა ამისა, მოდერნიზაციას გაივლის საზღვაო ძალების რადიოლოკაციური სადგურები, რომლებიც თანამედროვე მოდელებით შეიცვლება.

რუსეთი ირანს წყალქვეშა ნავებისთვის ახალ ხომალდსაწინააღმდეგო რაკეტებს მიაწვდის



## ირანი

რუსეთი ირანის სამხედრო-საზღვაო ძალების წყალქვეშა ნავებს ხომალდსაწინააღმდეგო სარაკეტო კომპლექს „კლაბ-C" მიაწვდის. ეს ცნობილი გახდა მას შემდეგ, რაც სევეროდვინსკის ქარხანა „ზვიოზდოჩკას" დელეგაცია ბენდერ-აბასში მდებარე ვერფის შესაძლებლობებს გაეცნო რუსეთში აგებულ წყალქვეშა ნავებზე რემონტის ჩატარების მიზნით. რუსეთმა ირანს 1991-1994 წლებში 877ЭКМ პროექტის სამი წყალქვეშა ნავი: „ტარეჰი", „ნოორი" და „იუნესი" მიაწოდა.

აგვისტოში ირანმა დიდი სამხედრო სწავლებები ჩაატარა, სადაც სამამულო წარმოების სხვადასხვა უახლესი შეიარაღება წარმოადგინა. სამხედრო-საზღვაო ფლოტის სარდლის, ადმირალ საჯად ქუჩაკის განცხადებით, შექმნილია 76 მმ-იანი ქვემეხი „ფაჯრ 27", რომელიც აშშ-ისა და იტალიის ანალოგიური სისტემების შემდეგ მსოფლიოში მესამეა. ქვემეხი წუთში 85 გასროლას აკეთებს და 17 კილომეტრზე ისვრის. მისი გამოყენება შეიძლება სახმელეთო, საჰაერო და საზღვაო სამიზნეების გასანადგურებლად. ახალი საარტილერიო სისტემით მსუბუქი ხომალდები და „ჯოუსანის" პროექტის სარაკეტო კატარღები აღიჭურვება.

ირანმა ოფიციალურად განაცხადა, რომ 19 აგვისტოს წყალქვეშა ნავიდან შორეული მოქმედების რაკეტის წარმატებული საცდელი გაშვება განახორციელა.

## რუსეთი

კასპიის ზღვის ფლოტილიას ახალი ხომალდი შეემატა. 2006 წლის 1-ელ სექტემბერს სანქტ-პეტერბურგში წყალში საზეიმოდ ჩაუშვეს საარტილერიო ხომალდი „ასტრახანი" (პ.21630). ხომალდის წყალწყვა 500 ტონაა. შეიარაღებაში შედის: ერთი 100 მმ-იანი ქვემეხი, 2X6 30-მმ-იანი ავტომატი, ზალპური ცეცხლის „გრადის" დანადგარი, ორი 14,5 ტყვიამფრქვევი და საზენიტო კომპლექსი „გიბკა". დაგეგმილია 2010 წლამდე კასპიის ზღვის ფლოტილიისათვის ამავე პროექტის „კასპიისკისა" და „მაჰაჩყალას" გადაცემა.

ყოფილი საბჭოთა ფლოტის კატარღა ახლა აზერბაიჯანის დროშის ქვეშ დაცურავს



## ყაზახეთი

ყაზახეთის სამხედრო-საზღვაო ძალებმა შევსება მიიღო. სამხრეთ კორეამ ასტანას გასული საუკუნის 90-იან წლებში აგებული სამი ახალი საპატრულო კატარღა საჩუქრად გადასცა. კატარღებმა: „შაპშაგმა", „ბატირმა" და „აიზეტმა" დასავლური მოთხოვნის შესაბამისი მოდერნიზაცია გაიარეს. 144 ტონა წყალწყვის კატარღები შეიარაღებულია: ერთი 40 მმ-იანი და ორი 20 მმ-იანი ავტომატებით, ორი 12,7 მმ-იანი ტყვიამფრქვევით. 5,5 ათასი ცხ. ძალის 2 დიზელი 43 კვანძს უზრუნველყოფს. კატარღები ჯერ თურქეთში იქნა ჩატანილი, შემდეგ შავი და აზოვის ზღვების, ვოლგა-დონის არხების გავლით ყაზახეთის მთავარ სამხედრო-საზღვაო ბაზა აქტაუში შევიდნენ. ახალი მცურავი საშუალებები კასპიის ზღვაში ყაზახეთის ეკონომიკური ინტერესებისა და ნავთობით მდიდარი რაიონების დასაცვად არის განკუთვნილი.

თურქეთისთვის განკუთვნილი „ოსპრეი"



*თემურ ჩაჩანიძე*

# არსენალვორდი



**თარაზულად:** 1. ამერიკული რევოლვერი; 7. ბრიტანული საბრძოლო ვერტმფრენი; 8. ბრიტანული რევოლვერი; 9. ლიბანის სამხედრო-საზღვაო ძალების ხომალდების ტიპი; 10. იტალიური რევოლვერი; 13. ადგილი, სადაც 1805 წელს ადმირალი ნელსონი იბრძოდა საფრანგეთ-ესპანეთის ესკადრების წინააღმდეგ; 16. აშშ-ის სახმელეთო ჯარების ერთ-ერთი მთავარი პოლიგონი; 20. შვედური ავტომობილი; 21. ჰუნების ბელადი 22. არაბული ქვეყანა; 23. დაცლილი ვაზნა; 25. მსხვილი ტყვია დათვებზე სანადიროდ; 28. ალბანეთის დედაქალაქი; 30. მტაცებელი ფრინველი; 31. ავსტრიული პისტოლეტი; 32. სისხლის აღების ადათი სარდინიასა და კორსიკაზე; 34. თოფის წამალი; 35. გიორგი დანელიას ფილმი.

**შვეულად:** 2. თვითმფრინავის დიდი სისწრაფით ძირს დაშვება თითქმის ვერტიკალურად მიზანში ყუმბარის ზუსტი მოხვედრების მიზნით, 3. ქულა ძიუდოში; 4. ქალაქი საქართველოში; 5. ზაფხულის თვე; 6. ჩაროზი; 11. ამერიკული რევოლვერი „... სტანდარტი“; 12. იტალიის ტელევიზია; 13. მძლავრი სწრაფმსროლი ავტომატური იარაღი; 14. კავკასიელ მთიელთა სოფელი; 15. საზღვაო ბრძოლის ერთ-ერთი ძველებური ხერხი; 17. მე-18 ს-ის რუსი ადმირალი; 18. ესპანური პისტოლეტი; 19. ძვირფასი ლითონი; 24. ამერიკული პისტოლეტი; 26. ამერიკის შტატი; 27. გამარჯვების ქალღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში; 29. საჰაერო ფლოტი; 31. ბლაგვი კუთხის ფორმის საველე სიმაგრე; 33. ფიატის მოდელი.

---

*ჟურნალის წინა ნომერში გამოქვეყნებული „არსენალვორდის“ პასუხები:* ***თარაზულად:*** 1. პარაბელუმი; 6. კონგსბერგი; 7. ტაიმი; 8. ფილა; 9. გარანდი; 12. რიფი; 13. საკო; 15. ექიდნა; 16. ბატუტი; 17. ავერსი; 18. შინელი; 20. ტრიბუნალი; 22. პოზიცია; 24. ტანკოდრომი; 27. ამბოხი; 28. დო; 29. სეული; 30. იგლი. ***შვეულად:*** 1. პიკეტი; 2. რანჯირი; 3. ბასტილია; 4. უკრაინა; 5. იჩიტა; 9. გენერალიტეტი; 10. რეზიდენტი; 11. დუგანი; 13. სენტინელი; 14. კასტელანი; 16. ბუში; 19. სუვოროვი; 21. ლაო; 23. პითონი; 25. ნამბუ; 26. რაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„არსენალი" გთავაზობთ ნოემბრის თვეში მომხდარი მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი და საინტერესო ისტორიული მოვლენების ჩამონათვალს.

# არსენალის ნოემბრის კალენდარი

**1 ნოემბერი**

1952 წელი – მსოფლიოში პირველად, წყნარი ოკეანის ცენტრალურ ნაწილში, მარშალის კუნძულებზე, აშშ-მ ააფეთქა 3 მეგატონის სიმძლავრის თერმობირთვული მოწყობილობა.

**2 ნოემბერი**

1961 წელი – გენერალისიმუსი სტალინი გამოასვენეს კრემლის მავზოლეუმიდან და დაკრძალეს კრემლის კედელთან.

**3 ნოემბერი**

1912 წელი – დაიბადა ალფრედო სტრესნერი – არტილერიის გენერალი, პარაგვაის პრეზიდენტი (1954-89 წლებში), დიქტატორი.

**5 ნოემბერი**

1794 წელი – რუსეთის ჯარმა სუვოროვის მეთაურობით აიღო ვარშავა და პოლონეთის აჯანყება სისხლში ჩაახშო.

**6 ნოემბერი**

1846 წელი – ტრაგიკულად დაიღუპა ალექსანდრე ჭავჭავაძე – გენერალ-ლეიტენანტი, რომანტიკოსი პოეტი.

**7 ნოემბერი**

1720 წელი – დაიბადა ერეკლე II – საქართველოს უკანასკნელი დიდი მეფე-მეომარი, გამოჩენილი სარდალი.

1800 წელი – სოფელ კაკაბეთთან, ნიახურას ველზე, გაიმართა ბრძოლა, სადაც ქართველებმა და რუსებმა ერთობლივად დაამარცხეს ლეკთა მხედრობა (მოსპეს 18 ათასი ლეკი და მათი წინამძღოლნი).

1916 წელი – 90 წლის წინ დაიბადა გალაკტიონ ალფაიძე – სსრკ გმირი.

1941 წელი – მოსკოვში, წითელ მოედანზე, გაიმართა წითელი არმიის ჯარების აღლუმი; კუიბიშევში – სამხედრო-საჰაერო პარადი (600 თვითმფრინავის მონაწილეობით).

**8 ნოემბერი**

1724 წელი – რუსეთის იმპერატორი პეტრე I ფინეთის ყურის გაყინულ წყალში გადახტა ჯარისკაცების გადასარჩენად, რაც გახდა მისი გარდაცვალების მიზეზი.

1923 წელი – ბავარიაში (გერმანია) ადგილობრივმა ხელისუფლებამ ჩაახშო პუტჩი და დააპატიმრა ჰიტლერი;

1950 წელი – კორეის საჰაერო სივრცეში გაიმართა რეაქტიული თვითმფრინავების პირველი ბრძოლა;

**9 ნოემბერი**

1799 წელი – სახელმწიფო გადატრიალების შედეგად ნაპოლეონი გახდა საფრანგეთის პირველი კონსული.

1970 წელი – გარდაიცვალა შარლ დე გოლი – საფრანგეთის პრეზიდენტი, გენერალ-მაიორი.

1991 წელი – გენერალი ჯოჰარ დუდაევი ჩეჩნეთის პირველი პრეზიდენტი გახდა.

**10 ნოემბერი**

1888 წელი – დაიბადა ანდრეი ტუპოლევი – რუსი ავიაკონსტრუქტორი (მისი ხელმძღვანელობით შეიქმნა თვითმფრინავების 70 ტიპი).

1919 წელი – დაიბადა მიხაილ კალაშნიკოვი – ცეცხლსასროლი ავტომატური იარაღის კონსტრუქტორი, გენერალ-მაიორი.

1938 წელი – გარდაიცვალა მუსტაფა ქემალ ათათურქი – თურქეთის პირველი პრეზიდენტი, მარშალი (გაზა).

**12 ნოემბერი**

1937 წელი – დაიბადა რიჩარდ ტრული – ამერიკელი კონტრადმირალი, ასტრონავტი, ნასას დირექტორი.

**13 ნოემბერი**

1942 წელი – საზღვაო ბრძოლა აშშ და იაპონიის ფლოტებს შორის, რომელიც გაიმართა გუადალ კანალისა და ფლორიდის კუნძულების შუაში, დამთავრდა იაპონელთა კრახით.

**14 ნოემბერი**

1853 წელი – ახალციხესთან გაჩაღებულ ბრძოლაში, ოსმალთა 20-ათასიანი ჯარის წინააღმდეგ, თავი ისახელა გენერალმა ივანე ანდრონიკაშვილმა.

**15 ნოემბერი**

1891 წელი – დაიბადა ერვინ რომელი – გერმანიის რაიხის მარშალი („უდაბნოს მელა", რომელსაც ჩერჩილმა „დახელოვნებული მოწინააღმდეგე" და „დიდი გენერალი" უწოდა).

**16 ნოემბერი**

1831 წელი – გარდაიცვალა კარლ ფონ კლაუზევიცი – პრუსიელი მხედართმთავარი, სამხედრო თეორეტიკოსი.

1970 წელი – სირიის არაბთა რესპუბლიკის პრეზიდენტი გახდა იმჟამად თავდაცვის მინისტრი, გენერალი ჰაფეზ ასადი.

**17 ნოემბერი**

1887 წელი – დაიბადა ბერნარდ ლოუ მონტგომერი – ბრიტანელი მარშალი.

**18 ნოემბერი**

1519 წელი – ესპანელი დამპყრობელი ერნან კორტესი შევიდა აცტეკების დედაქალაქ ტენოჩტიტლანში (ორი წლის შემდეგ კვლავ დაიპყრო და სახელი მეხ-



კორტესის დამპყრობლური ლაშქრობა...


აუგუსტო პინოჩეტი

იკოდ გადარქვა) და დაატყვევა უმაღლესი ქურუმი – მონტესუმა.

**19 ნოემბერი**

1753 წელი – დაიბადა ლუი ალექსანდრ ბერტიე – ფრანგი მარშალი (ნაპოლეონის არმიის აღიარებული შტაბის უფროსი, ვინც განაპირობა მრავალი მისი გამარჯვება).

1863 წელი – აშშ პრეზიდენტმა აბრაამ ლინკოლნმა გუტისბურგში სიტყვა წარმოთქვა დაღუპულ ჯარისკაცთა დიდი სასაფლაოს გახსნისას (ეს სიტყვა მსოფლიო ლიტერატურის საგანძურში შევიდა სახელწოდებით „გუტისბურგის მიმართვა").

**20 ნოემბერი**

1917 წელი – ბრიტანელმა მხედართმთავარმა ჯონ ფულერმა დაგეგმა პირველი სატანკო შეტევა, რომელმაც გაარღვია გერმანული ფრონტი და უზრუნველყო მოკავშირეთა გამარჯვება კამბრესთან.

1975 წელი – აშშ-ის თავდაცვის მინისტრად დაინიშნა დონალდ ჰ. რამსფელდი (პოსტზე მეორედ აირჩიეს ქვეყნის ხელისუფლების სათავეში ჯორჯ ბუშიუმცროსის მოსვლის შემდეგ).

**21 ნოემბერი**

1699 წელი – რუსეთის მეფემ, პეტრე პირველმა, გამოსცა ბრძანება რეგულარული ჯარის შექმნის შესახებ.

1806 წელი – ნაპოლეონმა კონტინენტური ბლოკადა გამოუცხადა ინგლისს.

**22 ნოემბერი**

1890 წელი – დაიბადა შარლ დე გოლი – ფრანგი გენერალ-მაიორი, ქვეყნის პრეზიდენტი (1958-69 წლებში).

**24 ნოემბერი**

1730 წელი – დაიბადა ალექსანდრ სუვოროვი – გამოჩენილი რუსი მხედართმთავარი, გენერალისიმუსი (ორი თვით ადრე – 24.8.1799 – მიენიჭა სარდინიის გენერალისიმუსის წოდება).

**25 ნოემბერი**

1783 წელი – ეროვნული გმირის რანგში ამაღლებულმა ჯორჯ ვაშინგტონმა ანაპოლისში, კონგრესის თანდასწრებით, არსებული წესის შესაბამისად, მოიხსნა მთავარსარდლის უფლებამოსილებანი.

1889 წელი – დაიბადა იან ბერზინი (პეტერის კიუზისი) – საბჭოთა სამხედრო დაზვერვის შემქმნელი, ესპანეთის სამოქალაქო ომის დროის მთავარი სამხედრო მრჩეველი (სსრკ-ში დაბრუნების შემდეგ დახვრიტეს).

1915 წელი – დაიბადა აუგუსტო პინოჩეტ უგარტე – ჩილის პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწე.

1975 წელი – ესპანეთის მეფე გახდა ხუან კარლოს I (მიკუთვნებული აქვს არმიის, ავიაციისა და ფლოტის გენერალკაპიტნის წოდებები).

**26 ნოემბერი**

1926 წელი – 80 წლის გარდაიცვალა ჯონ ბრაუნინგი – ცეცხლსასროლი იარაღის კონსტრუქტორ-გამომგონებელი.

1942 წელი – სსრკ ტერიტორიაზე (ივანოვოს რაიონში) დაიწყო ფრანგული სავიაციო ესკადრილიის „ნორმანდიის" ფორმირება.

**27 ნოემბერი**

1705 წელი – რუსეთის მეფის, პეტრე I-ის, ბრძანებით შეიქმნა საზღვაო პოლკი (საფუძველი ჩაეყარა რუსული ფლოტის საზღვაო ქვეითის ორგანიზებას).

**28 ნოემბერი**

1842 წელი – შამილის ტყვეობიდან გაათავისუფლეს ილია ორბელიანი.

1919 წელი – ლატვიამ ომი გამოუცხადა გერმანიას.

1939 წელი – საბჭოთა კავშირი თავს დაესხა ფინეთს (დაირღვა 1932 წ. ხელმოწერილი თავდაუსხმელობის ხელშეკრულება).

1943 წელი – თეირანში (ირანი) გაიხსნა მოკავშირე სახელმწიფოების (სსრკ, აშშ, ინგლისი) ხელმძღვანელთა კონფერენცია.

**29 ნოემბერი**

1993 წელი – ვარდიკო ნადიბაიძეს მიენიჭა სამხედრო წოდება „გენერალლეიტენანტი".

**30 ნოემბერი**

1718 წელი – ნორვეგიაში ლაშქრობის დროს მუშკეტიდან გასროლილი ისრით მოკლეს შვედი მეფე კარლ XII.

1727 წელი – ბაქარ ბაგრატიონი (გრუზინსკი) დაინიშნა მოსკოვის ოლქის არტილერიის სარდლად და მიენიჭა არტილერიის გენერალ-ლეიტენანტის წოდება (იყო მოსკოვში ქართული ახალშენის მეთაური, ქართული სტამბის მომაგე, მთარგმნელი, კავკასიელი ხალხის განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთერთი მოთავე).

1996 წელი – ჟიული შარტავას პრემია მიენიჭა (სიკვდილის შემდგომ) სამხედრო მფრინავს ჯიმშერ მაისურაძეს, სამშობლოს დაცვაში გამოჩენილი მამაცობისა და გმირობისათვის.

**შეადგინა ამირან ტალახაძემ**


მოკავშირეთა შეხვედრა თეირანში. 1943 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა




# Suzuki Grand Vitara

ასფალტის ჯიპების კლასის ფუძემდებლად რატომღაც Toyota RAV-4 ითვლება. თუმცა მასზე გაცილებით ადრე გამოჩნდა Suzuki Vitara-ს (1988 წ.) საპლაჟე ვარიანტი. ალბათ, გახსოვთ ყვითელი ავტომობილის ფოტო, რომელსაც სერფინგის დაფა ჰქონდა დამაგრებული; ან შამურაი, რომელიც უკვე 20 წელზე მეტი ხნისაა. რაც შეეხება Vitara-ს, არსებობის მეათე 1998 წელს, მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა და Grand Vitara-დ იქცა. უცვლელი დარჩა ავტომობილის ჩარჩო, დამოკიდებული უკანა საკიდრებით და ერთიანი ხიდით. უკანასკნელ ხანს იგი ოდნავ განაახლეს. ძირითადად, გამოიცვალა წვრილმანი: ბამპერები, რადიატორის გისოსები...

შესახედად ავტომობილი მშვენიერ შთაბეჭდილებას ახდენს, — კარგად შეკრული, მძლავრი ძარა; დიდი სტილური ბორბლები.

სალონში თვალში საცემი ცვლილებები არ შეინიშნება. ჭარბობს ტყავი და პერფორირებული ჩასასმელები; შიდაპანელების იაფი, ცივი პლასტიკატების შეცვლა ჯერჯერობით არავის უფიქრია.




სალონის წინა ნაწილში ადგილი საკმარისზე მეტია, განსაკუთრებით სიმაღლეში. მძღოლის სავარძელი აღჭურვილია ორდონიანი გამათბობლით, აქვს სამი მექანიკური მარეგულირებელი — გასწვრივი, საზურგის კუთხის დახრილობისა და ბალიშისა. საჭე (არცთუ კარგი დიზაინისა) ზემოთ იწევა. მოწყობილობათა დაფა გადატვირთული არ არის და კარგად იკითხება.

მიკროკლიმატის მართვა არქაულ ბერკეტებს აკისრია, მაგრამ მოსახმარებლად ძალზე მოსახერხებელია. საჭისქვემოთა გადამრთველები წმინდა იაპონური სტილითაა შესრულებული, — მარცხენა სინათლის ტექნიკაზე აგებს პასუხს, მარჯვენა კი ფანჯრის მწმენდავებსა და მათი ინტერვალების მსუბუქ ცვალებადობაზე. სალონის განათება ორ, წინა და უკანა, ნაწილებადაა გაყოფილი. წინა სავარძლებს შორის მცირე ზომის ყუთია ჭიქების დასაწყობად (სჯობდა, ოდნავ მაღალი ყოფილიყო, — იდაყვსაყრდნობი არ აქვს); დიდი ზომის ფანჯრების სიმაღლისა და გამათბობლიანი სარკეების წყალობით გარემომხედველობა საუკეთესოა. „ავტომატის" სელექტორი იატაკზეა მოთავსებული. აქვეა საგანი, რომელსაც იშვიათად შეხვდებით ყველგანმავალზე. ეს არის გამანაწილებელი კოლოფის ამძრავის ბერკეტი, რომელიც წინა ხიდს რთავს და სიჩქარეთა გადართვას ანელებს.

უკანა რიგის მგზავრებისთვის ფეხის გასაშლელი ადგილი სამყოფია, სიმაღლეც საკმარისი. სალონის უკანა სავარძელი ორი მგზავრისთვისაა გათვალისწინებული, გაჭირვებით მესამეც ეტევა. სავარძლები ზუსტად ორ ნაწილადაა გაყოფილი, აქვთ საზურგის კუთხის მარეგულირებელი, რომელიც მთლიანად იკეცება უკანა მხარეს.

გამოსაღები უკანა კარი გაზის ზამბარითაა აღჭურვილი, აქვს თვითჩაკეტვისსაწინააღმდეგო ბლოკირება. კარზე სათადარიგო ბორბალია მიმაგრებული, რომელიც დაბლა ჰკიდია, უკან ხედვას რომ არ შეუშალოს ხელი. კარებს აქვს ორსაფეხურიანი გაღების ცენტრალური გასაღები (პირველი დაწოლის დროს მხოლოდ მძღოლის კარი იღება, მეორე დაჭერისას კი ყველა დანარჩენი).



ეროვნული ბიბლიოთეკა





ახლა კი ძრავასა და სავალ ნაწილებზე მოგახსენებთ.

ას ცხენის ძალაზე ოდნავ მეტი სიმძლავრის მქონე ორლიტრიანი ტურბოდიზელი დამახასიათებელ ხმას გამოსცემს და ავტომობილის იატაკისა და საჭის ვიბრირებას იწვევს.

უკანა ხიდით ოდნავ ძნელადგასავლელ გზებზეც კი კარგ დინამიკაზე საუბარი ზედმეტია, თუმცა 4WD-ს პირობებში მანქანა შესამჩნევად იცვლება. წინა ხიდი „უხეშად“, დიფერენციალის გარეშე, 100 კილომეტრამდე სიჩქარის პირობებში ირთვება, ის ნამდვილი ხსნაა დაბალმოჭიდებიანი კოეფიციენტის ზედაპირის მქონე ზედაპირებზე (ქალაქის ქუჩები ზამთარში, თოვლჭყაპის დროს).

სიჩქარეთა ავტომატური კოლოფი თავს არ მოგაბეზრებთ ხშირი გადართვებით, როგორც ეს ნაკლებად მძლავრი მოტორის მქონე ავტომობილებში ხდება. მესამე სიჩქარეზე გადასვლისას დინამიკა იკარგება. ტურბინა ირთვება 2000-2500 მბრუნავი მომენტის დროს. გზატკეცილზე წინა მანქანის გადასასწრებად აქსელერატორის პედალს ღრმად უნდა დააწვეთ, ოდნავი შეყოვნების შემდეგ სიჩქარე გადაირთვება.

საჭე დიდად მოქნილი არ არის, მაგრამ დისკომფორტსაც არ ქმნის. მისი რეაქცია პროგნოზირებადია. მუხრუჭებს კარგი ინფორმატიულობა აქვს. ამასთან, უკანა მუხრუჭები დოლურისებურია.

უგზოობის პირობებში, მაგალითად, არასტაბილურ გრუნტზე (მინდორი), რომელზეც ათსანტიმეტრიანი თოვლი დევს, გავლის პრობლემა არ იქმნება.

დიზელი შენელებული მოძრაობისას თავისი მშვენიერი ბრუნვის მომენტით, არააგრესიულ სიჩქარეთა ავტომატური კოლოფის გრძელი გადაცემებით უზრუნველყოფს წევის ზუსტად დოზირებას, ადგილიდან ნორმალურად დაძვრას და მოცურების გარეშე მოძრაობას.

კომფორტი სასურველ დონეზეა. ეს ეხება საკიდრებსა და ხმაურიზოლაციას; მიუხედავად ამისა, სალონს მყუდროს ვერ დაარქმევ, როცა ბრუნვის მომენტი 3000 ბრ/წთ-ს აღწევს.

„ასფალტის ჯიპები“ დღეს ხომ თავზე საყრელია, მაგრამ მათ შორის ყველაზე ხანდაზმული Suzuki Crand Vitara მაინც გამოირჩევა თავისი უგზოობისათვის აუცილებელი აღჭურვილობებით, მას მხოლოდ ტრანსმისიის დამბლოკველები აკლია. ძრავის მიხედვით, არსებობს ავტომობილის ვარიანტები – დაწყებული 1,6-ლიტრიანი 94-ცხენისძალიანიდან და დამთავრებული 2,5-ლიტრიანით და 170-ცხენისძალიანით (V6. ვერსია XL7). ავტომობილის ფასი დაახლოებით 25 ათასი ამერიკული დოლარია.



ეროვნული ბიბლიოთეკა

**ხშირად მსმენია უვაზნო საბრძოლო მასალებზე. ერთი შეხედვით ძალიან მომგებიანი და ეკონომიური უნდა იყოს. იქნებ განგვიმარტოთ, რატომ არ ვითარდება ამ მიმართულებით საიარაღო წარმოება და გაგვაცნოთ ასეთი ტყვია-წამლის დადებითი და უარყოფითი თვისებები.**

*სოსო მგელაძე, სურამი*

# უვაზნო საბრძოლო საშუალებები

უვაზნო სასროლი საშუალებების ავტორთა აზრით, იდეის უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ მსგავსი საბრძოლო მასალების გამოყენებისას, შესამჩნევად მარტივდება იარაღის საკეტის კონსტრუქცია, რომელსაც სავაზნიდან გასროლილი ჰილზის გამოგდების ფუნქცია ეკარგება. როგორც გამომგონებლები ამტკიცებენ, ეს მოვლენა მკვეთრად გაზრდის სროლის სისწრაფეს და შეამცირებს, როგორც იარაღის, აგრეთვე სასროლო მასალების წონას. თეორიულად თითქოს ყველაფერი წესრიგშია, მაგრამ იდეის ხორცშესხმის დროს არაერთი პრობლემა წარმოიშვა.

პირველი მათგანი ობტურაციის საიმედოობაა, ჩვეულებრივი იარაღის გასროლისას. ვაზნა დენთის გაზების გაფართოების გავლენით მჭიდროდ ეკვრის სავაზნის კედლებს და გაზს მსროლელის მიმართულებით გარღვევის საშუალებას უკარგავს. არანაირ საკეტს არ შეუძლია მსგავსი საიმედო ობტურაციის უზრუნველყოფა, როგორც ვაზნას. მეცხრამეტე საუკუნეში სწორედ ლითონის ვაზნის გამოგონებამ შეუწყო ხელი თვითდატენვადი იარაღის წარმოშობას.

მეორე პრობლემა მდგომარეობს ნებისმერი დენთის ჰიდროსკოპიურობაში, რის გამოც დატენიანებისგან მისი დაცვა აუცილებელი ხდება, გარდა ამისა, მსგავს საბრძოლო მასალას საფრთხე გარემოს ქიმიური აგრესიულობისა (კერძოდ ატმოსფეროს ჟანგბადის ზემოქმედება) და მექანიკური დაზიანებებისგანაც ემუქრება. ვაზნაში ეს პრობლემები საიმედოდაა გადაწყვეტილი. უვაზნო საბრძოლო მასალის შემთხვევაში კი მდგრადობა და გამძლეობა თავად მასალას უნდა მიეცეს, ან დაიფაროს ისეთი დამცავი ფენით, რომელიც გასროლის დროს უნარჩენოდ დაიწვება.

მესამე პრობლემა მდგომარეობს ორი ამოცანის აუცილებელ (ერთდროულ) გადაწყვეტაში. პირველი — უნდა მოხერხდეს საბრძოლო მასალის დენთის კაფსულის საშუალებით სწრაფად (მთელი მოცულობის ერთდროულად) აალება და მეორე — სავაზნის გახურებულ კედლებთან შეხებისას საბრძოლო მასალის აბსოლუტური უგრძნობელობა (თვითაალების გამორიცხვა).

დღესდღეობით ამ სამი პრობლემიდან არც ერთი არ არის გადაჭრილი. საკეტი ვერ გამარტივდა. ვერც თვითონ საბრძოლო მასალა შემსუბუქდა, მასზე ქიმიური და მექანიკური ზემოქმედებების შემცირებისთვის სხვადასხვაგვარი დამუშავების გამო. მესამე პრობლემა კი შეიძლება ითქვას, საერთოდ ვერ გვარდება.

ზემოხსენებულ საბრძოლო მასალაზე გათვლილი იარაღის არმიის შეიარაღებაში დანერგილი მხოლოდ ერთი ნიმუშია ფართოდ ცნობილი. ეს გახლავთ გერმანული Heckler&Koch ფირმის ავტომატური შაშხანა G-11.

ტაქტიკურ-ტექნიკური მახასიათებლები:

**კალიბრი 4,73 მილიმეტრი**
**სიგრძე 75 სანტიმეტრი**
**მასა 4,3 კილოგრამი**
**სროლის ტემპი 600 გასროლა წუთში**
**დამიზნებით სროლის სიშორე — 300 მეტრი**

დამცველის გადამრთველი საშუალებას იძლევა სროლის რეჟიმი გადაირთოს ერთჯერად, ფიქსირებულ 3 ან 5-გასროლიანი ჯერით, ან მთლიანი მჭიდის სროლის რეჟიმში.

მჭიდის ტევადობა 50 ერთეულია (მჭიდი ერთჯერადია, ივსება და ჰერმეტულად იხუფება ქარხანაში).

ჩვეულებრივ შაშხანებთან შედარებით ამ იარაღის უპირატესობაზე მკითხველს თავად შეუძლია იმსჯელოს. მისი მასა უფრო მეტია, ვიდრე M-16A2-ისა, სროლის სიშორეც ბევრად მცირეა. ბუნდესვერმა სცადა ეს შაშხანა ჯერ ჯავშნოსანი მანქანების ეკიპაჟებისთვის და სპეცდანაყოფებისთვის შეეჩეჩებინა, მაგრამ ამაოდ. ბოლოს გფრ-ის სასაზღვრო ნაწილები შეაიარაღეს.

საჯარისო გამოცდებისას გაირკვა, რომ მიუხედავად ყველაფრისა, საბრძოლო მასალებს მაინც ჰქონდათ თვითაალებისადმი მიდრეკილება, ინტენსიური სროლის დროს (მეორე მჭიდიდან) ამასთან დაკავშირებით მებრძოლებს მიეცათ რეკომენდაცია ჯერებს შორის, სავაზნის გაციების მიზნით, 3-5 წამიანი პაუზა გაეკეთებინათ. მჭიდის დაცლის შემდეგ კი „შესვენების“ დრო 1-2 წუთამდე გაეზარდათ.

G-11 შაშხანისთვის იყენებდნენ უვაზნო 4.7DE11 მარკის ტყვიებს.

### 4,7 მმ. უვაზნო ტყვია 47DE11 (A ვარიანტი) (HITP)

**საწყისი სიჩქარე — 930 მ/წმ.**
**ენერგია — 1470 ჯოული.**

ეს უვაზნო ტყვია „დინამიტ-ნობელისა“ და „ჰეკლერ და კოხის“ ერთობლივი შრომის ნაყოფია, იგი საგანგებოდ G-11 შაშხანისთვისაა შექმნილი. პირველი ნიმუშების გამოცდებმა 1975 წელს რიგი პრობლემა გამოავლინა, კერძოდ გაუთვალისწინებელი ტემპერატურული ნახტომი და საბრძოლო მასალის თვითაალებადობა. დენთის შემადგენლობაში შედგებოდა ნიტროცელულოზასაგან, რომელსაც მექანიკურად მყარი, პარალელეპიპედის ფორმის მისაღებად გამამყარებელი ჰქონდა დამატებული. მისი ზომა 8X9X32 მილიმეტრი იყო, წინა ნაწილში მოთავსებული იყო ტყვია. გამყარებული დენთის პარალელეპიპედში კი შეყოვნებული მოქმედების დენთი. ჩატარებული ცდებისას საბრძოლო მასალის მხოლოდ მეშვიდე ვარიანტმა აჩვენა იმედის მომცემი შედეგი. რის



47DE11 - A



47DE11 - B

G-11



ეროვნული ბიბლიოთეკა

შედეგადაც მხოლოდ 1986 წელს გამოჩნდა ახალი ტიპის საბრძოლო მასალის ვარიანტი, რომლის სასროლეთზე წარდგენაც გარკვეული დადებითი შედეგის მომცემი იყო.

### 4.7-მილიმეტრიანი უვაზნო ტყვია **47DE11** (**B** ვარიანტი)

(Patrone 4.73MM x 33DM11)

ამ შემთხვევაში დენთის მასას 8X8X32,8 მილიმეტრის ბლოკებად წნეხდნენ. ტყვიის გულა მთლიანად იყო დაფარული, ხოლო კაფსული ისევე, როგორც წინა ვარიანტებში, ლითონის გარსაცმის გარეშე, თხელი აკის სახით იყო დამზადებული.

ახალი ტიპის ეს მასალა ცნობილია HITR სახელით (მაღალი ტემპერატურის ალების სასროლი საშუალება) უძლებს (ითვლება, რომ ნამდვილად ასეა) ნიტროცელულუზას თვითაალებად წერტილთან შედარებით 100 გრადუსით მეტ ტემპერატურას და მექანიკურად შედარებით მყარია.

კლასიკური ფომრის ვაზნა ტყვიის გულასა და ფოლადის გარსისგან შედგება. მიზანში მოხვედრისას ის ნამსხვრევებად არ იშლება და 300 მეტრის სიშორეზე 6-მილიმეტრიან ფოლადის ფირფიტას ხვრეტს, ხოლო საშტატო ფოლადის ჩაფხუტს 600 მეტრის მანძილზე. ტყვიის წონა 3,4 გრამია, ვაზნისა – 5 გრამი.

უვაზნო საბრძოლო მასალის კიდევ ერთი ტიპია ცნობილი. ეს გახლავთ საბჭოთა ტანკების T-72-ის, T-80-სა და T-90-ის 125-მილიმეტრიანი ჭურვი, თუმცა უფრო ზუსტი იქნებოდა თუ მას მთლიანად დაწვადი ჰილზის ტიპის საბრძოლო მასალას ვუწოდებთ. ქვემეხის გატენვა ცალ-ცალკე მიმდინარეობს. პირველად ლულაში თავად ჭურვი თავსდება, შემდეგ კი დენთიანი ვაზნა. ვაზნა გაკეთებულია მასალისგან, რომელიც გასროლისას უნარჩენოდ იწვება. თუმცა ამ ვაზნის ქვედა ნაწილი თავისი საფისტონე ღეროთი ლითონისაა. იგი კარგად ასრულებს ობტურაციის ამოცანას და ადვილად ვარდება ლულიდან სროლის შემდეგ.

ამ საბრძოლო მასალის უარყოფითი თვისებაა ის, რომ მისი შენახვა ტანკის სასროლ მექანიზმში ჩატენვამდე ლითონის ჰერმეტულად დახურულ კონტეინერში უხდებათ. რაც მის სატრანსპორტო წონას ერთი-ორად ზრდის და მისი დიდხანს ტანკში შენახვის საშუალებას არ იძლევა.

არტილერისტები, რომელთათვისაც კარგადაა ცნობილი მსხვილკალიბრიანი ეგრეთ წოდებული პარკიან ჭურვებთან (დენთი აბრეშუმის ან სხვა ქსოვილის პარკებშია მოთავსებული) დაკავშირებული პრობლემები, კატეგორიული უარს ამბობენ წვადჰილზიანი და უვაზნო ჭურვების გამოყენებაზე, ქვემეხებში, რომელთა კალიბრი 305 მილიმეტრზე ნაკლებია.

# კვალიფიციური რჩევები

**„არსენალი“ აგრძელებს რუბრიკას, რომელშიც კვალიფიციურ პასუხს გავცემთ ყველა დაინტერესებულ პირს მათთვის საინტერესო საკითხებზე. კითხვებზე უპასუხებს ასოციაცია „სამართალი და თავისუფლება“, რომელიც უფასო იურიდიულ მომსახურებას სთავაზობს წვევამდელებსა და სამხედრო მოსამსახურეებს. საკონტაქტო ტელეფონი: 95-89-80**

*– საქართველოს სამხედრო ძალების საჯარო წესდების მიხედვით, სამხედრო-საკონტრაქტო (პროფესიული) სამსახურის შემადგენლობის მიერ ისჯება შემდეგი ქმედებები:*

*(გაგრძელება. დას. იხ „არსენალი“ №9-10)*

## არაფხიზელ მდგომარეობაში ყოფნა

1. არაფხიზელ მდგომარეობაში ყოფნა, ე.ი. სამხედრო-საკონტრაქტო (პროფესიულ) სამსახურში მყოფი პირის მიერ სამხედრო ფორმის ტანსაცმლით საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ალკოჰოლური სასმელის მიღება ან არაფხიზელ მდგომარეობაში ყოფნა გამოიწვევს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის დაკისრებას – საყვედურს და ხელფასიდან 20 პროცენტის დაქვითვას ორი თვის ვადით;

2. იგივე ქმედება ჩადენილი არაერთგზის გამოიწვევს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის დაკისრებას – ხელფასიდან 25 პროცენტის დაქვითვას 10 თვის ვადით.

## დადგენილი უსაფრთხოების ნორმების დარღვევა

დადგენილი უსაფრთხოების ნორმების დარღვევა, ე. ი. სამხედრო-საკონტრაქტო (პროფესიულ) სამსახურში მყოფი პირის მიერ სამხედრო ნაწილის (ქვედანაყოფის) ტერიტორიაზე დადგენილი უსაფრთხოების ნორმების დარღვევა, აგრეთვე ცეცხლსასროლი იარაღის ან საბრძოლო ტექნიკის გამოყენებასთან დაკავშირებული უსაფრთხოების ნორმების დარღვევა, რასაც შეიძლება გამოეწვია ნაკლებად მძიმე შედეგი, გამოიწვევს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის დაკისრებას – საყვედურს.

## სამსახურში დაგვიანება

1. სამსახურში დაგვიანება, ე.ი. სამხედრო-საკონტრაქტო (პროფესიულ) სამსახურში მყოფი პირის მიერ არასაპატიო მიზეზით სამუშაო დროის პერიოდში დაგვიანება გამოიწვევს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის დაკისრებას – ხელფასიდან 10 პროცენტის დაქვითვას ექვსი თვის ვადით;

2. იგივე ქმედება ჩადენილი არაერთგზის გამოიწვევს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის დაკისრებას – ხელფასიდან 20 პროცენტის დაქვითვას ექვსი თვის ვადით.

## უკანონო ბრძანების გაცემა

1. უკანონო ბრძანების გაცემა გამოიწვევს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის დაკისრებას სამხედრო წოდების ერთი საფეხურით დაქვეითებით;

2. იგივე ქმედება ჩადენილი არაერთგზის გამოიწვევს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის დაკისრებას – სამსახურიდან დათხოვნას.

## აზარტული თამაში

1. სამხედრო ნაწილის (ქვედანაყოფის) ტერიტორიაზე აზარტული თამაში გამოიწვევს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის დაკისრებას – საყვედურს;

2. იგივე ქმედება ჩადენილი არაერთგზის გამოიწვევს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის დაკისრებას – ხელფასიდან 30 პროცენტის დაქვითვას 6 თვის ვადით.

## სექსუალური კავშირი ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედება

სამხედრო ნაწილის ტერიტორიაზე სექსუალური კავშირის ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედება (ჰომოსექსუალური ან სხვაგვარი სექსუალური ქმედება) გამოიწვევს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის დაკისრებას – სამსახურიდან დათხოვნას.

## სამსახურში გამოუცხადებლობა

1. სამსახურში გამოუცხადებლობა, ე.ი. სამხედრო-საკონტრაქტო (პროფესიულ) სამსახურში მყოფი პირის მიერ არასაპატიო მიზეზით სამსახურში გამოუცხადებლობა გამოიწვევს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის დაკისრებას – ხელფასიდან 15 პროცენტის დაქვითვას ექვსი თვის ვადით;

2. იგივე ქმედება ჩადენილი არაერთგზის გამოიწვევს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის დაკისრებას – ხელფასიდან 30 პროცენტის დაქვითვას ექვსი თვის ვადით.

n 27/27

# G36 დებიუტი პანკისში

## გერმანული საიერიშო შაშხანა ქართველი სპეცრაზმელების არსენალში



2002 წლის ზაფხულის ბოლოს სტატიის ავტორს კიდევ ერთხელ მოუწია შესვლა პანკისის ხეობაში. იმ მომენტში სიტუაცია უკიდურესად იყო დაძაბული, მოსკოვი ნამდვილად აპირებდა საჰაერო დარტყმების მიყენებას პანკისის ხეობაში მყოფ რუსლან გელაევის რაზმისთვის. ამერიკული და ქართული სპეცსამსახურების ერთობლივი ქმედებებით მოხერხდა გელაევის დაყოლიება, რომ მას პანკისის ხეობა დაეტოვებინა...

სწორედ ამ დროს შევედი ხეობაში მაშინდელი უშიშროების მინისტრისა და მისი თანამშრომლების საავტომობილო კოლონასთან ერთად. წლების განმავლობაში შეიარაღებული სამართალდამცავები პანკისში გამოჩენას მიზეზთა გამო ერიდებოდნენ, ამიტომ სოფლის შარაგზაზე ჯგუფებად მდგარი წვერმოშვებული (და არც მთლად ადგილობრივი) ახალგაზრდა პანკისელები თავიდან ცოტა ამრეზით იყურებოდნენ, მაგრამ მათ თვალებში მალე შიშიც ჩასახლდა, როდესაც ჩვენი კოლონის შეიარაღება დაინახეს...

ჩეჩნეთში მებრძოლს იარაღით ვერ გააკვირვებ, მაგრამ როდესაც დუისისა თუ ომალოს სოფლის გზაზე ამერიკულ ყველგანმავალ შავ „დოჯებში“ მსხდომი სპეცრაზმელები და განსაკუთრებით მათი შეიარაღება დაინახეს, განწყობა უმალ შეეცვალათ.

„ამერიკელები, ამერიკელი სპეცნაზია შემოსული“, – ხმა დაირხა მაშინვე პანკისის სოფლებში. სინამდვილეში, „დოჯებში“ საქართველოს ანტიტერორისტული ცენტრის მებრძოლები ისხდნენ, მაგრამ



არსენალმა სწორედ ეს მოკლელულიანი G36K გამოცადა

ჩვენი დოსიე: ავტომატური საიერიშო შაშხანა G36-ის სიგრძე 998 მმ-ია (დაკეცილი კონდახით კი 758 მმ); ლულის სიგრძე 480 მმ-ს აღწევს. შაშხანა ვაზნების გარეშე 3,6 კგ-ს იწონის; მჭიდში 5,56X45 მმ ტიპის 30 ვაზნა ჩადის. სროლის ტემპია 750 გასროლა წუთში.

მათმა შეიარაღებამ მართლაც რომ გააოცა პანკისელები, რადგან ამგვარი იარაღი მანამდე არ ენახათ.

ქართველი სპეცრაზმელები გერმანული საიერიშო ავტომატური შაშხანებით G36-ებით იყვნენ შეიარაღებულნი, რომელიც იმ დროს (და პრინციპში ახლაც) ულტრათანამედროვე იარაღად ითვლებოდა.

მოიერიშე შაშხანა G36 ცნობილმა გერმანულმა საიარაღო ფირმამ Heckler und Koch-მა 1995 წელს შექმნა და თავდაპირველად გერმანიის ბუნდესვერის შეიარაღებაში მიიღეს. 1999 წელს ეს პროგრესული იარაღი უკვე ესპანეთმაც შეიძინა საკუთარი არმიის აღსაჭურვად. რამდენიმე ქვეყნის სამართალდამცავები (მათ შორის დიდი ბრიტანეთისა და აშშ-ის) ასევე იყენებენ G36-ის სხვადასხვა მოდიფიკაციას.

G36-ს ბოლო წლებში იმისთვის ხვეწდნენ, რომ პერსპექტიული ამერიკული მსუბუქი საიერიშო შაშხანის XM-8-ის საფუძველი გამხდარიყო, თუმცა პენტაგონმა ჯერჯერობით შეაჩერა ეს პროგრამა.

G36-ის კონსტრუქცია მნიშ-

ჩნელოვნად განსხვავდება „ჰეკლერ-კოჰის“ აქამდე შექმნილი ავტომატური იარაღისგან და კონსტრუქციულად უფრო ამერიკულ M16-ს უახლოვდება. მისი ავტომატიკა დაფუძნებულია აირძრავის მოქმედებაზე, რასაც აირის დგუშის მცირე გადაადგილება განაპირობებს ყოველი გასროლის შემდეგ.

„არსენალმა“ გერმანული G36 ამას წინათ გამოცადა თბილისთან ახლომდებარე ერთ-ერთ პოლიგონზე (თავის დროზე, პანკისში ამის საშუალება არ იყო, რადგან ნებისმიერ გასროლას შეიძლებოდა ისედაც რთული სიტუაცია კიდევ უფრო დაეძაბა).



G36 მართლაც თანამედროვე ტიპის ავტომატური იარაღია. იგი კარგად „ჯდება“ ხელებსა და მხარს შორის, დაბალანსებული ცუდად არ არის. NATO-ს სტანდარტის 5,56X45 მმ კალიბრის ტყვიების გასროლისას (როგორც ერთჯერადი, ისე ავტომატური ჯერით) უკუდარტყმა არცთუ ისე დიდია. ავტომატური შაშხანიდან შეიძლება ასევე 2-3-ტყვიიანი ჯერების მიშვებაც. ყველაზე მოხერხებულია გამჭვირვალე პლასტმასისგან დამზადებული მჭიდი, რომელშიც კარგად ჩანს, თუ რამდენი ვაზნა დაგრჩა. მჭიდების ერთმანეთთან გადაბმა შეიძლება სპეციალური სამაგრების საშუალებით, რომ უფრო სწრაფად გამოცვალო დაცლილი მჭიდი. ასე რომ, არ არის საჭირო მჭიდების ერთმანეთთან ლეიკოპლასტირით გადაბმა, როგორც ამას „კალაშნიკოვზე“ აკეთებენ.



პანკისში ქართველი სპეცრაზმელები გერმანული საიერიშო ავტომატური შაშხანებით G36-ებით იყვნენ შეიარაღებულნი

გერმანული ავტომატური შაშხანა აღჭურვილია ორი სამიზნით. ოპტიკური სამიზნე 3,5-ჯერ ადიდებს, მეორე სამიზნეში კი, კოლიმეტრულში, „წითელი წერტილია“ „ჩამონტაჟებული“. G36-ის კონდახი მარჯვენა მხარეს იკეცება, რაც ხელს არ უშლის იარაღის გადამტენის სახელურს, რადგან ეს უკანასკნელი „კალაშნიკოვივით“ მარჯვნივ კი არ არის, არამედ ლულის თავზეა დამონტაჟებული. ამიტომაც G36-ის გადატენვა მოსახერხებელია ცაციისთვისაც.


G36K-ის არასრული დაშლა

ავტომატური შაშხანის G36-ის ბაზაზე შექმნილია საექსპორტო ვარიანტი G36E (მას მარტო კოლიმატორული სამიზნე აქვს), დამოკლებულლულიანი G36K, კომპაქტური G36C Comando და ხელის ტყვიამფრქვევი გრძელლულიანი MG36. სამოქალაქო ბაზრისთვის გამოდის თვითდამტენი შაშხანა SL-8.

*ირაკლი ალადაშვილი*


არსენალი
G36K